

# ლიტერატურული გაზეთი

№5 (117) 14 - 27 მარტი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ბათუ დანელია

გივი ალხაზიშვილი



## მწვანე წყალი

გაზაფხული ფანჯრებში რომ ბალებიდან შესხურდება ზურმუხტისფერ მირონივით ვილას ახსოვს ზამთრის თეთრი წაღებიდა ფოთოლცვენა — სასწაულის სინონიმი

ან ჩვენ ვილა გაგვიხსენებს — აღარავინ როცა ზამთარ-შემოდგომად გადავიქცევით აღტაცებებს გაზაფხულით დაღალავენ და თვალს მოსჭრით წითელი და ატმისფერი

და როდესაც ოთახებში ფანჯრებიდან მწვანე წყალად შეიღვრება გაფოთლება ვილას ახსოვს ჩავლილ ზამთრის ლანჩებიდა ფოთოლცვენის ოქრო ვილას აგონდება

IV-V

## გამხელა

იყო სალამო ისეთი მშვიდი, რომ ვგოძნობდი ჩემი გული უცემდა იმ წიგნსაც, მე რომ მალულად ვშლიდი და ბებოს, ლამპას შუქს რომ უნევდა.

და ღამე ღამეს ვერ აღამებდა, ირგვლივეთს ეცვა თოვლის სინათლე, და ცა ვარსკვლავებს ახამხამებდა, გაურკვეველი დროის ბინადრებს.

მე მქონდა წიგნი და ჟრუანტელი მაგოძნობინებდა, რომ მოგინატრე, დნებოდა გულში ფიქრის ფანტელი, ნებისმიერი დროის სიმართლე.

VIII-IX

გურამ მეგრელიშვილი

## სეპისპერი

ნიკლასი ვერც ვიცანით. წვერი მოეშვა და თითქოს სიმაღლეში დაპატარავებულიყო. კასპარმა შორიდან დაინახა და ხელი დაუქნია.

— ჰეუ, ნიკლას! — დაიყვირა და უცბად მთელი ის წლები გამახსენდა, ერთად რომ გავატარეთ.

ნიკლასი თორმეტი წლის წინ გავიცანი, არაგერმანულენოვანი ბავშვების სკოლაში. მართალია, ჯერ კიდევ ჩემი ბაბუა დასახლდა მაინცში, მაგრამ ჩემი მშობლები მხოლოდ იმ წელს გადასახლდნენ თურქეთიდან გერმანიაში და როგორც ყველა თურქს, ვისაც ქვეყნის გამოცვლა სწავლია, მეც გერმანულენოვან სკოლაში მიმაბარეს.

მამაჩემს გადანყვეტილი ჰქონდა, შვილებს ისტორიული სამშობლოსკენ გული რომ არ მოებრუნებინათ, ლუთერული ეკლესიის წესით მოვენათლეთ, სინამდვილეში კი ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა და ეკლესიაში იმ წელს პირველად და უკანასკნელად შევედი.

ნიკლასი თავისი ქვეყნიდან მარტო იყო ჩამოსული. როგორც თავად ამბობდა,

სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული — როგორც ჩანს, ის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა იყო. განსაკუთრებული კი მართლაც ეთქმობოდა, კლასის მეგობრებისთვის ყოველთვის ახერხებდა სუპერმარკეტებიდან კოკა-კოლისა და შოკოლადების მოპარვას ისე, რომ ერთხელაც არ ჩაუვლიათ. ნიკლასმა გვასწავლა, როგორ იბმება გოგო ძვირფასი სუნამოთი და, რა თქმა უნდა, ისიც აგვიხსნა, როგორ უნდა „ისესხო“ ეს სუნამო მაღაზიაში (ფოლგის ქალაქი სკოლის ზურგჩანთაში უნდა ამოაკრა, რომ დამცავმა არ იმუშაოს). ტომ სოიერის თავგადაკლული მკითხველი და ფანი იყო. კაცმა არ იცის, რამდენჯერ ჰქონდა ნაკითხული ტომისა და ჰეკის ამბები და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სწორედ ამ უკანასკნელს უფრო ჰგავდა, ტომ სოიერზე ეკეტებოდა ჭკუა.

ცოტა არ იყოს, დიდი კი იყო ტომ სოიერით გატაცებისთვის. როდესაც ჩვენ კლასში მოვიდა, უკვე სკოლას ვამთავრებდით. ჯორჯიიდან იყო, მაგრამ ამერიკის ჯორჯიიდან არა. კლასში ყველაზე ტანმორჩილი იყო, თუმცა მალევე ჩვენი წინამძღოლი გახდა და მას მერე მეგობრობა არ გაგვიწყვეტია.

X-XI



მომხრეობა, გაგვიჭირდება ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალის“ ნაკითხვა და გააზრება, თუ ჯერ არ გავარკვეით, რას უნდა ნიშნავდეს ამ ნაწარმოებში ზოგიერთი პერსონაჟის მიღმა ავტორის ბიოგრაფიული დეტალისა თუ ფრაგმენტის ამოკითხვა.

ხშირად განუვითარებელი მოთხოვნას, რატომღაც კატეგორიული ტონით რომ გვიკითხებენ: ავტორის შემოქმედება ნაკითხული და გააზრებულ იქნას უპირობოდ, ბიოგრაფიის გარეშე. ნაბოკოვი წერდა:

„მასთან შედარებით თომას მანი და რაინერ მარია რილკე თაბაშირის წმინდანებს ჰგავნან“. საუბარია ავსტრიელ მწერალზე, ფრანც კაფკაზე. როცა ნაბოკოვი ხაზს უსვამს ფრანც კაფკას მნიშვნელობას თანამედროვე ლიტერატურაში, რაც მისი აზრით, ამ მწერლის „სინამდვილე და გულახდილობიდან ამოიზარდა“, ის ვერაფრით გვერდს ვერ აუვლის მის ბიოგრაფიას, იმისდა მიუხედავად, რომ ავსტრიელი მწერლის ტექსტი მეტაფიზიკურია და, ერთი შეხედვით, არავითარი კავშირი არა აქვს ფრანც კაფკას ცხოვრებასთან. ამის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება ფრანც კაფკას ნაწარმოები „მეტამორფოზა“, რომლის ნაკითხვა გაძნელებულია, თუ არ იცნობ ავტორის ბიოგრაფიას, რომელსაც თავად მწერალმა „წერილები მამისადმი“ დაარქვა.

ცხადია, სიტყვა ბიოგრაფიის მე პირობითად ვხმარობ. რადგან ამ წერილებში ფრანც კაფკა მხოლოდ და მხოლოდ თავის დამოკიდებულებას ასახავს მამისადმი და არამც და არამც არ ცდილობს თავისი ბიოგრაფიის ტრადიციული ვარიანტი შემოგვთავაზოს.

მხოლოდ „წერილები მამისადმი“-ს გაცნობის შემდეგ შეიძლება ჯერ ჩანდეს და შემდგომ კი გაიზაროს „მეტამორფოზაში“ აღწერილი კომპარული ზმანებისა თუ ხილვის იქით განუსაზღვრელი ძალაუფლებით მთვრალი მამის გულგრილობა და ზიზღი პატარა ფრანც კაფკასადმი. როცა მოთხრობა „მეტამორფოზას“ პერსონაჟი მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ ის მახინჯი და უცვლელი და ზიზღისმომგვრელი ხოჭოა ქცეულია.

ჩვენ, მისი მკითხველნი, ამ უჩვეულო ბიოგრაფიული ტექსტის დახმარებით გავანალიზებთ, რომ ეს ზმანება-ხოჭო თავად ფრანც კაფკას პიროვნულ, სულიერ სიმაღლეს განასახიერებს, ხოლო ამ მწერის გულგრილი დამკვირვებელნი, იგივე ამ მოთხრობის პერსონაჟები კი მამის ტირანისა, რომელიც მასის ტლანქი, უგონო ენით მეტყველებს და სრულიად ყრუ და ბრმა რჩება ფრანც კაფკას განსაკუთრებული პიროვნული თვისებებისადმი.

და როცა „მეტამორფოზაში“ მოუხერხებელი მწერი უბრალო მოძრაობასაც კი ვერ ახერხებს, ჩვენ ისევე და ისევე ბიოგრაფიის ტექსტის ფარული ხმა გავგვიძვება და აღმოგვაჩენინებს, რომ ჩვენს წინაშე მამის სამყარო იხატება, რომელშიც პატარა ფრანცი არც არასოდეს ჰყვარებიათ.

და რომ არა ბიოგრაფიის ტექსტი, ჩვენ აღნიშნულ ნაწარმოებში გადმოცემული კომპარული ხილვის იქით ვერ ამოვიკითხავდით და ვერც აღმოვაჩენდით, რომ ავსტრიელი მწერალი არც უპირობოდ იღებს და არც განსჯის მამას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ყველა და ანალიზებს მათ ურთიერთობას, როგორც ადამიანის მიმართებას ადამიანისადმი, და ამას ისე აკეთებს, რომ უარს უცხადებს ღვთაებრივ ძალას, იყოს მედიატორი მათ ურთიერთობისას.

მასსადავამე, სწორედ ფრანც კაფკას ბიოგრაფიაა ის ერთადერთი მეგზური, რომელმაც მიგვანიშნა, რომ მოთხრობა „მეტამორფოზა“ ძველი და ახალი აღთქმის სრულიად ახლებურ ნაკითხვასა და ინტერპრეტაციას გვთავაზობს, სადაც იმთავითვე გაუქმებულია მამის, როგორც ღვთაებრივი ძალით მოვლინებული პირის უპირობოდ მიღება და მასსადავამე, მამა აღარ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ იმ წყაროს, რომელმაც მას სიცოცხლე უბოძა. არამედ ის მის წინაშე დგას, როგორც მსაჯული და მოსამართლე, როგორც უცხო ძალა, უხეში და დაუძლეველი.

სრულიად განსხვავებულია ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფია. მასში არასოდეს აღძრულა მშობლების განსჯის სურვილი, რადგან ის იმ გარემოში იზრდებოდა, სადაც ყველაზე დიდი ღირებულება ღმერთი, სამშობლო, ენა, მშობლებისადმი სიყ-

ვარული და ურთიერთპატივისცემა იყო. ხანდახან, როცა მის ბიოგრაფიულ ფაქტებს კითხულობ, ისიც კი გეჩვენება, რომ ის არამინიმალური სამყაროზე საუბრობს. ჭაბუა ამირეჯიბი უფრო მარსელ პრუსტის დარად პასუხობს კითხვაზე – რა არის ბედნიერება? – ბედნიერებაა დედის სიყვარული.


და აღარ გიკვირს, რომ როცა დედის სახე გაიხსენებ ნაწარმოებში, პროზის მკაცრ ტონალობასა და აზრობრივ დატვირთვას პოეზიის აღმტაცო, უხვად დატვირთული მჟღერი მეტაფორები ცვლის. დედის სახე რომ უდიდეს როლს თამაშობს ავტორის შემოქმედებაში, უფრო მეტად ჩვენვდებით, როცა „გიორგი ბრწყინვალეში“ ჭაბუა ამირეჯიბის დედის სახეს გიორგი ბრწყინვალეს დედის, ნათელა ჯაყელის სახეში ამოვიცნობთ.

აი, ეს ფრაგმენტი-მტკიცებულება:

„სცრიდა, ნამგზავრს სახეზე ცვარი მსიამოვნებდა. მომაგონდა ნეტარსენებულმა დედამ ჩემმა, ნათელამ, ბორჯომის წყლებზე ყოფნისას, ჩანჩქერთან მიმიყვანა, – ნახე, რა ლამაზიაო. წყალვარდნილმა მიმიზიდა, ზედ მივედი, სახეზე უჩინლევები დამცვივდა. ისე მესიამოვნა და გამახარა ამან, რომ მთელი სიცოცხლეზე გამომყვა ის მადლი. საკვირველი ის იყო, რომ არ დავსველებულვარ, სახე მშრალი მქონდა. ერთხელაც იყო ასე, ბავშვობაში ციხისჯვარს ვყავდი პაპას, მდელიზე გულაღმა ვინექ, დასავალს გავცქეროდი.

ჟაკლინ სირაძე

ავტორის ბიოგრაფიის ამოკითხვა – პერსონაჟის მიღმა



შორიდან წვიმის ფარდა წამოვიდა, ახლოვდებოდა, ერთი გაფიქრება მქონდა, – ავდგე, გავცვალო დამასველებს-მეთქი. არ ვიცი, რატომ არ ავდექი. მოვიდა ის ფარდა, გადამიარა და წავიდა, დამნიშნა ეგ იყო. არც დავსველებულვარ და არც. ახლაც ასე მოხდა იმ კაცის სვეტისა და წმინდა გიორგის მოლანდებზე – სახეზე მცრიდა და არ კი დამასველა“.

თავის მოგონებებში ჭაბუა ამირეჯიბი ანალოგიურად აღწერს ერთ-ერთ შეხვედრას დედასთან. შედარებისთვის მკითხველს ვურჩევ ნაკითხოს ჭაბუა ამირეჯიბის შედგენილ წიგნში „აბდაუბდა მინიატურები“.

აი, ფრაგმენტი ერთ-ერთი მინიატურისა:

„მივსვირნობდი ცხონებული დედაჩემი და მე ბორჯომის პარკში. ჩანჩქერთან გავჩერდით, – ნახე, როგორი ლამაზიაო, – დედაჩემმა. მიმიზიდა, ზედ მივედი, სახეზე უჩინლევები დამცვივდა. ისე მესიამოვნა და გამახარა ამან, რომ მთელი სიცოცხლეზე გამომწვდა ის მადლი. ახლაც წარამარა მომაგონებდა ხოლმე.

ბავშვობაში იყო, კიკეთში მდელიზე ვინექი, დასავალს გავცქეროდი. შორიდან წვიმის ფარდა წამოვიდა, ახლოვდებოდა. ერთი გაფიქრება მქონდა, – ავდგე, წავიდე, დამასველებს-მეთქი. არ ვიცი, რატომ არ

ავდექი. მოვიდა ის ფარდა, გადამიარა და წავიდა. დამნიშნა, ეგ იყო.

არც დავსველებულვარ და არცა!“

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ასევე რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ქალი დილიკა, იგივე განთიადის ქალღმერთი ეოსი, იგივე ცხოვრების ხე, რომელთანაც მეფე გიორგი თუ გარეგნულად ხორციელ ურთიერთობას გააბამს, მისტერიის ენაზე კი ცხოვრების ხეს იგემებს და ასე ეზიარება უკვდავებას (რაზედაც უკვე გავამახვილე ყურადღება სტატიამში „დაფაზე ცარციტი დაწერილი ტექსტის წაშლის ხელოვნება“ – „ლიტერატურული კაზეთი“ №110), დილიკა – განთიადის ქალღმერთი ეოსი – გიორგი ბრწყინვალეს წინაშე ამაყად წარსდგება, რადგან ის იმ სამოცდასამ ქვაბულთან წარმომადგენელია, რომელთაც სამშობლოსათვის თავი განირჩეს. და ჩვენ აქაც ისევე ავტორის, ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფიას ვკითხულობთ.

აი, რას წერს მიხომოსულიშვილთან ინტერვიუში ჭაბუა ამირეჯიბი:

„ამირეჯიბთა გერბი ყველა პერალდიკურ გამოცემაშია დაბეჭდილი. რაც შეეხება ჩემი გვარის წარმომავლობას, მოგახსენებთ, რომ ჩვენი პირველი წინაპარი, ვინც დავით კურაპალატისგან საამირეჯიბო ხელი და ქართლში მისგანვე მამულები მიიღო, იყო ქურციკი (ქუცნა) ქვაბლიძე (ქვაბულიძე, რაჭველი ციხოვანი აზნაური). ადვილი შესაძლებელია, ამირეჯიბები და ფალავანდიშვილები ამ ერთი

ყაენს გამოეცხადნენ. არც ის არის ცნობილი, იქ რა მოხდა, როგორ წარმართა შერიგების მსვლელობა. ცნობილია მხოლოდ, რომ მონღოლებმა სამოცდასამთავე ამირეჯიბს თავი წააგდებინეს“.

დაბოლოს, ჭაბუა ამირეჯიბი ასეთ კომენტარს დაურთავს თავის მონათხრობს:

„ერთი გვარის მიერ გაღებული ამდენი და ერთდროული მსხვერპლი ქართველი ერის ისტორიაში, რამდენადაც ვიცი, ცნობილი არ არის. პირადად მე, ასეთი ფინალის მიზეზად აქ ჩასულ „მონღოლთა ზედა“ არაერთგზის გამარჯვებული ამირეჯიბების ამპარტავნებასა და მკაფიოდ გამოხატულ მუხლმოდრეკობას ვთვლი, რაც ყაენმა პირად შეურაცხყოფად მიიღო, ურჩთ ყაენური პასუხი მიაგო“.

მამ, ასე, როცა დილიკა ტექსტში თავისი მოდგმის ტრაგედიასა და გამირულსულზე საუბრობს, რომელთაც მონღოლებმა სამოცდასამთავე ამირეჯიბს (ქვაბლებს) თავი წააგდებინა, აქაც ავტორის, ამირეჯიბის საგვარეულოს ტრაგიკულ-გამირული ფურცლები მეორდება ტექსტში.

ეს იმაზედაც დაგვაფიქრებს, რომ დილიკა, რომელიც ჭაბუა ამირეჯიბის გვარის წარმომადგენელია და თავად ქართველი ერის კრებითი სულის – გიორგი ბრწყინვალეს განუყოფელი ნაწილიცაა, წარმომადგენელია XX საუკუნისა. რაც იმაზეც მიგვანიშნებს, რომ რომანის ტექსტს გარკვეულწილად განაპირობებს XX საუკუნის ფილოსოფიური ნააზრევი თუ

შეხედულებები.

და ჩვენდა უნებურად, ასოციაციით გავგახსენდება დიდ ფერმწერთა სურვილი, თავის დიდ ტილოებზე ინკოგნიტოდ გამოესახათ თავიათი თავი, რაც იმაზედაც მიანიშნებს, რომ ის, ავტორი, არა მარტო დამკვირვებელია, არამედ მონაწილეცაა იმ ამბისა, რომელსაც არა მარტო მოგვითხრობს, არამედ მიანიშნებს და განმარტავს კიდევ.


ხორხე ლუის ბორხესის მიხედვით, როცა მაქს ბროდი პლატონის „დიალოგებში“ ამოიკითხავს ფრაზას: „როგორც ეტყობა, პლატონი ავად შეიქმნაო“, ზუსტ შენიშვნას დაურთავს: „პლატონის „დიალოგებში“ პლატონზე მესამე პირობი საუბრობენ“. შეჯამების მიზნით გავიმეორებ მაქს ბროდის ზუსტ შენიშვნას: მესამე პირობი საუბრობენ პლატონზე პლატონის „დიალოგში“. ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალეში“ მკითხველი ვერც კი მოიაზრებს მწერლის ბიოგრაფიის დაუხმარებლად, რომ მთავარი პერსონაჟის, გიორგი ბრწყინვალის დედის – ნათელა ჯაყელისა და პერსონაჟი დილიკას – სიცოცხლის წყურვილის, მარადღეამული ნადილის, სურვილის, ბრძოლისა და ცთომის – ცხოვრების ხის ანალოგის იქით იმალება ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფიის ნაწილი და მისი ავტოპორტრეტი, მისი გვარის უძველესი წარმომავლობის დოკუმენტი.

„ნაპოტის სუნიტ აქოთებულ ცივ ოთახში დედა ბიჭს აბანავებს. ბიჭი არც ისე პატარაა, ეს ამბავი, დღესაც, რომცდასამი წლის შემდეგაც არ ახსოვდეს და არც ისეთი დიდი, რომ შიშველს დედისა შერცხვებს... ასე იწყება ნუგზარ შატაიძის ერთი შესანიშნავი მოთხრობა — „9 მარტი“. ამ წლის ცხრა მარტს 70 წელი შესრულდა მისი დაბადებიდან. საოცარია, მაგრამ ამ, მრავალჯერ ნაკითხულ ნივთში, რომელიც ჩემს მაგიდაზე დევს, ყველა აბზაცი თითქოს ახალია და ჯერ ნაუკითხავი. ყოველ ჯერზე მკითხველს ახალი აზრობრივი, გრძობადი და ესთეტიური პორიზონტის, ენობრივი ნახანავის ან მოულოდნელი ლექსიკური მარგალიტის აღმოჩენა ელის. ვილაყამ თქვა (თუ არ ვცდები პასტერნაკმა) — ამ ქვეყნად ნიჭი ის ერთადერთი სიახლეა, რომელიც ნამდვილად და მუდმივად ახალია. ამ ნამდვილი და მუდმივი სიახლის საიდუმლო, რომლითაც ნუგზარის პროზაც და მისი პიროვნებაც თანაბრად შემოსილი, ქართული ენის ნიაღშია მოთავსებული. ახლა ვფიქრობ, რომ სამყარო მისთვის ღმერთისგან ნაბოძები საოცარი ნიჭი იყო, რომელსაც ქართული ენის გასაღები მთარგმნე და ხარბად, შეუსვენებლად იკითხა აღსასრულამდე. ძნელად თუ გაგახსენდება კაცს სხვა თანამედროვე მწერალი, რომელიც ასე ეჭირისუფლა, ემსახურა, ეხარ-კამეჩა საკუთარ ენას. მისი პერსონაჟების მონუმენტურობა ამოზრდილია არა სიუჟეტის ოსტატური ხეულებიდან, არამედ განუმეორებელი ენობრივი ქსოვილიდან, რომელიც ფაქიზად, ძუნწად და ზუსტად ასახავს ადამიანისა და ერის სულიერ თავგადასავალს. ამ ენობრივ ქსოვილში ერთმანეთისგან განცალკევებით არ არსებობს წარსული და აწმყო, ისტორია და დღევანდლობა. აქ მარადიულ მთლიანობაში სახლობენ წინაპრებიცა და თანამედროვენიც. ეს არის მისი და ჩვენი, ენაში გათლიანებული სულიერი სამშობლო. ეს არის „ხევსურის ხმალი“, „ელიქარი“, „ნოემბრის წვიმა“, „ლოდი“, „სისუა“ და სხვა მრავალი, პირველ რიგში კი, რაღა თქმა უნდა — „პურის მოთხრობა“... მოთხრობა უნდა ავტორმა, თორემ ასეთი ჟანრის ნაწარმოები სხვა არც ნამიკითხავს და არც მსმენია. მე მგონი, ეს არის ენობრივი ჯადოსნობით მხატვრულ რეალობად გადაქცეული ეთნოგრაფიული ნაშრომი, რომელმაც ქართული ენის სტიქიაში მარადიული სასუფველი გაუჩინა უძველეს სამინათმო-

ქმედო ცივილიზაციას, იმ დაკარგულ სულიერ სამყაროს და უფაქიზეს ყოფით კულტურას, რომლის გარეშეც ჩვენთვის სამშობლოს განცდა უსრული და ხარვეზიანი იქნებოდა. როდესაც „ცხელი ძაღლის“ სცენარზე ვმუშაობდით, აღმოჩნდა, რომ ნუგზარ შატაიძე ბრწყინვალე ფაბულიანტი, დეტექტიური სიუჟეტების გამომგონებელი და დედუქციის უბადლო ოსტატიც ყოფილა. პირდალბეული ვუყურებდი მისი ფანტაზიის ლაღ და თავისუფალ ფრენას, ვინაიდან მის ლაკონურად დახვეწილ პროზაში ასეთი გატაცება რთული სიუჟეტური პერიპეტეებით არასდროს შემინიშნავს. სწორედ არის — ამგვარი დრამატურგიული ზედ-

მეტობანი უეჭველად დაარღვევდა შატაიძისული პროზის ენობრივ ქსოვილს, ის კი, უპირველეს ყოვლისა, ენის კაცი იყო. ამავე დროს, მისი პროზა საოცრად ვიზიონერული, შეიძლება ითქვას, კინემატოგრაფიულია. ის არასდროს წერს მხოლოდ იმას, რასაც გრძნობს. როგორც ყველა დიდი მწერალი, ის ხედავს კიდევ იმას, რასაც წერს. „გალმა ნაპირის“ კინემატოგრაფიული წარმატება ამისი ნათელი დადასტურებაა. პარადოქსალურია, რომ ეს ენის ქურუმი და მუდმივად ენობრივ სტიქიაში მცხოვრები კაცი, სულაც არ იყო ასკეტი. პირიქით — საოცარი გახსნილობა სამყაროსა და ადამიანების მიმართ, ალტაცებისა და

# ენის მუდმივი ბინადარი



## პაზის ცრემლივით საკვირველი

ვის სისხლი. მეორედ ჯემალ მონიავა და ჯემალ ზენაიშვილი ჰყავდა სტუმრად. იყო ერთად ყოფნის სიხარული და მინორით შეფერილი, ნახევარტონებით თქმული სიტყვები. მესამედ... აღარ იყო. მაგრამ იმის შემდეგ უფრო არის. მუდმივად. ყოველდღიურად. უწყვეტად. არყოფნით არის. ხატება არ იცვლება: მაღალი, ბრგე, მხარბეჭიანი, ხშირი ჭალარა წვერ-ულვაშით, დადარული შუბლით, გვერდზე გადავარცხნილი შეთხლებული თმებით, კეხიანი ცხვირით, სქელი ყორნისფერი წარბებით, გიჟრის თვალებით, რკინისფერი სახით და თბილი, თანამგრძობი ღიმილით. ბუნებით მხატვარი იყო. ყველაფერს თავისი კოლორით აფერადებდა. ამბობდა კიდევ, თხრობა არ მიყვარს, მე მიყვარს ხატვა. თხრობას ძალა სჭირდება, გონების ძალდატანება. თხრობის დროს დაძაბული ვარ, ერთი სული მაქვს ხატვაზე როდის გადავალო. ხშირად ვფიქრობ ნუგზარ შატაიძის პროზის სტილზე. არის აქ გადმოცემის თავისუფლება, ფსიქოლოგიური სიმართლე, ზუსტი დეტალები, ყოფითი კოლორ-

იტი, ემოციური მუხტი, მაღალი მორალი და, რაღა თქმა უნდა, სიტყვა. სიტყვა განსაკუთრებულ როლს ასრულებს მის შემოქმედებაში. „სიტყვას გაჯინიანება არ უყვარს, არ უნდა მიეძალო და გულის ღარიდან თავისუფლად მიუშვას აზრთა სადინარში“ — ესეც მისი სიტყვებია. მას შეეძლო საგნები ისე აღენერა, რომ შენამდე მოეტანა არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმა, ფერი, ხმა. ეს ნიჭი მამაპაპისგან მოსდგამდა, იმათგან ჰქონდა ნაანდერძევი, ნასწავლი, შეთვისებული. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა თითოეულ სიტყვას, რადგან იცოდა, რომ სიტყვა მარტო ბგერები არ არის, არამედ ეს არის საგანი, წინაპართა ცხოვრების ანარეკლი, მათი კურთხეული სულის გამოწამოქეტი, ეროვნული ყოფიერების ქვაკუთხედი. გულის ტკივილით უყურებდა, თანდათან როგორ ქრებოდნენ ძველები და მათთან ერთად სიტყვებიც, რომლებიც აღნიშნავდნენ უქმად დარჩენილ, გადაყრილ საგნებს. ამ ტკივილმა დაანერინა „პურის

გაოცების ბავშვური უნარი მისი პიროვნების არსებით ნახანავს წარმოადგენდა. მისი ცხოვრების სტილს, ერთი შეხედვით, უფრო ჰედონისტურ-რაბლეზიანური ეთქმოდა, ვიდრე ასკეტური. ნუგზარის მგზნებარე თამადაობა, კულინარიული გამომგონებლობა, აზარტული მობილიარდობა და ცხოვრებისეული სიბრძნე ჰარმონიულად იყო შერწყმული და შეზავებული ტიტანურ შრომისმოყვარეობასთან. ხანდახან მგონია, რომ ნუგზარ შატაიძე იყო ცოცხალი ხორცშესხმა ალორძინების ეპოქის ადამიანური ფსიქოტიპისა. ვისაც მოუსმენია მისი ნამღერი „ურმული“, ან უნახავს ზეთში შესრულებული მონუმენტური პანო — „მამალი“, დამეთანხმება. სამეცნიერო კვლევის უნარი და ფართო ხედვა, რასაც ის ავლენდა ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური თუ პალეო-აგრონომიული ძიებების დროს მას აშკარად განასხვავებს ჩვენი, ვინრო სპეციალიზაციის ეპოქის ადამიანებისაგან. ერთხელ დილაადრიანად დამირეკა, აკა მორჩილადის „მადათოვი“ თუ ნაიკითხე, მგონი, ძალიან მაგარი ბიჭია და შენ რას ფიქრობ? იმდენად გახარებული იყო, რომ ვერ ვკადრე, მეთქვა — ჯერ მიხნავს და რა დროს ლიტერატურული დისკუსტია მეთქი. ასეთი აღფრთოვანებული ზარები და სხვათა წარმატებით გამოწვეული გულწრფელი სიხარულის გაზიარება ნუგზარისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაც, სამწუხაროდ, სულაც არ არის ჩვეულებრივი ჩვენი ეგოცენტრული საზოგადოებისათვის. როცა გერმანიაში მივფრინავდით და ილუმინატორში დიუსელდორფის მახლობლად გაშლილი სანიმუშოდ მოვლილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გამოჩნდა, ნუგზარმა იყვირა: „ბარაქალა გერმანელებს! დიდი ხალხი ყოფილა, როგორ ყვარებით თავისი მიწაო“ და ტაში შემოჰკრა.

ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც შემოქმედი კაცის ადამიანური განზომილება შეესატყვისება და, გარკვეულად, აჭარბებს თვით მისი შემოქმედების მასშტაბს. სწორედ ეს ადამიანური განზომილებაა, რაც ასეთ მწარე მონატრებას იწვევს, თორემ მწერალი ნუგზარ შატაიძე არსად ნასულა, ის ისევ იქ სახლობს, სადაც ყოველთვის სახლობდა — ქართული ენის ნათელ ნიაღში.

### კოტე ჯანდირი

მოთხრობა — ქართული პროზის შემდგერი, წარსულის ნოსტალგიური სიმფონია.

მოთხრობაში გაცოცხლებულია დრო, როდესაც პური ადამიანებისთვის ღვთაებასავით წმინდა იყო, როცა ხენა-თესვა და მოსავლის მოყვანა საუფლო საქმედ იყო მიჩნეული, როცა შრომა ზნეობრივად წვრთნიდა ადამიანებს.

„ისინი, რახანია ნასულიყენენ, — წერდა ნუგზარი, — სათითაოდ გაკრეფილიყენენ და თან წაელოთ დაკოჟრილი, მაგრამ მაინც რბილი და ალერსიანი ხელეები, მტკივანი სახსრები, შუქდაკლებული თვალები, გატეხილ გულეები. მათთან ერთად გამქრალიყო კალო და კვერი, ხარი და გუთანი, ტაბიკი და აპეური. განვლებულიყო ფქვილის ამბრისა და პურის კიდობნის სურნელი, დავიწყებას მისცემოდა უამრავი სიტყვაც და, მართალია, მიწა ისევ იმოსებოდა მწვანე ბალახით, ისევ ჭიკჭიკებდნენ და უსტვენდნენ ჭრელი ნიჭები, მაგრამ ახლა იმათ სახელები აღარ ჰქონდათ — უსახელოდ ყვაოდნენ, უსახელოდ ჭიკჭიკებდნენ“.

მართლაც, რა ძნელია, გესმოდეს ჭიკჭიკი და ვერ ხედებოდე, რა ჩიტი ჭიკჭიკებს, ხედავდე და არ იცოდე, რა ყვავილი გახარებს, უყურებდე ნივთს და არ იცოდე, რა ჰქვია, რისთვის იყო.

ძალიან განიცდიდა, რომ მოვწყდით დედაბუნებას, რომ გავლარბდით სულით, ზნეობით, მორალით, ენით, ფიქრით, ფანტაზიით, თუმცა თავისი შემოქმედებით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დარღვეული ჰარმონია როგორმე აღგენილიყო და განვითარებულიყო. ახლაც ამას აკეთებს მისი წიგნები, სადაც ცოცხლობს მაღლიანი მწერალი — მინის მოქმედის ძალ-ღონით, გუთნისდედის პატიოსნებით, მეომრის თავდადებით.

### ივანე ამირხანაშვილი

თოვლის მავა

მე თოვლის მეფე ვარ, მე თოვლის ხელმწიფე ვარ. მე მიყვარს, რომ თოვლი აქა-იქ შემწიფდება, როდესაც ქვეყანა მის გახდას აგვიანებს და ჰგვანან ხეები ქალღმერთის ფრთხილად მიყვარს, რომ ფიფქები სიჩუმის ჩამიჩხვად მოფრენენ და ფრენის სურვილი გამიჩნდება... მე მიყვარს!.. მე თოვლი თვალისა და ჩაცვნილი მაქვს სულში და სული მას მიცრის საცერით, რომ უფალს მივართვა, შესაფერ მოსასხამად, იმ დღესვე, იმწუთას — აქედან როცანავალ... მე მიყვარს!.. მე თოვლის ასეთი შეყვარებით გადავლე ზედმეტი განცდების ზეკარები... — მე თოვლის მეფე ვარ, უტახტო, უგვირგვინო. მინდა სულ თოვას და ფანტელეებს ვუღიღინო, და როცა მათ ციურ სახეებს ვაცქერდები, მინდება — მათებრი გამოსცენ გაზეთები, რომ ყველა სიტყვა და სტრიქონი მღეროდესდა — არ ეყმონ პილატეს, არ ბჭობდნენ ჰეროდესთან... და კიდევ იმიტომ შევხარი ამ ფანტელეებს, რომ, როცა მოგვედები, თავიდან დამბადებენ, ისევე მაქცევენ ვალმოხდილ ხმელ ნიფელად... მე თოვლის მეფე ვარ, მე თოვლის ხელმწიფე ვარ, აუუვლი ქარ-წვიმებს, აბეზრებს, ამპარტავენებს და — თუკი დღეები დამშლიან, დამფანტავენ, თოვალში მექნება იმედი გამთელეების... და როცა ზემოდან მოფრენენ ფანტელეები — ლომივით მაცხრება სურვილი — მიფრინავდე ზემოთკენ, ზემოთკენ, ზემოთკენ სიკვდილამდე.

სახე

ადამიანის სახე ვიტრინაა, დანარჩენი სხეული კი, გამოსაჩენი არ არის და მას ამიტომაც იფარავენ... ადამიანის სახე ვიტრინაა, რომელშიც გამოფენილა პატრონის გულის ფიქრები და სატიკვარები, პატრონის ყველა მიღწევა და მარცხი ყოველი, პატრონის ანმყო და წარსული და, გამონაკლის შემთხვევაში, მომავალიც კი. ადამიანის სახე ვიტრინაა, ოღონდ სახე ჩვენ ვიტრინად რომ დავინახოთ და მასში რაც კი გამოფენილა, ყველაფერი რომ შევამჩნიოთ, თვალეები უნდა გვქონდეს ისეთი, როგორც არის სათვალე ღამის ხედვისთვის.

ფოთოლცვანაში

ყურს ვუგდებ ფოთლების ფირფიტებს — ყველაში მუსიკა ფარფატებს, ზოგში თუ მკვნესარი არფადევს, ზოგიდან — ხმა ისმის ბარბითის და ჰაერს — სუყველა პირბადობს... გავექეცე ტკივილს და ჭირბატონს და გრძობა გულიდან ჭარბად თოვს და სულში მუსიკა ფარფატებს, რომელიც ფოთლების ფირფიტებს აუდით სამოთხის სურნელად — ანდანტედ: სულ მდორედ, სულ ნელა...

თეთრი

გეტყვი როგორი თეთრი მიყვარს: არა ქალღმერთი და არა ბამბასავით, და არც თოვლივით, და არც რძესავით, არამედ მიყვარს ისეთი თეთრი, როგორც იყო დედაჩემის თმა, როცა, ძალიან დამცხაო და, შავი თავშალი გადაინია, რამდენიმე წუთის წინ — სიკვდილამდე.

რწევა ქარში

ისე ჰქრის, ქვეყანა ირწევა აკვანივით, ხეები გამხდარან ზღაპრული პაგანინი — ხელებში უჭირავთ ტოტების ვიოლინო და დაკვრა ყველასთვის ძალიან იოლია... უკრავენ მუსიკებს, ქარისგან მონაცელებს და ყველა გამხდარა კონცერტის მონაწილე, რომლებშიც მოკვდავნი ვერასდროს დაუკრავენ. ერთმა ხემ, რატომღაც, იმ ჩემი დაუგაველ დაქალის ცეკვა და სხეული გამახსენა... და კალამს მოუნდა ქალღმერთის ავანსცენა... ქარი კი, ჰქროდა და ხეების კენწეროებს გრძობები ისეთი განცდებით ესწრებოდნენ, როგორც დღეს საბრძოლო კინოფილმს ბავშვებიდა მწვანე თმაც ცვიოდა დაფნების თავშლებიდან და სული კვნესოდა, ირწევა სივრცეოდა ხეების შფოთვისგან ქვეყანა ირწეოდა და რწევა ქვეყანას შვენიოდა აკვანივით და იყო ყველა ხე — ზღაპრული პაგანინი...

ბათუ დანელია ARTეკლები



წყალი

წყალს ვერაფერი მოვუხერხებ სულ ყორნის ხეხვას მაგონებს მოვუშვებ თუ არა ონკანს ისე წამოვა ისე უთავბოლოდ რომ რაც უნდა დიდი ჭურჭელი შევეუდგა მაინც ვერაფრით ვაშლევინებ ოკეანისკენ ლტოლვისა და ოკეანესთან შეერთების სურვილს.

ვთამაშობ

ჯემალ თოფურუდის ხსოვნას

ლექსებით შობილებს, ვერ ვირჩენ ამიარებს, რომლებმაც ფიქრიდან თითებშიც გამიარეს... და ჩემში მტკივანი — ყოველი წამი არის. ხშირ-ხშირად ვვარდები სტროფების ჰამაკიდან, როდესაც სწადიათ — მუსიკას გამაკიდონ, რომ გაყრა ვიხილო მუდმივთან ჟამიერის... და წერა გამიხდა — თამაში სამაგიდო...

ვთამაშობ და ხშირად ვაფუჭებ საფლეშებს... ტაეპნი ჭრილობებს ჰგვანან და მახვნიშებენ, რითმები აგებენ სახლებს და სახლებშივე რჩებიან — ამ პროცესს ვერაფრით ავცდები და ჯობია იტანჯო ფორმითაც, აზრებითაც და იყო ამათი მგლებისგან დაგლეჯილი და სალბუნს გაცხებდნენ კალმები პასტებიდან...

ჯიბაჯი საყვაროს სამოსელზე

სამოთხე და ჯოჯოხეთი — ქსოვილი და სარჩული ხომ არაა იმ სამოსელის, რომლითაც სამყაროა შემოსილი და რომელსაც აქვს ძალიან ღრმა ჯიბეები, როგორც შიგნით (სარჩულზე), ასევე გარეთ (ქსოვილზე), რომლებშიც სულელებს იდებს სამყარო! — და თუ ასეა, სამოთხეს და ჯოჯოხეთს, რომელს რომელი ჯიბეები ეკუთვნის — შიგნითა რომელს, გარეთა რომელს — ამას უთუოდ მნიშვნელობა ექნება დიდი...

შვილები

შვილები! შვილები! შვილები თუარაგვყავს, რაღაცით ლოთს ვგავართ, უღვინოს, უარაყოს და სიზმრად მოგვესმის ჭაკების, ულაყების, ჭიხვინი და ცხადში მშობლობა გვენატრება, და ყველა შავ ღრუში გვინდება შენათება... მოკვდავებს გულის სრულად შვილები ულალებენ და სულშიც შვილები უნთიათ კელაპტრებად...

ლექსები, თუმცა ფერით მოგვანან ყვავისშვილებს, შვილებად მყვანან და გულიც კი დავიმშვიდე... ვძგერ სიტყვის კლავიშზე და სიტყვის კლავიშშივე დავფრენ და არ მახსოვს თავიც და ღმერთიც კიდა სიცოცხლე რა არის? — გზა არის ერთიციდა და უფრო მოკლეა, თუ ვტკეპნით გავგებებით, ან, თუკი დავყურებთ ბახის და ვერდისციდან...

ირონია ქალზე

ქალი არა მხოლოდ მკლავებში თავშიც კი უნდა ჩავინვინოთ (როცა გვინდა გადავუმალლოთ ვინმეს) ოღონდ იმ ადგილას არა სადაც ტვინია განლაგებული

თორემ ქალის ცნობისმოყვარეობის ამბავი რომ ვიცით ტვინი კაკლის დარჩეული ლებნები ეგონება ან საიუველირო მაღაზიაში გამსვლელი ლაბირინთი და რა დღეს დაგვყრის უფალმა უწყის.

დროთა შესახებ

როგორც არ უნდა ველოდეთ მომავალს ფანტომად, ან ანმყოს გაიდუმლებას რა დროც არ ვანდომოთ, საიდუმლოსთვის ადგილნი, ყველაზე სანდონი, არის წარსულში, სადაც ხმას ქარიც კი არილებს და დროის მტვერი ტონობით აყრია თარილებს... და ველარ ვიგებთ, ვინ კოცნა დედოფლის სანდალი, ან მინა თუ მასპინძლობდა როდისმე მარიხელს.

წარსული ანმყოს ნახელავ ჯემებს და მურაბებს მუდამ ამეტებს სიტკობით, ამიტომ ნურაფერს ვუპირებთ წარსულს! წარსულის კედლებში ზურაბის გულს უფრო ულხინს, ვიდრე ჩვენ დღევანდელ ტრაპეზზე. წარსული მწარეც ტკბილია, წარსულის ნაკვესებს აქვთ გავსებული ანმყოსი ბელელიც, ყულაბაც, და ანმყო მაინც წარსულთან საქმიშვედ გვაქვებებს...

მომავალია სასტიკი, — მომავალს ვუშინდეთ! მომავალს ძალუძს, ისართან დაგვტოვოს უმშვილდოდ, ან გვამოდრაოს წვალეების ძრავაში დგუშივით, ანდა შეგვწიროს ვილაცის მიღწევას — ბატკანად... და გუშინ — ბევრად ახლოა ხვალეზე, რადგანაც ხვალ რა მოგველის, არ ვიცით, არადა გუშინდელ დღიდან წუთები თავებზე მცველებად გვადგანან დღეს...

მშიერი თავის ფანჯარაზე

ჩემი ფანჯრები მალავენ თორემ მათ უნდათ ჩემი გატარება თავიანთ თავში ჩემი ფანჯრები მალავენ თორემ მე მათ ვწყურვიარ და ძლიერ უნდათ ჩამიჩხრილონ თავიანთ უშინგნობო ყელში მინამდე და რა მძიმე და რა ძნელია რომ მათ ყოველდღე უყურებდე შენივე ზომის გამჭვირვალე შუშის თვალეში რომლებსაც ცრემლი არასოდეს არ მოერევათ.

ბარკაროლა

ჩემს ასატანს ვერ აიტანს ბარეორი გზად სულ უნდა შემეყაროს ბარიერი მთაგრეხილი ჩნდება სადაც ბარიარი თუ სველი ვარ წვიმა მოვა ქარიარა აეჭვებთ რომ არ მიზიდავს კარიერა (წინ ვერ წავა ვინაც უკუ არიარა) ხოლო ჩემთვის მუდამ ძველი არიერა მეცოდება გამქრალი და მკვდარიერი გზად სულ უნდა შემეყაროს ბარიერი ჩემს ასატანს ვერ აიტანს ბარეორი.

ბართობანი

თოვლში, ქარში და წვიმაში ვეძებთ საერთოს, მაგრამ ამისთვის საჭირო არის ღმერთობა... ადამიანი რაღაცით უნდა გაერთოს, რომ არ დაობდეს დროით და, ისიც ერთობა.

ყველა ერთობა რაღაცით: ზოგი — პოკერით, ზოგს ართობს სმენა უდაბნოს შინა ლაღდის... ზოგის გამრთობი — ჯაზია, ზოგის — ოპერა, ჩემი კი — ისევ სუფთა და თეთრი ქალღმერთი.

ზოგს ართობს ჭორი, ზოგს — ცილი, ზოგსაც — სიავი, ზოგს — წარმოსახვა თავისა კურბედ, მატისად, ზოგს ართობს ის, რომ ვაქვთ და ველოლიავთ, ზოგს — პოვნა, ფარულ კამერით, კომპრომატისა...

ვინ — გედით ტკებება, ვინ კიდევ — ლამაზ შევლებით. ჩემ ფანჯარაზე მიმჯდარი — ქორფა ბუზია, ამ ბუზის ფორმის კორპუსებს ავაშენებდი, მაგრამ ვაი, რომ არა ვარ კორბიუზი...

ისაჰ სიყვარულზე

შეყვარებული ანათებს... მიდის და ხედავ, როგორ ასხივებს, როგორი ძლიერი, მხნედა შმაგია, და რომ ვერარა ძალაყინს, უროს არ ძალუძს უკან დახიოს, ვერარამ ბუროს მისი მძლეობა! — ამნაირს ვუყურებთ გარეთ, შინაგანად კი, რა ვიცით, დაფნა თუ სურო დააქვს ვნებისა, ლტოლვის კი — მზეი თუ მთვარე.

სიყვარულია სანყისი ნათელის ყოვლის... და როცა თოვა ინყება, ღმერთმანი, თოვლიც შეყვარებული იქნება ცაზე, ან ღმერთზე, ან თავის თავზე, ან მზეზე, აქედან ვერცერთს ვინუნებთ, და რომ შეგვეძლოს, ავკენკავთ, მოვძოვთ, ოღონდ თოვლს უნდა, ყველანი ჩავეკრათ მკერდზე, და ზემოდანაც ჩაგვესმის, უსმინეთ თოვლსო!

### სუნი ქალური

ერთ რამეს გეტყვი უეჭველს, უვარაუდოს: დილით ქვეყანას ქალური სუნი აუდის, ამიტომ მუდამ მგონია: მზე — ქალია და როცა ამოდის, ყოველგვარ რეგალიათა მნიშვნელობაზე ათასჯერ უფრო მეტი ღირს და დედამიწას, თავისი ბებერ ბედობლის, სუნამოს სწორედ სამოთხის გავლით აცხებს და — ასე ფუტკრები ნექტარებს სვამენ ცაცხვებთან... და როცა ფირუზს იცვამენ დილით თალები, ვალებ სარკმელს და ქალურ სუნს შევეჯახები, სუნს, საალერსოდ მიმავალ ლამაზ ქალისას, რომელსაც ჰქვია დიანა, ანდა ალისა, ანდა — ნათელა, ან — ბელა, ანდა — ნინია, მათი სურნელი — სურნელთა პაგანინია... იყო, არის და იქნება სუნი ქალური სურნელებს შორის — ყველაზე უნიკალური.

### მარტის ბოლოს სურათი

სიცივე ჩამოდნა დარდისაგან, რას იზამს, ბოლოა მარტისა და... მზეს გასძვრა პირველი სამოსელი და ატანს ხავერდის ფარდისადარ ღრუბლებს და — ამინდებს ამოს ველი... ატმის ხემ, ვიქცევი არტისტადო! — აპრილში ეწყება გამოცდები...

ჯერ ტოტი უტოკავს... და ეს ტოტი მანიშნებს ნიავექარ-მაესტროთი: გენუკვი, ჩემ კონცერტ-აყვავებას უთუოდ ყველანი დაესწროთო! — სნადია, ირწმუნონ მნახავენმა, რომ ქვეყნად არაა სხვაესთეტი, მსგავს ხიბლის შეეძლოს დახვავება

საკუთარ იერის პოდიუმზე... — უმზერ და ატმის ტოტს როდი უმზერ, გათქვირულ კვირტებით დასახლებულს, არამედ — რეჟისორს, პროდიუსერს, აპრილის სამოთხის გასაღებით, რომლებსაც დამღლელი ლოდინისგან აქვთ ჩვენი თვალები ნასაღები...

### ელზას

რალაცნაირად მეცნობა ჰაერი, ზოგჯერ, თითქოსდა იყოს, წუთის წინ, შენი ნასუნთქი, მე კი, მეგონა, რომ ზედმეტ ტოტივით მოგჭერ ხსოვნის ხიდან და შენ ჩემთვის მორჩი, დასრულდი, მაგრამ სიყვარულს ბოლომდე ვერავინ უგებს და ხან საშეელი ჰგონიათ, ხანაც — აბსურდი, ის კი ადიდებს გულებს და ამცირებს გუგებს...

არ არის, არა! — სიმშვიდე არაა არსად შეყვარებულთა სულთათვის! ყველას უბედო ჰგონია თავი... და თოვლსაც, წვიმსაც, ქარსაც უნდათ, რომ ზურგიც ხელებად გადაეუკეთოთ, რომ მოეხვიონ სიყვარულს მყისვე, იმწამსვე, რადგანაც მასზე სათქმეთ-საქარბუქეთო ადგილი არსად არ არის დედამიწაზე...

### მოხუცთა ნილი გაზაფხული

მოხუცებულმა ცოლ-ქმარმა როცა პენსია აღარ ეყოთ ჩვენ ანი რაში გვჭირდებაო და გაზაფხულს თავიანთი ნილი ჩამოაჭრეს დიდ ძველ გაზეთში შეახვიეს და ბაზარში წაილეს გასაყიდად მაგრამ დედოფლის ხელმანდილივით მოქარგული ნაჭერი გაზაფხულისა არათუ იყიდეს ისიც არავის უკითხავს მათთვის აქ რისათვის მოიტანეთო და ნამოვიდნენ სალამოჟამს და წამოილეს მშვენიერება რამაც ვერვინ მოაჯადოვა და მეორე დილით ადრიან შიმშილისგან დასუსტებულნი თავიანთ ნილ ციცქნა გაზაფხულს მთელი ქვეყნის ვრცელ გაზაფხულზე უნდა გენახათ როგორ აბამდნენ აბრეშუმის ფერად ძაფებით იმ ადგილას სადაც ჩამოჭრეს.

### ჭალი და ჭრაძი

არ ვნანობ ცრემლებს, შენს გამო თქეშვით ნაღვარს, ოღონდაც მწყინს, რომ ამქვეყნად უჩემოდ დახვალ... მეც არ ვუკოცნი ყვავილებს აპრილის ატმებს — არ მახსენებენ ისინი შენს ფრჩხილებს, აღარ... და თუკი შენთვის გაცივდა, რატომღა გათბეს სხვა ქალებისთვის ეს გული! — ჯობია რალაც მოვიფიქრო და როგორმე დავმალო სადმე...

ცისქვეშ ჩხვლეტია როდია ეკალი მხოლოდ — სიყვარულშიც კი იზრდება ქაცვი და ჟოლო, ძმობაშიც გვიჭრის ხელისგულს ნამსხვრევი შუშის, ზოგიერთისთვის სიავე გამხდარა სოლო, ზოგს კი, არ უნდა აყვავდეს შინდიც და ნუშიც, სწორედ ამიტომ მოდის და მოიწევს ბოლო — სააქაოსი და მართალს დავეძებთ ცრუში...

მე კი მიყვარდი და მწამდა — ისეთი იყავ, როგორიც ჩანდი... და მაშინ მომზელდი თიხად და რადაც გსურდა მაქცევდი, მიყვარდი რაკი, და შენც რომ აღარ დამინდე, დამინდობს ვილა! — თავს ვერავისთან იმაღავს განზრახვის ლაქი... და თუ ერთმანეთს ავსებენ დოქი და ჭიქა, ვერ აანთებენ ერთმანეთს ჭალი და ჭრაქი...

### პირი გაზრის კარებთან

ვარამი — ვარსკვლავური ვირუსია, ვირო! ვარამის კლანჭებიდან ველარსაით ნახვალ. ვირთათვის უცნობია ველასკესი, მირო... ვირთათვის პოეზიაც წყალისაა ნაყვა...

და მაინც ვირუქები ჩამოგავხართ სწორედ მხატვრებს და პოეტებს და, მაგათნაირ შეშლილთ, უბრალოდ ყურადღებას არ გაქცევენ, თორემ მათნაირ სიჯიუტეს იპოვნიან თქვენში.

მათებრი მწუხარებაც გეუფლებათ, იქნებ და ძალგიძთ ლირიკისთვის არსებობაც წიროთ, ციდან ხელს შეიძლება ვარსკვლავებიც გიქნევთ, მაგრამ აქ ყველაფერი ვირობაა, ვირო!

### სცენაზეა ფოთოლცენა

ზაფხულს დაუძახეს — ნავიდა, თავის მოთუხთუხე ძრავითა... სცენა ფოთოლცვენას დაეთმო — ძვრება წელიწადი ტყავიდან...

სიომ გამახსენა, ფერადმა, შენი ჩალასავით ქერა თმა, რატომ გამახსენე-მეთქი და — შერცხვა, ვერაფერი ვერა თქვა.

### გადახტა

კაცი გავიდა სახლიდან, არ გაიყოლა ძალი და... რას იფიქრებდა, ცხოვრება თუ ასე ძლიერ დალიდა.

ფიქრობდა: „ცისქვეშ ყოვნება დამფანტავს მწუხარ ხმოვნებად, ცად სიღარიბეს ავცდები, აქ — მელის გამათხოვრება...“ —

გულწრფელი იყო სავსებით, ფრენას ელტვოდა თავზევით... არც ტკბობა სურდა ბადავთან... არც ნექტრის სურდა ავზები...

კლავდა უქმობა სადაგათა, კლავდა სახელი ღატაკ და სანყალ კაცისა... და სკუპ და დედამიწიდან გადახტა.

### მელანსა და ქარს შუა

გუშინ ქარს ხელი ჩამოვართვი, ავივყე შეშლილ მელოდიით... დღესაც, მობუზულს სამოვართან, ეზოში ქარი მელოდება.

სასწაულია, მელანსა და ქარს შუა მფეთქავ ადამის ძეს, სამდლობოს რომ ელვასავით სტრიქონი ღვთისთვის გადამიცემს...

სასწაულია, სასწაული, რომ, როგორც ქორით მწყერჩიტები,

სულს თუ წამოცდა, ცასწავალო, დაფვეთდებით და შეეშინდებით...

და სასწაული ისიც არი (არაფერს ვამბობ მოულოდნელს), რომ ღამით ხე და მისი ცვარი ერთმანეთს ისევ პოულობენ...

და ისიცაა სასწაული, რომ დილით ჩვენი გაღვიძება ჰგავს ბავშვის წასვლას სასწავლებლად და არასოდეს გვაგინყდება...

აქ სასწაული ბედისცინებს დღეებს, წლებსა და ასწლეულებს და, რაც დრო გადის, მედიცინა არკვდომის ნდომით გვასწეულებს...

### თვითგაამოცდა

არა, ღმერთო, შენ არ გაბრალებ. მე — ჩემი თავის მოგონილი ვარ. განა ვინმემ განიზრახა, ასეთი ვიყო. ასეთს სხვა ველარ მომიგონებდა. სხვამ რა იცოდა, თუ რანაირი მინდოდა მე ვყოფილიყავი. მე მოვიგონე ჩემი თავი, ასეთი ხისტი და ამაყი, ასე გულჩვილი და ალალი. სხვამ რა იცოდა, რომ მე მინდოდა, ამ შიმშილსა და ამ სიცივეში, ობლობასა და სიღარიბეში გამომეცადა ჩემი თავი! სხვამ რა იცოდა, მე თუ როგორი მინდოდა ჩემი თავი მენახა! და ღმერთო, ღმერთო, შენ არ გაბრალებ — მე ჩემი თავის მოგონილი ვარ.

### ჟინისჟინი

თბილისელებო, მე გასაოცარს რასგეტყვით! — დღეს ვიოლინოს სიმს მოვუსმინე განყვეტილს: არ გამოვაო პოეტისაგან სპასპეტი!.. მე სპასპეტობა არ მსურვებია არასდროს, თბილისელობის მოპოვებაც კი მარაზმობს... ჩემს არსებაში გზას გააგრძელებს ასკეტი — არ საჭიროებს გონიოსა და თარაზოს...

ჭა ცრემლებისა, თუ ვინცობაა — დამიშრეს, ავაჟღარუნებ დიდ სურვილების კლავიმებს: შინაგნობიდან მონატრებათა ზღვამიქმენს და გარეგნობაც დამდარებია ჟინისჟინს (ან სიღარიბით მეოცნებობას ვინ იშლის!): თუ მეორეჯერ დასაბადებლად გამიშვეს, აუცილებლად დავიბადები თბილისში.

### მკვდარი სტუმარი

უცებ შემოვიდა მკვდარი კაცი, სიტყვა ჩამომიგდო გარიყვაზე, თურმე მოუნდომეს გარიყვადა მამულს მაინც ედგა ბარიკადად... სმენას ვამშვიდებდი ფაფარაშლილს, მას კი, ნალალატვე ტარიგივით, მტრობა ეტყობოდა ლაპარაკშიც...

ნასაფლავარსა და ნაუკუნევს მკვდრობაც დამჩნეოდა საუკუნის, შიშში რას გაიგებ რალა მოჩანს! — ვიდექ ფანჯარასთან სალამოჟამს, გულზე მონატრება შემოვიდე, და, ვით რძე შემოდის კაკაოში, უცებ მკვდარი კაცი შემოვიდა.

ერთ ბრძენს მივამგვანე ძველებიდან... გულზე დაიკრიფა ხელები და, მითხრა: თუ ერთურთი არაფასეთ, ყმობა გელოდებათ ბარაბასი, მისი გახდებითო საუფლო და... მაგრად მივეყრდენი დარაბაზე — ჩემ წინ მკვდარი კაცი საუბრობდა.

სიტყვა უცვიოდა ნაყოფივით! თმები შუა ჰქონდა გაყოფილი! შიშით მახსოვრობა დაიდალა — მაკლდა გაქცევამდე „ჰაიდალა“, რომ მკვდარ მოსაუბრეს დაწთხეული სისხლი გამოექცა საიდანაც, შუბლიც გამოუჩნდა ჩამტვრეული...

ალბარეკოვსკი თვალსაზრისით, ბიბლია წიგნთა წიგნია, ვეფხისტყაოსანი — ქართველთა ბიბლია.

უფრო მართებული იქნება, ვეფხისტყაოსანს ქართული მწერლობის წიგნთა წიგნი ვუწოდოთ.

ორივე დეფინიცია მიგვანიშნებს გენეტიკურად საკრალურ დამოკიდებულებას რუსთაველის პოემისადმი, თუმცა ვეფხისტყაოსანს და მის ავტორს ძველ დროშიც არ დაჰკლებია (ზეპირი თუ წერილობითი წყაროებით), „მეტოქეობა“-მეშურნეობა თუ დოგმატიკოსთა ნეგატიური გამოხედვები და დევნა.

უპირობო მონივნება შოთა რუსთაველის მიმართ გაამჟღავნა XX საუკუნის პირველმა „წარსულის უარყოფელმა“ მოდერნისტულმა დაჯგუფებამ „ცისფერმა ორდენმა“: „საქართველოს პანთეონში ახალი მართალი არსებით უნდა გაიზომოს ყველა პიედესტალი, გადაფასდეს ყველა ღირებულება“ — განაცხადეს მათ.

ცისფერყანწლებმა დეკლარაციულად კი უარყვეს წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობა (მცირე ხნით), სულ „ბდღვირი ადინეს“ ილიასა და აკაკის (მეტადრე, მათ ეპიგონებს) სამოქალაქო მოტივის „გაფეხმების“ გამო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პოზა და ეპატაჟი და არა მათი ჭეშმარიტი მრწამსი, რამაც, სულ მალე, ახლადმოვლენილი ქართველი ფუტურისტები „აღაშფოთა“: „ხალხი, მოსული აბსოლუტური ნილილიზმით ლიტერატურაში, თანდათანობით იჩოქებენ ყოველი სახელის წინაშე ჩვენი ძველი მწერლობიდან და დღეს სულხან-საბა ორბელიანის, ილიასა და ვაჟას ავტორიტეტს ბელაუჭებთან“ — წერდა მათი ერთ-ერთი თეორეტიკოსი.

„ჭეშმარიტად მესაფლავე იყო XIX საუკუნე საქართველოში. პოლიტიკური ნერვების საბედისწერო დაჭიმვამ ესთეტიკური კულტურა გააქრა“ — ეს კი ცისფერყანწელთა სიტყვებია. მათი აზრით, დასაგმობი იყო ილია, რომელმაც სამუდამოდ დასწყვეტა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“, აკაკი, რომელმაც „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა...

იმავდროულად რუსთაველის „ამბარტავანი სახელი“ (ვალერიან გაფრინდამვილის თქმით) ცისფერყანწლებმა შეუბღალავი დატოვეს; ის კი არა და, იგი ევროპული „წმინდა ხელოვნების“ წინამორბედად შეარაცხეს: „პოეტისა რუსთაველის წინ უსწრებს ევროპის იდეას ხელოვნების თვითმიზნობის“.

„ცისფერი ორდენის“ ერთსულოვნება და განუხრელი პიეტეტი შოთასადმი წარმონაქმნა ვალერიან გაფრინდამვილის სიტყვებში: „რუსთაველმა გაიმარჯვა სამუდამოდ: წარსულში, აწმყოში და მომავალში. რა არის აქ მიზეზი გამარჯვების? იდეალური ფორმა, ღრმა შინაარსი, პოემის უნიკერასალურობა და იმავე დროს ეროვნული ხასიათი“.

\*\*\*

საბჭოურმა კონიუნქტურამ ვეფხისტყაოსანი დაგმო, ვითარცა გაბატონებული ფენის იდეოლოგიის გამომხატველი! ლიტერატურის „კლასობრიობისა“ და კომუნისტური ტოტალიტარიზმის ღვიძლი შვილია ანონიმური „ძაღლისტყაოსანი“, რომლის ავტორს ეყო ჭკუა, ბოლშევიკი თავი არ გაემუქვებინა.

30-იანი წლების ბოლოდან სტალინის თვითგანდიდების სურვილმა (მსოფლიოს იგი „ველურ მთიელად“ კი არა, უძველესი კულტურული ერის შვილად უნდა ელიარებინა), იხსნა ვეფხისტყაოსანი; ამიერიდან მის შესწავლასა თუ თარგმნა-პოპულარიზაციას საფრთხე აღარ ელოდა.

ვეფხისტყაოსანის დესაკრალიზაციაში არც XXI საუკუნეს „შეუცხებია“ თავი: პოსტმოდერნიზმად წოდებული, „გადანერვილი“ (//მკრეხელური) „ტრფობა წამებულთა“ თუ „საიდუმლო სირობა“ გახდა ბიძგი ახალბედა ავტორისათვის, კიდევ ერთი შინაური ცხოველის ტყავი „გაემეტებინა“ ტარებისათვის. საოცარია, რომ ინფანტილური ეპატაჟით შეპყრობილ ავტორებს უმალ გამოუჩნდებათ ხოლმე ზრდასრული „ლიბერალი“ წამქეზებლები თუ „დამფასებლები“; ავტორებს იაფფასიანი „პიარი“ ხომ ისედაც გარანტირებული აქვთ, — სამწუხაროა, რომ ყოველივე ზემოთქმული სიტყვის თავისუფლების მაგალითად არის შერაცხული.

ანტონ კათალიკოსის ერთი ოდიოზური გამოხატულება რომ მოვიშველიო, ახალგაზრდა ავტორი ამაოდ დაშვრა და საწუხარს ესე, რადგან ჯერ ყველაფერი წინ აქვს, ნიჭიერებას კი ამგვარი „პიარი“ მხოლოდ აზარალებს.

ლალი ავალიანი

ქართველების წიგნთა წიგნის საბავშვო პერსია

\*\*\*

ზედმეტად „აჩქარებულ“ ახალ დროებას (მილორად პავიჩი წერს: „როგორ შეძლებას ადამიანები იმ სისწრაფესთან შეგუებას, როგორც უკვე ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში ცხოვრობენ, როგორ გავლით ორი დღე ერთ საათში, რა ვუყოთ წარსულს“), ახალი გამოწვევები მოჰყვა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გამოწვევათა განურჩევლობას კი — ლამის ტოტალური უნიგნეორობა. სტატიისტიკაც ამას ლაღადებს და ჩვენი ყოველდღიური „მე-ნიუც“: ელექტრონული თუ ბექდური მასმედიის ლომის წილი მწყრალად არის ზოგად განათლებასთან, წიგნიერებასთან, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართული ენის გაუგონარ შერყვნა-დამახინჯებასა თუ ბარბარიზმების არნახულ მოზღვაებაზე.

2014 წელი ზოგადად წიგნიერების წლად გამოცხადდა; არ არის ურიგო ჩანაფიქრი, თუმცა, ჩემი აზრით, ქართული მწერლობისა და მშობლიური ენის ცოდნას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, — ყოველ დღეს, ყოველ დროს, ყოველ ჟამს და არა ერთწლიანი „აქციის“ მეშვეობით.

მრავალსაუკუნოვან ქართულ ანბანსა თუ ქართული მწერლობის „თხუთმეტ-საუკუნოვან მთლიანობას“ (რევაზ თვარაძე) გლობალიზაციის სახით არნახული საფრთხე დაემუქრა. სრულიად სამართლიანად შენიშნავს მცენიერი და უბადლო მთარგმნელი (რომლისთვისაც მაჩაბლის პრემია ვერა და ვერ „გაიმეტეს“) მანანა გიგინეიშვილი: „ჩვენ ხომ ისეთი უწყვეტი კავშირი გვაქვს ჩვენი კულტურისა და ენის უძველეს შრებთან, რომ მეზობელ საუკუნეში დანერგულ ნაწარმოებს 14-15 წლის ბავშვები სწავლობენ სკოლაში და ესმით. რომელი კულტურული ერის ცხოვრებაში ხდება ასეთი რამ?“ ათიოდე წლის წინ გამოთქმულ ამ არარიტორიკულ შეკითხვას, ქართული ენის უნიკალურობას რომ წარმოგვიჩინოს, საუბედუროდ, ლამის ყავლი გაუვიდეს.

ქართველ ბავშვებს (გგულისხმობ უმრავლესობას — სკოლის მოსწავლეებს და, სამწუხაროდ, სტუდენტებსაც) არამცთუ V საუკუნის თხზულება, ვეფხისტყაოსანიც კი „გაუუცხოვდა“.

კორნელი კეკელიძემ, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა ვეფხისტყაოსანის სირთულე, თავის დროზე, „ძველი ქართული ლიტერატურის“ II ტომში საჭიროდ მიიჩნია პოემის შინაარსის ვრცლად გადმოცემა. არსებობს ვეფხისტყაოსანის რამდენიმე პროზაული ვერსია, განკუთვნილი, ძირითადად, მოსწავლე ახალგაზრდობისა თუ სტუდენტებისათვის. არც ეს აღმოჩნდა საკმაოდ სწავლად; ნეტავი ანეგდოტი იყოს, არადა ფაქტია: მეთორმეტეკლასელს ნესტანი და დარეჯანი ცოლ-ქმარი ეგონა...

რა გასაკვირია, რომ პროფესიონალ ლიტერატორს ჰაგიოგრაფიული ძეგლების თუ ვეფხისტყაოსანის ადაპტაცია ეჩითიროს, ან მკრეხელობადაც კი მიიჩნიოს. ის კი არადა, 1975 წელს ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის ჰომეროსის პოემის „ოდისეას“ ბრწყინვალე თარგმანი (1978 წელს მიენიჭა ივანე მაჩაბლის პრემია) ერთხანს კრიტიკული განსჯის საგანი გახდა — „პროზაულობის“ გამო.

მაგრამ მართლაც რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი. „დროს“ დროულად აუღო ალლო „ქარჩხაძის გამომცემლობამ“ და 2013 წელს უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცხადდა „საბავშვო ვეფხისტყაოსანი“. ანოტაციიდან: „ეს ამბავი რვა საუკუნის წინ გენიალურმა ქართველმა პოეტმა რუსთაველმა, ლექსად დაწერა და შემოგვინახა. რუსთაველის ენა დღეს ბევრისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის, ძნელი გასაგებია. ამ წიგნში ნათლად, საბავშვო ენით, გადმოცემულია „ვეფხისტყაოსანის“ მთელი ამბავი.“

...გადაშალე ეს ულამაზესი წიგნი, რომელიც ძალზე ძველ და საოცრად ამაღელვებელ ამბავს მოგვითხრობს“...

\*\*\*

გამომცემლობის მიზანი კეთილშობილურია და სავსებით გამართლებული: სკოლამდელი ასაკისა თუ უმცროსკლას-



სელთათვისაც გასაგებია ლეილა ბერიაშვილის თხრობის სადა, მშვიდი, არააგრესიული (ზოგი „საჩოთირო“ ეპიზოდი შერბილებულია) მანერა; თუმცა, მოსალოდნელიც იყო, რომ პოემის ექსპრესიულობა და ესთეტიკური ზემოქმედების ხიბლი ვერ შენარჩუნდებოდა. ჩემი აზრით, ასეთი განზრახულობა არც ჰქონია ტექსტის ავტორს, რომელმაც თავი გაართვა უაღრესად რთულ და შრომატევად საქმეს. გავითვალისწინოთ, რომ ეს არის პირველი (და, ამდენად, — სარისკო) მცდელობა საბავშვო ვეფხისტყაოსანის შექმნისა; გავიხსენოთ ისიც, რომ ქართულ ბიბლიურ საკითხავებს (ყმანვილთათვის) დიდი ხნის ისტორია აქვს: იაკობ გოგებაშვილი გახლდათ ამ დიდი საქმის თაოსანი.

\*\*\*

ბავშვებს, დამოუკიდებლადაც რომ შეეძლოთ კითხვა, ყველაზე უწინარეს, წიგნის დასურათება აინტერესებთ. თავდაპირველად, ისინი დიდი გულმოდგინებით ათვალისწინებენ ნახატებს, რაც განსაზღვრავს კიდევ მათ ინტერესს ამა თუ იმ წიგნის მიმართ. „ქარჩხაძის გამომცემლობის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან იმთავითვე გაითვალისწინა ეს გარემოება და „საბავშვო ვეფხისტყაოსანის“ არცერთი გვერდი არ დატოვა დასურათებელი. ერთობ წარმატებული გამოდგა ილუსტრაციათა ავტორის მოძიება (ღია კონკურსის მეშვეობით): მხატვარ ნინო ჩიტაიშვილს ნიჭიერების, პროფესიონალიზმის, შემოქმედებითი სითამამის, ნოვატორული აღიარება და კრეატიულობის გარდა, ბავშვთა ფსიქოლოგიის ჩინებული ცოდნაც აღმოაჩნდა; ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლისას აფორმებდა სპექტაკლებს ვერის უზნის საბავშვო თეატრში, მოგვიანებით, — ცენტრალური საბავშვო თეატრისათვის; დასურათებული აქვს მრავალი წიგნი, მათ შორის — საყმანვილოც.

როგორც მხატვარ-სცენოგრაფს ან კოსტიუმების მხატვარს მას გაუფორმებია ბევრი გახმაურებული სპექტაკლი მარჯანიშვილის, რუსთაველის, ოპერისა და ბალეტის, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა, თეატრალური სარდაფის, თეატრალური ინსტიტუტის, ილიას უნივერსიტეტის; აგრეთვე, ქუთაისის, სოხუმის, თელავის სცენებზე. მასვე ეკუთვნის ნიდერლანდებში, ჰააგაში დადგმული ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ სცენოგრაფია. აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი კოსტიუმები ანსამბლ „რუსთავისათვის“. მონაწილეა იტალიის „ფოლკმოდის“ ფესტივალისა, სადაც ქართულ ხალხურ მოტივებზე შესრულებული კოსტიუმებით წარსდგა.

\*\*\*

სხირად გაიგონებთ, რომ ვეფხისტყაოსანი „ხელშეუხებელია“; რაღა დაგიმალოთ და, მეც ასე მიმაჩნდა; მაგრამ მყისიერად შეცვლილ ვითარებას სულ სხვა მოთხოვნები მოჰყვა. ერთ დროს წიგნიერი ერი კატასტროფულად ჩამორჩენილი აღმოჩნდა (განმეორებაც კი არ მინდა საერთაშორისო კვლევის მონაცემებისა). ვეფხისტყაოსანის „კომიკებისაგან“ ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რა-

ცომ არ იდგმება საქართველოში პოემის საბალეტო ვერსია? ერთხანს, რობიკო სტურუას განზრახვას ვეფხისტყაოსანის გასცენიურებისა, ისეთი ალიაქოთი და აუიოტაჟი მოჰყვა, რომ დიდმა მავსტრომ გული აიცრუა (სამწუხაროდ: დარწმუნებული ვარ, სტურუასული ვეფხისტყაოსანი ისეთივე ერთადერთი და განუმეორებელი იქნებოდა, როგორც მისი სხვა სპექტაკლები).

„საბავშვო ვეფხისტყაოსანის“ ავტორსაც და ილუსტრატორსაც ყამირი ჰქონდათ გასატეხი. ლეილა ბერიაშვილი პირველია, რომელსაც პოემის შინაარსი საგანგებოდ ბავშვებისათვის უნდა გადმოეცა (რასაკვირველია, დიდი შრომა-გარჯის შედეგად); მძიმე ამოცანა ერგო ნილად ნინო ჩიტაიშვილს, რადგან თავი უნდა დაედინა ვეფხისტყაოსანის მრავალ, ქართველ თუ უცხოელ ჩინებულ ილუსტრატორთა ცნობიერი თუ არაცნობიერი ზეგავლენისაგან.

მხატვარმა სრულიად განსხვავებული მანერა აირჩია: ნაიფურ, ბავშვთათვის ერთობ მიმზიდველ გმირებს თუ მეორეხარისხოვან, ზოგჯერ „საშიშ“, ზოგჯერ საყვარელ და სასაცილო პერსონაჟებს, — „აკადემიური“, დახვეწილი, მდიდრული დეკორი შეუხამა. პატარა მკითხველი იოლად გაითავისებს მის გმირებს, ზოგ შემთხვევაში მათთან იდენტიფიკაციასაც მოახდენს; იმავდროულად, — ნახატების „თეატრალურობის“, დეკორატიულობისა თუ კარნავალურობის გამო, — „თამაშის“ მოთხოვნილებასაც დაიკმაყოფილებს.

ნინო ჩიტაიშვილმა მამრიყ-მალრიბული კონტრასტების, „არქაულობისა“ თუ ზოგადად მოსავლური კოლორიტის გამოყენებით, — გმირების ჩაცმულობა ოსტატურად დაუახლოვა დღევანდელი მოდის ტენდენციებსაც.

მხატვრის ასამდე ფერადოვანი ილუსტრაცია რადიკალურად განსხვავდება უოტ დისნეის მულტიფილმების ხელნერის ტირაჟირებისაგან (რითაც გადასვლილია ქართული საბავშვო წიგნები) თუ ბარბის „ესთეტიკისაგან“; მან ჰოლივუდური ბლოკბასტერების კუნთებდაბერილ პერსონაჟებს სამართლიანად დაუპირისპირა ვეფხისტყაოსანის სანდომიანი, მაგრამ „ჩვეულებრივი“ გარეგნობის გმირები.

\*\*\*

„ქარჩხაძის გამომცემლობის“ მალაზია „ბუქსითი“ ხშირად მასწავლებლებს ბავშვებს წიგნების წასაკითხად, მათ შორის არის „საბავშვო ვეფხისტყაოსანიც“.

გასულ წელს წიგნის პრეზენტაცია გამართა მწერალთა სახლში; თუმანიშვილის სახელობის თეატრში აქციაზე — „ეკითხვობთ საბავშვო ვეფხისტყაოსანს“ — ბავშვებთან ერთად ცნობილი მსახიობებიც მონაწილეობდნენ.

ილუსტრაციები გამოიფინა კინომსახიობთა თეატრში; ხოვლეში — ივანე ჯავახიშვილის, ლამისყანაში — ჯამბაკურ-ორბელიანთა, სასირეთში — გიორგი მაზნიაშვილის, კავთისხევში — ომარ კელამ-ტრიშვილის სახლ-მუზეუმებში.

ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის მედიათეკაში მოეწყო საგანგებო, ხალხმრავალი შეხვედრა ლეილა ბერიაშვილთან. დიდი ინტერესი „საბავშვო ვეფხისტყაოსანის“ მიმართ დღემდე არ განელეებულა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქარჩხაძის გამომცემლობის“ ეს პროექტი ფრიად წარმატებული აღმოჩნდა.

\*\*\*

ძალადობრივი საბჭოური „ბილინგვიზმის“ დროსაც კი, მოსწავლეები „ნებადართულად“, ადვილად იზეპირებდნენ რუსთაველის სტროფებს, აფორიზმებს, ცალკეულ თავებს და, რაც უმთავრესია, ბავშვობიდანვე ითვისებდნენ ქართული პოეზიის უნიკალურობას.

დროება კი შეიცვალა, მაგრამ ბავშვები არ შეცვლილან...

P.S. ჩემი უახლოესი მეგობრების შვილიშვილი, 5 წლის ულამაზესმა ბიჭუნამ დარჩი ქართველიშვილმა (საბავშვო ბავშვ ტარიელის როლი არგუნეს), ტელევიზიის ეკრანიდან ისეთი მონდომებით, უცდომელი ბავშვური ეგუმანითა და გრძობით ჩაარაკა ვეფხისტყაოსანის ცნობილი სტროფი, რომ, ერთი რაჭული სიმღერისა არ იყოს, — სიხარულის „ცრემლი ვაღვრი-ალე“.

სანამ საქართველო იარსებებს, ვეფხისტყაოსანი არასდროს გახდება „სამუზეუმო ექსპონატი“.

ახლახან „უნივერსალმა“ დასტამბა რევაზ კვერენჩილაძის კიდევ ერთი ნიგანი, რომელიც ერთგვარი მატინაია – „რეპრესირებული პოეზია“. ეს ნიგანი განაგრძობს იმ ვრცელ მატინაიას ციკლს, რომელთა თემაც არამარტო XX საუკუნის ქართველ მწერალთა ცხოვრებაა, არამედ გასული საუკუნის საქართველოს ბედუქმდართი ყოფა. ამ ნიგანების ავტორია კაცი, რომელიც დღეს უკვე 85 წლის მოიყარა და მაინც ჩვეული ენერგიით განჩხრეკს ავს და კარგს, ბოროტს და კეთილს, რადგან ყოველივე ეს მან თავის ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნია. მის მიერ მოპოვებული ფაქტები უმნიშვნელოვანესია.

ჩემი მხრივ მინდა ვთქვა ერთი რამ: მას აქვთ, რაც დაემხო საბჭოთა იმპერია და საქართველო დამოუკიდებლობის უძნელეს გზას დაადგა, სულ იმის მოლოდინში ვიყავი, რომ შემზარავი 37 წლის პერიოდი იქნებოდა განხილული და შეძლებისდაგვარად გამოძიებული. მაინდამაინც ამ პერიოდს იმიტომ ვახსენებ, რომ ბოლშევიკურმა ტოტალიტარიზმმა სწორედ დროის ამ მონაკვეთში მიაღწია სასტიკ აპოგეას, მაგრამ შევცდი... არამცთუ რამენაირი განხილვა და გამოძიება, მაშინდელი ბოროტების მხილების სურვილიც კი არ აღძრულა. მესმის, ვიცი, რომ 90-იანი წლები რთული დრო იყო და მისაზღველს თავისი ჯერ ვერ მიუზღებოდა. გარემოტყვევებთან ერთად (გვულისხმობთ ეთნიკურ ნიადაგზე გაჩაღებულ ომებს) 37 წელი ჩვენს შინაყოფაში თანდათან უფრო და უფრო შორს გაირიცხა. დრომ ახალი პრობლემები მოიტანა.

იმხანადვე გაჩნდა რატომღაც სკეპტიკური დამოკიდებულება ქართული მწერლობისადმი. ვთქვით, გალაკტიონ ტაბიძეს ზეპირ საუბრებში ხშირად აბრალებდნენ ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმისადმი კონიუნქტურული ლექსების წერით ხარკის გაღებას. მათთვის იოლი სათქმელი იყო ეს. არადა, პოეტი ერთი მხრივ გენიალურ პოეზიას ქმნიდა, მეორე მხრივ კი ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძოდა, ვინაიდან შემზარავ სასაკულაოზე აღმოჩნდა. და არ, აქ გამოგვადგებდა სწორედ რევაზ კვერენჩილაძის ნიგანი „რეპრესირებული პოეზია“ და მის მიერ გუდმოდგინებულ მოძიებული პუბლიკაციების ავტორები და შეუვალნი ფაქტები. იოსებ მეგრელიძე იხსენებს: „მაგონდება 1924 წელი. „მნათობში“ დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის პოემა „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“. უფრო ახალი ხელისმომწერლებს დაურიგდა და კიოსკებზე დაიდგა და იტყვიან. გაიცა ბრძანება: „შეკრიბეთ ეს ნომერი, დაწვითო! არც მაშინ მოხერხდა ეს და გალაკტიონი დააპატიმრეს“. („ნიგნის სამყარო“ 1990. 26. XII.)

გალაკტიონი დააპატიმრეს 1924 წელს! ეს ის წელია, როცა რეპრესიების ტალღამ გადაუარა საქართველოს. ამიტომაც, თავისუფლად შეიძლება ეს დაპატიმრება პოეტისთვის საბედისწერო გამოდგარიყო. მითუმეტეს, რომ (ისევ რევაზ კვერენჩილაძის ნიგნს გამოვიყენებ) თვით სერგო ორჯონიკიძის დაუწერია „დროშაში“ (1925წ. №29) ასეთი რამ: „უფრო ახლ „მნათობში“ ამასწინათ დაბეჭდილი იყო გ.ტ. პოემა, სადაც ავტორი მხატვრული ფორმის სახით გვანდის მეთად ვულგარულ რეაქციულ სახეებს. ეს ლექსი აშკარად მიმართული იყო ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ, ასეთი გზა არაფრად არ ვარგა“.

ამ ვერდიქტის გამოტანის შემდეგ გადარჩენილი გალაკტიონი, ცხადია, საიქიოდან დაბრუნებულს დაემსგავსებოდა. ასე რომ, ბოლომდე არ გაუმეტებიათ, მაგრამ შეაჩვენეს ზედმეტი გაბედულების გამო. მომდევნო „შეცდომას“ მას აღარ აპატიებდნენ. ის უკვე ზრუნავდა საკუთარი თავის გადასარჩენად, ვინაიდან არ უნდოდა აბსურდული დამსჯელი მექანიზმის მსხვერპლი გამხდარიყო. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი. ასე იქცეოდა „დიად საბჭოეთში“ პოეტების აბსოლუტური უმრავლესობა. ისინი იხდიდნენ სავალდებულო ხარკს ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად. 30-იანი წლების ბოლოს დამსჯელი მექანიზმი ისე გამძვინვარდა, რომ მრავალ პოეტს ხარკის გაღებაზე ვეღარ უშეგლა. დახვრიტეს ტიტან ტაბიძე, ნიკოლოზ მინიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თვითმკვლელობამდე მიყვანეს პაოლო იაშვილი, რუსეთში – სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, მარინა ცვეტაევა, ციხეში ამოხადეს სული მანდელშტამს და ა.შ. ეს რაც შეეხება

## ანდრო ბუაჩიძე დახვრეტილი ლექსების კვალდაკვალ

გამოჩენილ პოეტებს, შედარებით ნაკლებად ცნობილი პოეტები კი მრავლად გაუყენეს მოუსავლეთის გზას.

სხვათაშორის, კარგია, რომ რევაზ კვერენჩილაძეს არცერთი მათგანის დავიწყება არ სურს, თითოეულის სახელს აღწუსს და შესატყვის ფაქტობრივ მასალასაც დაურთავს. ავტორი აშკარად მართალია, ვინაიდან ის წერს არა ლიტერატურის, არამედ ავბედითი ქვეყნის ისტორიას, რომლის უბრალო მოქალაქეები ხშირად ლექსად ამოთქვამდნენ თავიანთ სატიკვარს.

მაგრამ პოეტური ნიჭიერება მაინც სხვაგვარი მუხტით გამოხატავს სათქმელს. რევაზ კვერენჩილაძეს, ცხადია, ნიჭიერი, მაგრამ დავიწყებული პოეტებიც არ გამოჩნდნენ... ასეთი იყო, ვთქვით, ოთარ მაისურაძე, რომელსაც ნაადრევად მოუსწრაფეს სიცოცხლე. „რეპრესირებული პოეზიის“ ავტორი აღნიშნავს: „აი, თუნდაც ოთარ მაისურაძე. 1925 წელს დაბადებული ეს უდავოდ ნიჭიერი პოეტიც კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლას შეენირა. 1943 წელს დააპატიმრეს, 45 დღე სიკვდილისჯილთა საკანში ჯდომის შემდეგ დახვრეტა 10 წლით შეუცვალეს. 1944 წელს გარდაცვლილა ნიჟინ-ტაგილის ბანაკში“.

შთამბეჭდავად ჟღერს ოთარ მაისურაძის ერთი სონეტი, სადაც ასეთი სტრიქონებია:

ო, მეგობარო, ამეტყველდა  
დილის საარი,  
მხრებზე რომ მხურავს,  
სხივნიკური ქართლის ცა არის,  
მოდის ზაფხული, მოგუგუნებს  
რიხით და მეხით.  
არ ველი ძვირფასს,  
შერჩა ხსოვნას უძვირფასესი,  
ვიყავი ერთდროს მოგუგუნე,  
როგორც ფაზისი,  
და სიჭაბუკის გაზაფხულზე  
გამთელეს ფეხით.


ლექსის ბოლო ორი სტრიქონი ძლიერად ზემოქმედებს. „სიჭაბუკის გაზაფხულზე“ არაერთი და ორი ადამიანი გათელეს ბოლშევიკებმა, ერთმა მათგანმა კი სიკვდილის წინ ამოთქვა ეს მწარე სამღერავე.

რევაზ კვერენჩილაძემ ზუსტი სათაური შეურჩია ნიგნს – „რეპრესირებული პოეზია“. საქმე ისაა, რომ იმხანად არამარტო ადამიანებს ხვრეტდნენ, არამედ ფიზიკურად ანადგურებდნენ ნაწერებს – ლექსებს და მოთხრობებს, მაგრამ მიხილ ბულგაკოვისა არ იყოს, ხელნაწერები მაინც არ დაფერფლილა. „ხელნაწერების“ განადგურების კლასიკური ნიმუშია ლადო ასათიანის პირველი ნიგნი – „წინაპრების“ იავარქმნა. რა თქმა უნდა, კოლაბორაციონისტებისთვის ძნელი ასატანი იქნებოდა ლადო ასათიანის მგზნებარე ლირიკა და, ვთქვით, ასეთი სტრიქონი: „ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, საქართველოს ცხელი გული ასენია“. და ნიგნი, რომელიც უნდა გამოცემულიყო, არამცთუ არ გამოიცა, არამედ გამზადებული მთელი ტირაჟი ბარბაროსულად განადგურდა. ამ ფაქტმა იმოქმედა ისედაც ჭლებით დაავადებულ პოეტზე და იმავე 1943 წელს აღესრულა.

მართლაც რომ „საარაკო“ ფაქტია: ერთდროულად აღგავეს მიწისპირისგან ნიგნიც და ავტორიც. მაგრამ ამით კი არ დამთავრებულა, ხელახლა დაიწყო ლადოს ლექსების მშვიდნიერი და დღევანდელი სიცოცხლე.

რომელი ერთი გავიხსენოთ, ნამდვილად იშვიათი ფაქტები მოჰყავს რევაზ კვერენჩილაძეს. ვთქვით, ასეთი: მოკლეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი მისა ხელაშვილი. მისი შედეგრი „ლექსო, ამოგთქომ ოხერო“ ხალხურად შერაცხეს და ავტორის სახსენებელი ამოძირკვეს.

და ისევ ლადო ასათიანი. 80-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა პირველად მისი დედისადმი მიძღვნილი აკრძალული ლექსი. ლადოს ლალი, მახვილგონიერი, სხარტი და მძაფრი დინამიურობით აღბეჭდილი პოეტური სახეები მკაფიოდ ავლენენ ნაცნობ ხელწერას. ეს არის წერილი, რომელსაც უკვე დავა-



უკაცბული ვაჟიშვილი ოცდაჩვიდმეტ წელს გადასახლებულ დედას წერს:

მთვარეულით დავდივარ ხმელზე  
აგერ ეს ოცდასამი წელია,  
მაგრამ, ძვირფასო მშობელო, შენზე  
ერთი სიტყვაც არ დამიწერია.  
ეს იმიტომ, რომ მიყვარდი ძლიერ,  
დამქონდი როგორც საუნჯე გულით,  
და სიყვარულის სიმღერის მიერ  
ვიყავი დღემდე დამუნჯებული.  
ეს სრულიად უბრალო ფრაზები, ხალა-  
სი და ნედლი სტრიქონები თითქოს ძალ-  
დაუტანებლად წარმოქმნის სინანულ-  
ნარევე განწყობას.

მეხსიერებას მივინდობი და „რეპრესირებულ პოეზიაში“ ამოკითხულ ლექსებს ვიხსენებ. ვიცი, რომ ყოველთვის ის ლექსი გამახსოვრდება, რომელიც ყველაზე უფრო მძაფრ შთაბეჭდილებას ტოვებს. ლადოს შემდეგ მახსენდება ტაბახმელასთან 1921 წელს დაღუპული მარო მაყაშვილისადმი მიძღვნილი რაფდენ გვეტაძის კლასიკური სონეტი. შემდეგ ტერენტი გრანელის ჰაეროვანი, მიწაქრის ტიხარით სიფრიფანა სტრიქონები:

კვდება ეს მდელი და ეს ქარია,  
და საქართველო ახლა მკვდარია.  
უაღრესად შთამბეჭდავია გაბრიელ  
ჯაბუშანურის პოემა „ინვეტივა-მონუმენტი“. ეს პოემა ქანდაკებასავით არის გამოკვეთილი და სათაღისის წყველამეჩვენებით ზაფრავს მკითხველს. ეს არის პოემა-გროტესკი, პოემა-აპოთეოზი, სადაც ურჩხულის მსხვილი პლანით დანახული სახე იერონიმუს მოსხის ანდა მაქს ერნსტის ნამუშევრებს მოგვაგონებს:

თვალში გველები, შუბლზე გველები  
წარბით გველები, – გველებს ეთვისა,  
შენი ყურები არის ხვერლები  
იმ დამეხილი ჯოჯოხეთისა.

იოსებ გრიშაშვილის და სიმონ ჩიქოვანის აკრძალული და უჯრამი გადანახული ლექსები, კოლაუ ნადირაძის შემთხვევით გამოუქვეყნებელი ლექსი – ყოველივე ეს რეპრესირებული, დახვრეტილი ნაწარმოებების ტიპიურ ნიმუშებს წარმოადგენს. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გალაკტიონის ბერიასადმი მიძღვნილი ლექსი-ინვეტივა, რომელიც ასევე განქიქების ნეგატიური მათთვის არის ნაკარნახევი:

ტრფობას სამშობლოსადმი  
გულში ვინ ამოშლიდა,  
რომ არა ჩანს ქართველი  
ნეტა ვინ ამოყლიტა?..  
ბერიაა – სამშობლო  
სისხლისფერად მოხატა,  
ბერიაა – ქართველ ერს  
სული რომ ამოხადა.

გალაკტიონის ჩანაწერებში არის მახვილგონიერი დაკვირვებები, დღიურები, ლექსები და უბრალო ჩანაწერები. ამ ჩანაწერებს აშკარად ეტყობა, რომ გამოსამზებლად არ იყო გამოიზნული. აქ კარგად ჩანს ნაჩქარევი, გაკრული ხელით ნაწერი ტექსტები, რომელთაც მწარე ირონიის და სკეპსისის ნაზავი ატყვია. აქ არის დაუდევრად მოსროლილი ფრაზები, აგზნების, ზოგჯერ ნამიერი გაღიზიანების და მოუშუშებელი ჭრილობების გამოწვევა. ჩანაწერების ლექსები განძარცულია გალაკტიონისეული არტისტული ხიბლისგან, მიშველი აზრის ილუს-

ტრირებას ირონია ეზავება. ასეთია ბერიასადმი მიძღვნილი ლექსი-ინვეტივაც.

და მინდა ვთქვა ერთი რამ: გალაკტიონის ის ლექსები, რომლებიც „დელოლოგიური ცერბერის“ მოთხოვნით არის დანერილი, ნამდვილი სოც-არტია, ანუ ეს არის ნიმუშები, სადაც თვალნათლივ ჩანს გაშარჟება, პროფანაცია „სოცრეალიზმის“ ტრივიალური სალექსო ფრაზეოლოგიისა და მისი ყალბი პათოსისა:

მხარი მხარს, მხარი მხარს,  
კოლექტივო, მხარი მხარს,  
მივიდეთ, მოვედოთ  
გაერთიანებულ ჯარს,  
მხარი მხარს, მხარი მხარს...

სერიოზულად ამ ლექსის ნაკითხვა აშკარად ძნელია. ცხადია, რომ გალაკტიონი აქ სიმწრით ილიმება.

სამოციანელებს თემატური მრავალფეროვნებისთვის უფრო მეტი გასაქანი ჰქონდათ (აქ გვულისხმობთ ეროვნული თემატიკის მიგნით კონკრეტული აქცენტების გამახვილებას). მაგრამ, ცხადია, საგარაუდო ზღვარი მათაც უნდა დაეცვათ, ვინაიდან ცენზურა წინა წლების მსგავსად ოდნავადაც არ მოდუნებულა. სამოციანელები მუდმივ პრობლემებს უქმნიდნენ ცენზურას. რევაზ კვერენჩილაძე საუბრობს თამაზ ჩხენკელის ერთ ადრე გამოუქვეყნებელ ლექსზე („თავისუფლება“), რომელსაც თავის ისტორია აქვს. ამ ისტორიას ლანა ლოლობერიძე მოგვითხრობს და გრძნობს: ცენზურა არ მოდუნებულა, მაგრამ არც სისხლსავსე ცხოვრების მაძიებელი ძარღვი განყვეტილა. მოგვიანებით არჩილ სულაკაური და თამაზ ჩხენკელი აქვეყნებენ და წიგნად გამოსცემენ 1905 წელს დაბადებული პოეტის ნიკო სამადაშვილის ტაბუდადებულ ლექსებს.

ნიკო სამადაშვილის თვითმყოფადი მხატვრული სამყარო მრავალგვარია და მისი რომელიმე ერთი ნიმუში განსაზღვრავს არასასურველია. მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პოეტი, რომელმაც თითქოს ანმყოსა და წარსულს შორის ზღვარი ნაშალა და საქართველო მარადისობის სივრცეში განჭვრიტა. მისი მკვეთრი სახეები იმ წარმოსახვის ძალით არის ნაკარნახევი, რომელიც ისტორიას თავის გასუფოფელ ნაწილად ალიქვამს:

აქ დანდობილა გლეხი სახრზე,  
აქ შესწრებია ორშაბათ დილას  
ეხლაც კი ვამჩნევ, ლაშას სახეზე,  
ჯალალ-ედინის შემოკრულ სილას.

ნიკო სამადაშვილი ფერმწერისეული წერს ქართლის პეიზაჟებს, ოღონდ ეს გრანდიოზული პანორამა თითქოს დროის და სივრცის მიღმა დგას. ასეა, რადგან ნიკო ჟამთააღმწერელი კი არ არის, მარადისობის ქურუშია. მას დროის საკუთარი საზომი აქვს, ერთი მხრივ, მარადისობა და მეორე მხრივ, ადამიანისთვის განწესებული დრო – წუთისოფელი. ადამიანი სამყაროშია გადასროლილი, დროში მოგზაურობს და წუთისოფლიდან პირდაპირ მარადისობაში გადადის:

ქარს ევარები, ვერავინ გხედავს,  
სივრცეებს ნულარ მიაცივდები,  
აჰყვე იმ მთების ვინრო ხერხემალს  
და წუთისოფელს გადასცილდები.

უშუალოდ სამოციანელთაგან შოთა ჩანტლაძის ლექსები აღმოჩნდა ტაბუდადებული. „რეპრესირებული პოეზიის“ ავტორი წერს: „მხოლოდ ძალიან ვინრო წრემ იცოდა, რას წერდა შოთა“. ძალზე დასანანია, რომ ამ პოეტის ლექსებს პირელისა დღის სინათლე, ვინაიდან შეიძლებოდა მისი პიროვნული ბედ-ილბალიც სხვაგვარად წარმართულიყო. შოთა ჩანტლაძის ფაქიზი სტილიზაცია, ქალაქის ცალკეული კუთხეების ხატვა, სკვერები და ბალები, შუადღის მდუმარება ან დამე, როცა „ტრამვაის ზარის წერვიული ხმა აღარ ისმის“ გარემოს ურბანისტულ შტრიხებს სძენს და თავისებურ ელფერს ანიჭებს. აქ არ არის დიდი ქალაქის შფოთი, მაგრამ არის რაღაც ისეთი, რაც პოეტში სოციალურ აპათიას აღძრავს. ამგვარი აპათია მკაფიოდ არის გამოხატული მის ვრცელ თავისუფალ ლექსში „ჩემი მაგიდის ნიგნი“.

სამოციანელთა თაობის თავისუფალმა აზროვნებამ რადიკალურად განსხვავებული ატმოსფერო შექმნა XX საუკუნის ქართულ მწერლობაში. ამის შესახებ ვრცლად საუბრობს რევაზ კვერენჩილაძე თავის სხვა ნიგნში – „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება“.

ქსარომატი თამაზ ჩხენკელს

ჩინურ ვარდს, ჩინურ ლექსებს ვუკითხავ, ცხადია, თარგმნილს თამაზ ჩხენკელის, მიყვარს ვან ვეი, დუ ფუ და ლი ბო, და ბო ძიუ-ის მეც ვარ მჩხრეკელი.

ლამის ქრიჭინა შემოპარულა, ვხარობ, სტუმარი რომ მოგვივიდა, მშვიდია ღამე ჩაფიქრებული და გარინდებულ მოგვივითაა.

მოვწრუპავ ღვინოს, არ გავიხსენებ, გუშინდამ ხელი რომ მოგვითავა, დაეხუჭავ თვალს და შენ გელოდები, ეს ღამე სავსე ლოდინითაა.

\*\*\*  
აქამდე აღწევს შენი ღიმილი, მათვალთვლებ, ხომ ისევ აქ ვარ და ამ სიცოცხლის გასაგრძელებლად ვარწმუნებ გასული დღეების აკვანს, მაგრამ ხანდახან პირიქით ხდება, გაღვიძებული წარსული მარწმუნებს, ცარიელია შენი სანოლი, იქ, ჩრდილის გარდა, არავინ არ წევს...

მიტოვებული ხეები

შენ ბგერებს უვლი, ასაზრდოვებ, სული მოუხმობს მათ სავსე ჟღერას, რომ თქვა რაიმე, ისე უბრალო, დედაჩემი რომ გვიამბობდა და მისი თხრობა იყო იმდენად გამჭვირვალე, რომ ცოცხლად ჩანდა ყველაფერი, ხალათზე ბავშვის სახელივით ამოქარგული.

რაც არასოდეს მოგვისმენია, მაგრამ გვახსოვდა საიდანღაც და შემკრთალები ისე ვუსმენდით გაფაციცებით, რომ არაფერი არსებობდა, გარდა იმისა, რაც უნებლიედ ამოიმღერე.

შენ გაამხილე გაფიქრებულ სიტყვის სიჩუმე და იგრძენ ფსკერი, რომელიც არ ჩანს. ის თურმე ჩვენში იმალება და თავისთავს გულდასმით ეძებს, რომ უნებლიედ ფიქრის ფრაგმენტი გამოაჩინოს, როგორც უბრალო მინიშნება, რომ მზე სიტყვიდან ამოდის და სიტყვაში ჩადის.

ისინი ახლაც არსაიდან ამოაღწევენ, გაშლიან ფრთებს და ჩემში, როგორც მიტოვებულ ცაში, დაფრენენ, სადაც ფრთები ქრება უკვალოდ, მხოლოდ ხმები ილექება მიყურადებულ ნიჟარებში და ახალ სივრცეს სადაც ჰპოვებენ, იქ იბუდებენ, თავიანთ ხმების ექოებში შემალულები.

შენს გარინდვაში უწინდელი სიჩუმე სუფევს და მესკიას ხმით ამოკვანთავს დუმილი სუნთქვის შეხებისას თვალს აიცრემლებს და ენას იდგამს მდინარესავით.

ზოგჯერ ამ ხმებს ისე ენდობი, თითქოს საკუთარ დაბადებას ესწრებოდე, რომელიც იყო და აღარ ეძებ...

შენ ხომ მანამდეც არსებობდი დალექილი მინერალივით, რომელიც დღესაც იღვიძებს შენში და გზას პოულობს, მაშინაც კი, როცა უკან აღარ ბრუნდება, მაგრამ ყოველთვის იგულისხმება, რადგან სუნთქავს ჩვენთან ერთად და ვინც სიტყვაში დაიდო ბინა, მან არც კი იცის არის თუ არა, ან იქნებ ისიც სინათლემ შთანთქა და მხოლოდ ხმაა!

\*\*\*  
აღარც სიმღერა გამახსენებს, აღარც ტირილი, არც განთიადის გრილი სუნთქვა, მხოლოდ შუადღე — როცა ერთმანეთს ერწყმის ქვიშა და სიჩუმის გაფაჩუნება, როცა ყვავილი გასაშლელ ადგილს ეძებს ჰაერში და შემთხვევით შენ თვალს პოულობს.



ანარეკლი

ნამცეცი, ფინჩა, ბენო, მისხალი, არც ნატამალი, მზის ფიორიც კი ჩემ სარკმელში არ იხედება, მხოლოდ საღამოს, მზის ჩასვლისას მეზობლის სარკმელს მოწყდება ხოლმე მზის ანარეკლი და ჩვენი მზერით დაღლილი სარკე, მჩუქნის ნათებას, მაგრამ ცოტა ხნით, რადგან არც ახსოვს მოწყენილ სარკმელს, ამ ანარეკლს რომ უცდის ოთახი...

ღუთი

სულ უნებლიედ თავს მახსენებს შენი ალერსი, მზე, სუნთქვის რიტმი, ექოს ექო და ჩვენ მარტონი, რა უსასრულოდ და უბრალოდ მიყვარდი მაშინ, შენ, ამ ლექსების ანონიმი თანაავტორი.

ერთი ბოთლი თავისუფლება

წვეთწვეთად, თანდათან და საგნებს ხელახლა ბადებს და მიუჩენს თავთავის ადგილებს, მაშინვე შეიგრძნობ, რომ შენი სამკვიდრო ვილაცამ ნაგართვა და სხვაგან მიგიგდო თავმისადრეკელი და მზერის რაკურსი ისე შეგიცვალა, რომ ვერ ცნობ ვერაფერს, გარდა ყვავილების, რომლებიც შენგანვე აღმოცენდებიან და თურმე მანამდეც შენში იზრდებოდნენ და ფესვიც შენშივე ჰქონიათ გადგმული და ახლა რომ ნახე ეს შენი ნიალი, რომელიც სინათლემ წუთით დაგანახა, შეშინდი და ხელი ისე გაიშვირე, როგორც ხემ ეს ჩრდილი სინათლის კარნახით და მიხვდი, ყველაფერ ამას რაც უშველის, თავისუფლებაა და ბოთლში ჩამწყვდეულს მოხსენი საცობი...

P.S. როგორც ადამიანს თავისუფლება, ბალახსაც ხომ აქვს თვისუფლება?!

\*\*\*  
მივხვდი, ხელები ისე გავშალე, როგორც მრავალი წლის წინათ, როცა ხუთი წლის ბიჭს შეგეგებე საბავშვო ბაღში და ჩემკენ ისე გამოქანდი და ჩამეხუტე, რომ დღემდე ვგრძნობ და ვაყურადებ იმ გულისცემას, როცა უკვე ოცდათვრამეტს უახლოვდები.

ნაბიჯი

ცხოვრება ახლაც გადის უჩემოდ, არც გადის, ეძებს გზას ინერციით

და დროო, უცხოვ და მიუჩვევო, შენც ბინდს იკიდებ ძველი ვერცხლივით.

იმავე ბგერებს ეძებთ, ტუჩებო, ამოუთქმელი სიტყვის გასაღებს, თვალბო, ფიქრით დასახუჭებო, წუთს ელით გულისთვალის ასახელს.

ვერ მივხვდი, როცა ნაველიდინე, ძველი მოტივით თავს თუ გავთქვამდი, ის გავიგონე, რაც ვერ ვიხილე, როდესაც შენკენ ნაბიჯს ვადგამდი.

\*\*\*  
არსებობს ვილაც, ვინც ფხიზლობს მუდამ და აყურადებს მილიონების გულისცემით აღსავსე დუმილს.

კედლები ისევ ირღვევიან გამჭოლი მზერით და ამ წყვილიდში ქალაქი ისე პატარავდება, რომ ხელისგულზე ეტევა თითქმის მთელი სამყარო და მილულული თვალის სიღრმეში გარდასული დრო იწყებს სიცოცხლეს, რომელიც მე არ მეკუთვნოდა და სხვისი იყო და მე იმ სხვაში დავეძებდი ჩემს დაინყებულ არსებობას — უკვე რომ გაქრა, მაგრამ ჩემში რალაც ჩატოვა მუსიკის მსგავსი, რომელსაც სიტყვებს ვერ ვუსადაგებ.

რაც თავი მახსოვს, მე ნაპირი ვიყავი მუდამ — არამხოლოდ ზღვის, არამედ სიტყვის და სიტყვებს შორის არსებულ დროში, რომელიც მუდამ უთქმელობის ტანჯვით სავსეა, ვიმალებოდი და არ ვჩანდი აღარავისთვის.

...და თვალებიდან რაც ახლა სჭვივის — ყვავილს კი არ ჰგავს, არამედ უფრო ყვავილის გაშლას, რომლის ფესვებიც სხვაშია დღესაც და იმ უცნობის დროში ვარსებობ, ახლაც რომ ფხიზლობს და აყურადებს მილიონების გულისცემით დაღლილ სიჩუმეს...

ხვედრი

გავივლით დღეებს, არაერთი დღე გათენდება, მაგრამ ამ ტიპებს ვერასოდეს ვერ შეაგონებ, ამ სიცოცხლისგან რომ ილღება, ხან ითენთება ადამიანი ყოვლისმქონე და არასმქონე,

რომ ნებისმიერ ეპოქაში არის უცნობი მათი საზომი, კილომეტრი, მილი, არშინი და თავი მოაქვთ ყოვლის შემძლედ და კეკლუტობენ და მათ წარსულის ხმა ჩაესმით რუსულ მარშივით.

ძნელია, ალბათ, რაც ვერასდროს გამოიგლოვებ და გეჩვენება მარადიულ, ძველ საკუთრებად, ის, რაც ყოველთვის აღბეჭდილი არის სიგლუვით და ნებისმიერ მოინახეს თვალწინ უთვრება.

ჩვენ ღვთაებრივი ბედისწერა დაგვაცალკევებს ან შეგვაერთებს სამუდამოდ ჩვენ წასაშლელად, გამეორება ხედებისა უყვართ სარკეებს, და ჩინელები ეგულეობათ ქვეყნის მაშველად.

\*\*\*

ყმანვილი ქარი ჩამოიქროლებს,  
ააშრილებს ქალას იფნიანს,  
აქ, ისე ჰყვავის ფორთოხლის ბალი,  
ვგრძნობ, ყოველ ასაკს თავის ხიბლი აქვს.

**უცნობი მზა**

ისე გავივლით მომავალ დღეებს,  
როგორც აქამდე ათასობით დღე  
გულში გავივლე და გავიარეთ  
და თუკი რამე დამამახსოვრდა,  
ყველაფერი დაილექა და ჩაკრისტალდა  
ჩემში და სიტყვად ქცევას მოელის  
და სათუო ვარაუდში აგრძელებს ყოფნას,  
როგორც უთქმელ ბგერებში სიტყვა,  
ჩვენ რომ აქ ყოფნას გვაგრძნობინებს  
და თანდაყოლილ სულს რომ ეკვრის  
და ხმას არ იღებს,  
რადგან მისი ხმა იგულისხმება გაფიქრებისას,  
როცა უხმოდ იბადებიან მისი ბგერები.

შემადლებინე  
შენი ნათქვამი გადავმალე გულის სიღრმეში  
და მომავალი მიწასავით  
მარცვალ-მარცვალ აღმოვაცენო  
და ჩემი გული საზრდოსავით გავუნანილო,  
რომ ჰორიზონტებს მიენიოს  
მისი სუნთქვის მნიფე შრიალი,  
როცა უცნობი მზე ამოჰყვება  
კვდომის მერე ამ დაბადებას...

**უნონადობა**

ხმას ვერ მიანვდენ,  
უხმოდ,  
გულში დაუძახე და გააგონებ...

შენ ხარ იგი,  
არქაულ პულსს რომ აგრძელებ,  
შენით ფეთქავს ყველა სიტყვა,  
სულიერებით რომ მოძრაობს  
და ჩრდილს არ ტოვებს...

ერთი იმ სივრცეს,  
ბავშვობაში რომ დაფრინავდი  
გემინოდა დაბლა დაშვების  
და ციდან ცაში ფრთების შხუილი მიგაცილებდა.

ახლა ფრთები შენ სიტყვებში იმალებიან  
და მიიწევენ იქით, სადაც იგი გეძახის  
და სიღრმით სავსე თვალებიდან  
სული გელვრება...

გენატრება მაშინდელი უნონადობა  
და უსიტყვო შეგრძნებები,  
მხოლოდ ფრთებს რომ ამოძრავებდნენ...

მოდი ჩემთან,  
ფრთები ისევ დავატოლოთ  
და იქ დავბრუნდეთ,  
სადაც ვიყავით;  
სადაც ნატვრის გულში გავლება  
გვამყოფებს ერთსულ  
და ერთმანეთში ერთმანეთს ვეძებთ.

\*\*\*

ალარ მოვიხმარ პოლიტიკას  
— ბინძურ ნარკოტიკს,  
თავს ვიქცევ ფიქრით,  
სუფრით, ნარდით, ქალით, ბანქოთი,  
იგი, ვინც ველარ გამოვიდა პოლიტიკიდან,  
ტიკინა იყო  
და ბოლომდე დარჩა ტიკინად.

**მორთი**

ჩვენ თავს ვიქცევდით ერთდროულ ვარდნით,  
ერთმანეთისთვის გახსნილი ვორდით,  
ჩვენ ერთმანეთში შევინავარდეთ  
და შენი ვარდი  
ვივარაუდე —  
გამოკვეთილი ცეცხლოვან ბორდით  
და უნებლიედ გულში გავივლე:  
ჩქიმ ძლაბი მორთი!

\*\*\*

დიდედაჩემი  
დგას ყვავილივით ამოსულ ბავშვთან  
და ათეულ წლებს ისე ივიწყებს,

რომ კონდარის მწვანე სუნთქვაში  
ბაბუნავერას გასუსულ წუთებს,  
ისე შევიგრძნობ, როგორც საკუთარს  
და ვიმალები ჩემსავე თავში,  
თითქოს მე ვიყო ყველა ერთად,  
ვინც ამ მიწაზე დაფუსფუსებს  
და ვგრძნობ ჩემთვისაც  
ყოველი წუთი ძვირფასია, როგორც ამათთვის,  
მე რომ ვიცი,  
მაგრამ ამათ ხომ არ იციან  
და მიყურებენ შინაურივით.

...  
მოვა ის დამეც,  
გააჩენს ახალ რეალობას,  
უპატრონოდ იმშობიარებს  
და მე მივხვდები, ეს ფორიაქი,  
ამოუხსნელი შიშები არი,  
აქეთ რომ მოჰყავს უცნობ მომავალს!

**ხმა**

რა მეკითხება აჩრდილთა მხატვარს,  
როცა თვითონაც აჩრდილად ვიშვი,  
აქ მოვლენილი მარტოდენ ხმად ვარ  
და არ მაქვს მისი გაკმენდის შიში.  
სიტყვის უთქმელად მივანვდენ ხმას და  
სუნთქვით შეიცნობს მისსავე შობილს,  
მე ზოგჯერ, სულში თუ ვაღწევ მასთან,  
ჩემს მონატრებულ ედემში მყოფი.  
ხან გადამირბენს თვალებში ელვა  
და გამინათებს აჩრდილებს ელვის,  
ოკეანეში იღვიძებს ღელვა,  
ღელვას და წარღვნას იხსენებს ღელვით.

**მზა პირს რომ იბანს...**

როდის მიანყდა ნეტა მორევი  
და ვინ იცოდა, მისი უარით  
აევესბოდა მეტაფორებით  
და პროსოდით რეპერტუარი.

იმ დღეს იხსენებ, როგორც ნაყოფებს,  
შენში ჩამოშლილს, გადავლილს ანწლით  
და სიტყვას, გულს რომ ამოაყოლე,  
მერამდენეჯერ მოუკვდი თვალწინ..

ვინ იფიქრებდა რომ ნაადრევად,  
ეს ბედისწერა შენს ბუდეც მოშლის  
და ზმა, ყურიდან ყურში ნათრევი,  
იჟღინთებოდა თამბაქოს ბოლში.

დაჟიფივებდნენ ბალს ბელურები,  
რომ გაირინდე სამყაროს თვალწინ  
და მე ახლაც კი აქ მეგულები,  
მზე რომ პირს იბანს  
და ერთად გვანვიმს.

**ბავშირება**

როგორ მიღიმის თოვლიანი ასკილის ბუჩქი?!

ვინა ხარ, სად ხარ, რას დაეძებ ან რას იპოვი?!  
სახეზე ღიმილს თუ გადაიკრავ,  
ახლაც რომ ბჟუტავს  
გაცრუებულ იმედის შემდეგ  
და თავის სიღრმეს ისე პოულობ,  
როგორც აქამდე უხილავ სივრცეს  
და ძაფივით გადააბამ  
წამიერად განყვეტილ დროს,  
ძაბვის ვარდნა რომ აქრობს ნათურებს  
და თვალს სულის სინათლე ანთებს.

სადაც თოვლში, სასაფლაოზე  
სტაკატოსავით წყვეტილ სინითლეს  
შემომადიმებს ასკილის ბუჩქი,  
მაგრამ სათქმელი აღარ ცდილობს,  
ხმის ამოღებას კი არა და,  
გულში გავლებას,  
რადგანაც გული შემოაღდა უთქმელობისგან  
და სადაცაა ჩაინავლება...

**ღიბტიძი**

1. მეთუნე

ის რომ იღვიძებს, იცი, რომელიც  
და თვალს მილულავ დროგამოშვებით,  
გიზგიზებს ცეცხლი დაუცხრომელი  
მანამდე, ვიდრე არ გამოშრები..

მარტო იქნები მერე დოქივით,  
სანამ თავიდან არ შეგავსებენ  
და გზა, რომელიც გდევს და მოგკივის  
შენსავით მარტო რჩება ასევე.

მოვა მეთუნე და გახელებით  
მოგეხვევა და როგორ ენამე,  
დაგავინწყებენ მისი ხელები,  
როცა თავიდან გამოგქერნავენ...

2. თიხამ თქვა:

იგრძნობენ ჩემი ხელისგულები,  
რომ მოფერებამ გამოაღვიძა  
სურა და შენთან ყოფნის სურვილი  
მონატრებულმა წუთმა აღმიძრა.

ბოლთას ვცემ, თიხა ადგამს ნაბიჯებს  
და ვეძებ ვინმეს, როგორც მისაყრდნობს,  
შენ არ ხარ, მაგრამ მე შენ აგირჩევ,  
რომ ისევ შენთან გამოვისაყდრო.

ეს გაზაფხული კარს რომ მომადგა,  
შემოიყოლა ჩემთან შენმა ხმამ,  
ვამბობ: ცოდვია, მაგრამ რომ არ ვთქვა,  
ეს სიტყვა ლამის გულზე შემახმა.



დასაწყისი პირველ გვერდზე

ნიკლასი ემიგრანტად დარჩა გერმანიაში და როგორც ყველა ემიგრანტი, მანაც გაიარა ბენვის ხიდზე — იყო ნარკოტიკდამოკიდებული (ფულს ხშირად მოპარვით, სუტენიორობით და მამათმავლობით შოულობდა), გადაურჩა სიკვდილს სხვა ემიგრანტის ხელიდან და საკუთარი დაუდევრობითაც ავტობანზე, ჰყავდა უკანონო შვილი მეძავი არაბი გოგოსგან, მაგრამ ყველაფერს დაუძვრა და ერთად ვმართავდით პატარა ავტოსახელოსნოს მაინცის გარეუბანში.

ჯორჯიელთან ერთად საქმის კეთება მთელი სიამოვნებაა — ის არ გადაგადებს, ფულს არ მოგპარავს და შენ გოგოს ხელების ფათურს არ დაუწყებს მაშინ, როცა შენი მორიგეობა სახელოსნოში. ფულს ისეხებს შენგან და იმავე ფულით ლუფზე დაგპატიუებს და, რაც მთავარია, თუ მეგობრები ხართ, შენ გამო ტანად ორჯერ უფრო დიდ შვედთან თავდაუზოგავად იჩხუბებს.

მოკლედ, მე, ნიკლასი და კასპარი მაგარი ძმაკაცები ვაყავით. კასპარი გერმანელი ბიჭი იყო. მართალია, ცოტა ისეთი, აი, კაცები რომ უყვართ, მაგრამ მაინც მაგარი ბიჭი. ის სკოლის დამთავრების მერე გავიცანით. ნიკლასმა კასპარის დასთან ფიქტიურად მოაწერა ხელი. ამას ევროპაში ხშირად აკეთებენ. დღესაც, თუკი შენი ქვეყანა ფეხებზე გკიდია, ჯერაც გახსოვს, რომ რვა ათასიან გოქჩეში დაიბადე, სადაც შენი ყველაზე დიდი წარმატება შეიძლება ქალაქის თავის სიძიობა გახდეს, რაღა თქმა უნდა, რომ ეცდები მონახო ვინმე ევროპელი გოგო, კაი, ჯიგარი გოგო, ვინც ხუთი ათას ევროდ ხელს მოგიწერს და შენი მომავალი ევროპელობის გზაზე ხელსაც შეგაშველებს. გასაგებია, რომ ეს ფიქტიური ხელმოწერა კანონდარღვევაა, მაგრამ გერმანიაში განა ასე ადგილობრივებიც არ აკეთებენ? (დაქორწინებულ წყვილებს სახელმწიფო საგადასახადო შეღავათებს უწესებს) ხუთი ათასი ევრო კიდევ არაფერია, მითუმეტეს, როცა საკუთარი ავტოსახელოსნო გაქვს და იცი, მოპარული მერსედესი როგორ უნდა დაშალო ისე, რომ ნორბერტ ჰოგმაც ველარ იცნოს, რა მარკა და რა მოდელია.

კასპარმა თვითონ შემოგვთავაზა და. მე რა, მე უკვე მქონდა მუდმივი ცხოვრების უფლება (ბაბუაჩემმა, დიდმა ბორამ, ვისი სახელიც დამარქვეს, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მის შთამომავალს ნორმალურ ქვეყანაში ეცხოვრა), ნიკლასს შეთავაზა ჩემ დასთან ხელი მოაწერო. ალბათ ვინმეს გონია, რომ კასპარის და ერთი შეუხედავი, მსუქანი გომბიო, მიუნხენურ სარდლებზე და შტუტგარტულ ღორის კანჭზე გაზრდილი გერმანელი იყო, მაგრამ არა. გოგო ცეუნდაში ქსელის მენეჯერად მუშაობდა, იყო იშვიათად ლამაზი გერმანელი, ვინც კი ამ ქვეყანაში მინახავს. კასპარი მაგრად ჩალოწობდა თავისი დაიკო და ნიკლასი მართლა დაეახლოვებინა ერთმანეთისთვის, მაგრამ ჯორჯიელი კაი მუდო იყო სკოლიდან მოყოლებული, თავისი პრინციპები ჰქონდა და არასოდეს გადაუხვევდა ამ აჩემებებს.

მოტოციკლეტები დაშლილ (სავარაუდოდ, სსრკ-ს დროს დაშლილ) სამხიდიან ურალთან გაეაჩერეთ. ნიკლასმა დაგვიწახა თუ არა, დინჯად, მაგრამ მაინც სწრაფად გამოემართა ჩვენკენ და სანამ გადაგვებეგოდა, ის ჯოხი, ხელში რომ ეჭირა, ძირს გადააგდო.

სალამობით, როცა გოგოები არ მოგვყავდა ოთახში, ნიკლასი რომელიმე ქვეყნის შესახებ ყვებოდა ხოლმე. გეოგრაფიაში ისეთივე მაგარი იყო, როგორც კასპარი მანქანების დაშლაში. ნებისმიერი ქვეყნის 5 მთავარ ქალაქს ზეპირად გეტყვოდა. იცოდა, სად როგორი სამზარეულო ქონდათ და რომელი ფულის ერთეული. და მაინც, არაფრისიდეებით თავის ქვეყანაზე არ მოყვებოდა. ჯორჯიაზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ თოთხმეტი ათასზე მეტი მდინარე ქონდათ და ჩემ წარმოდგენაში ეს ქვეყანა რუსეთზე დიდი იყო.

სინამდვილეში კი, თურქეთის საზღვრიდან რუსეთის საზღვრამდე, სადაც ნიკლასის სოფელი იყო, რვა საათში მივდივით.

სოფელი ძალიან მაღალ მთაში იყო გამოკიდებული. კასპარმა წუნწინ დაიწყო, წნევის ცვალებადობას ვერ ვიტანო და ეგეთები. ამ მთებმა რაღაცით შევიცარია მომავალი, უბრალოდ, ბუნება უფრო ვე-

ლური და მოუფლელი იყო.

ნიკლასი შეცვლილი დაგვხვდა. თმა გაცვენოდა და გაჭაღარავებულიყო. წვერი ლამის მკერდზე ეფინა და ტალახიანი ტანსაცმელი ეცვა.

ამას იმიტომაც ვამბობ, რომ ნიკლასი ცნობილი იყო თავისი პენენიკობით. ჩვენ ავტოსახელოსნოში გოგოები მისი დაქნილი ფრჩხილების სანახავად დადიოდნენ, სახლში კი, სადაც წლები ერთად გავატარეთ, მუდამ სისუფთავე სუფევდა. წყალს მხოლოდ საკუთარი ჭიქიდან სვამდა და რესტორანში კერძს არ შეუკვებავდა, სანამ სამზარეულო არ ნახავდა. ის ნიკლასი, რაც იმ წუთას ჩემ თვალწინ იდგა, ძველ ნიკლასს არაფრით გავდა.

ნიკლასმა ჯოხი აიღო, დაეყრდნო და კასპარს გაეხუმრა. მომჩვენა, რომ ეს ხუმრობა ძალიან მოზომილი და ცოტა უხეშიც იყო. არ ვიცი, ნიკლასი გავიუცხოვდა თუ მის ზურგსუკან მდგომი კაცების მოერიდა. კაცები მეტად უცნაურად გამოიყურებოდნენ. მომჩვენა, რომ ყველანი ბებრები (როგორც მერე აღმოჩნდა, ყველანი ჩვენი ასაკისანი) იყვნენ. შავი, შეუხამებელი ტანსაცმელი ეცვათ და უფილტრო სიგარეტს ეწეოდნენ.

ნიკლასი სოფლის განაპირა სახლში ცხოვრობდა. ორი პატარა ოთახი ქონდა — ერთში თვითონ ეძინა, მეორეში ძროხ-

გურამ მეგრელიშვილი

ხევისბერი



ებს. კასპარმა სახლში დაძინებაზე უარი თქვა, მაგრამ მე ჩემი გავიტანე — უხერხული იქნებოდა, მასპინძლისთვის გვეთქვა, შენ სახლში, სადაც ფუნის სუნი დგას და მიწის იატაკია, ვერ დავიძინებთ-თქო. გადავწყვიტეთ, გამოგვეძინა და მეორე დღეს უკან გაგვბრუნებულიყავით.

1. წინა ღამით მოპარულ ფოლცვაგენს ვშლიდით, როცა სამი წვერიანი, შავი ტყავის ქურთუკში გამოწყობილი კაცი დაგვადგა. კარგი იქნებოდა შედარებისთვის „Man in black“ მომეყვანა, ან აგენტები სმიტი, ბრაუნი და ჯონსი „Matrix“-იდან, მაგრამ ესენი უარესები იყვნენ, რადგან მოვიდნენ და ნიკლასი წაიყვანეს.

ნიკლასი არასოდეს წაუყვანია პოლიციას, ემიგრაციაზე სამსახურს, უშიშროებას ან ალქაიდას, რადგან რომელიმე ამათგანს რომ მისი წაყვანა მოენდომებინა, ნიკლასი აუცილებლად გამონახავდა საშუალებას, პრობლემა მოგვარებინა და დარჩენილიყო — ამ კაცებმა კი წაიყვანეს.

როგორც კი სახელოსნოში შემოვიდნენ, არ მომწონა არც ერთი. მე რობოტთან ვიდექი და ყავას ვსვამდი, კასპარს დახურულ სამღებროში ყავდა მანქანა ატუზული და შლიდა, ნიკლასი კი სერბებს მოპარული მანქანის ფასზე ევაჭრებოდა.

— ნიკოლოზ! — სახელიც კი უცნაურად დაუძახეს კაცებმა და ნიკლასმაც გახედა. სერბებს ფული მიაჩნდა და შავქურთუკიანებისკენ წავიდა.

ერთმანეთს რაღაც უთხრეს ჩემთვის

გაუგებარ ენაზე, მერე ერთ-ერთმა სახეში ხელი გაარტყა და სანამ რკინის ჯოხით მათთან მივვარდი, ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ვინ არიან? — ვკითხე ნიკლასს და ხელი დამიქნია, მშვიდობაა, ჩემთან არიანო. მაშინ მივხვდი, რომ ამ ხალხს კონფლიქტების მოგვარების თავისი, უცნაური და უტყუარი ხერხი ქონდა.

სამი თვე იარეს ჩვენთან. მერე სახელოსნო დაგვეწვა, ნიკლასმა თქვა, იმ კაცებმა დანვესო. მე მიზეზი ვიკითხე. მიზეზი უცნაური და არადაამაჯრებელი იყო — საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებას სთხოვდნენ, რადგან იქაური ღორი თუ ჰერცოგი თუ რაღაც ეგეთი ყოფილა.

— ხევისბერი! — თქვა მაშინ ნიკლასმა. — ეს დაახლოებით იგივეა, რაც ბიბლიური პატრიარქი. იცი, რა არის პატრიარქი?

კასპარმა თქვა, შეგვიძლია დავხოცოთო, მაგრამ უაზრო იყო ამ უცნაური კაცების დახოცვა. „მეტი მოვლენ. ვიცი, მე მაგათი ამბები“, — თქვა ნიკლასმა და გადაწყვიტა, წასულიყო.

— შენ თუ მევე გახდები შენ ქვეყანაში, მაშინ ჩემი და დედოფალი გამოდის, მე კი ტახტის კანონიერი მემკვიდრე! — იცინოდა კასპარი, მაგრამ სამივე ვგრძნობდით, რომ რაღაც ისე ვერ იყო.

ნიკლასმა ოთხი თვე მოანდომა საბუთე-

ერთად შესწილი ხალათით გაუვლია, ვითომ იქ არც ვიყავი, ან ვიყავი ზავში, ან ვიყავი მოსამსახურე, მძლოლი ან ლაქია. თავს სწორედ ლაქიად ვგრძნობდი ელგასთან და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩემი, ემიგრანტის კომპლექსები იყო.

რაც უნდა მოხდეს, როგორი ნითელი, არნივიანი პასპორტიც უნდა მოგცეს ბუნდესრესპუბლიკამ, სანამ შენი შვილი ამ მინაზე არ დაიბადება, თავს ემიგრანტად გრძნობ, ემიგრანტებს კი ჩვენი უცნაურობები გვაქვს და ამ უცნაურობის გამო თუ იყო, რომ გადავწყვიტოთ ხოლმე ელგას გაუპატიურებას. რამდენჯერ წარმომიდგენია, როგორ დაგვხვდებოდა სადარბაზოში ნიღბით, როგორ შემოვახვედი ტანსაცმელს, როგორ ვიძალადებდი მასზე, როგორ ვეტყვოდი უხამს სიტყვებს თურქულად და მეორე დღეს მშვიდად, ვითომც აქ არაფერი ყოფილიყო, მის მისაღებში დავლევდი ყავას, მოვწვედი სიგარეტს და მოვუსმენდი აღელვებულ კასპარს, რომელიც საკუთარი დაიკოს დალურჯებულ ბაყვებზე ილაპარაკებდა. არც ერთი არ ახსენებდა სიტყვა ემიგრანტს, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ იგულისხმებდნენ.

ნიკლასმა სახლში შეგვიყვანა. ჭერზე ნანადირევის გამომშრალი შაშხი ეკიდა. ჩამომხრჩვალი კაცებივით ქანაზოდნენ კავკასიური ჯიხვები და კასპარმა ველარ მოითმინა: „ამათთან ერთად გძინავს?“

„ჰო, ამათთან მძინავს. ბორასავით არ ხვრინავენ მაინც!“

სახე კი ჰქონდა ჩამობერებული, მაგრამ ძველი ნიკლასი იყო, როგორც გერმანელი იტყოდნენ — „ძველ სიყვარულს ჟანგი არ ეკიდებაო“.

კასპარის წუნწინა შედეგი გამოილო — დიდ სანოლზე ის დაანვიწეს, მე ტახტზე მოვთავსდი, ნიკლასმა კი ნესტიან მინაზე გააფინა რუსული საძილე ტომარა და მოიკუნტა.

ასე მაშინ იკუნტებოდა ხოლმე, როცა თავის სარჩენად წამალს ყიდდა მაინცის ქუჩებში ან ბებერ შვიცარიელ მეტრაკეებს სვინგერ კლუბების საპირფარეოებში თავის მამალს ასინჯებდა. ვიცოდი, ეს მოკუნტვა კარგს არაფერს ნიშნავდა და მივხვდი, რომ შევცდით, როცა მეგობარს ჩამოვაკითხეთ.

კასპარმა კარგად გამოიძინა. აღარც შაშხი ანუხებდა და აღარც ნაკელის სუნი გვერდითა ოთახიდან. ადგილობრივი კერძი, ხინკალი დააგემოვნა და ათი დღე დავრჩეთო, გამომიცხადა. დარჩენა ისედაც გარდაუვალი იყო. უხერხული იქნებოდა წასვლა, რადგან ჩამოსვლისთანავე ვუთხარით ნიკლასს, რამდენიმე დღე გავჩერდებით-თქო, მაგრამ რაც მალე წავიდოდით აქედან, მით უფრო კარგი იქნებოდა ჩვენთვისაც და ნიკლასისთვისაც.

2.

ჩემი ქალაქი ყველაზე პატარა მეგონა მსოფლიოში, მაგრამ ნიკლასმა უფრო პატარა ქალაქიც მაჩვენა, ეს ის ქალაქი იყო, რომელიც მისი სოფლიდან ოცდახუთი კილომეტრით იყო დაშორებული და სადაც ადგილობრივები სიგარეტის საყიდლად ფეხით დადიოდნენ. ქალაქში ას ორმოცდაათი ოჯახი ცხოვრობდა და როგორც ნიკლასმა თქვა, ეს იყო ყველაზე მეტი მოსახლე ბოლო სამასი წლის განმავლობაში.

ქალაქში ჩემი მოტოციკლეტით წავდივით, რომელიც ორიოდე კილომეტრის მოშორებით, მიგდებულ შახტასთან დამატოვებინა და ქალაქში ფეხით შევედი.

როგორც ჩანს, მათთან მოტოციკლეტზე ჯდომა დიდი სირცხვილი იყო, რადგან სოფლიდან წამოსვლისასაც ფეხით გამომყავდა და მერეღა შემოაჯდა კავაზაკის.

გზაში ის დაჯდა საჭესთან. როდესაც აქსელერატორზე ძალას უმატებდა, სახეზე შევხედე და მივხვდი, იმ მიწველს გავადა, სიგარეტს რომ თავს დაანებებდა და ციხის საკანში უნებურად აღმოჩენილს სახეში შეაბოლებენ.

„გინდა, დაგიტოვო?“ — ვკითხე და თავი გააქნია. უკან გადაჯდა და მკაცრი სახე მიიღო, განუყვრელი ჯოხი კი ჩვენ შორის ხმალივით ჩადო და არც წინა და არც უკანა გზაზე ხმა აღარ გაუღია.

კასპარი გაშინაურებული დაგვხვდა. ნიკლასის მიცემული სამხედრო შარავლი ეცვა და ადგილობრივებთან ერთად საკუთარი ღურბინით მთებს ათვალთვლებდა.

ნიკლასმა დილითვე უთხრა, აქ ჩაცმის თავისებური წესები გვაქვს, არც კაცს და არც ქალს ხორცი არ უნდა გამოუჩნდესო და აყროლებული შარვალი მიუგდო. კასპარმა ინუნუნა, მაგრამ დათანხმდა და აღარც გაუხდია.

„ამათ არ გაეარშიყო იცოდე, თორემ მოგკლავენ!“ — ცივად უთხრა ნიკლასმა კასპარს და ამ უკანასკნელმაც ხელი მოაშორა ადგილობრივი კაცის მხარს.

„რატომ უნდა გავეარშიყო ვითომ?“ — აღშფოთდა კასპარი და მე მომიბრუნდა. — „არა, რატომ უნდა გავეარშიყო, ჰა?“

გამეცინა. სულ ასე ხდებოდა. ნიკლასი ერთს ეტყოდა ხოლმე კასპარს და მერე მთელი კვირა მის შემორიგებას ვცდილობდი. აბა, ვინ დაგომლის შუადღეს მოყვანილ აუღის საღამომდე მარტივ მამრავლებად ისე, როგორც გამოცდილი ყასაბი ჭრის ხორცს — გინდა ნაჭერი? ძვალიც გააყოლე!

მაგრამ საღამოს კასპარს აღარაფერი ახსოვდა. სოფლის შესასვლელში, ყველაზე მონესრიგებულ სახლში დავგვატიყეს და კარგადაც გამოვთვევით.

სასმელი ამ მხარეში საერთოდ არ სცოდნიათ, არადა მახსოვდა, ნიკლასი ტრანზახობდა ხოლმე, ჩვენთან განსაკუთრებული ღვინო, არაყი და ლუდი არისო. ის რაც დავლით, არც არაყი იყო, არც ლუდი და მითუმეტეს — არც ღვინო. მასპინძლები კარგა გვარიანად დათვრნენ. ერთმანეთში ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს და როდის დამთავრდა ყველაფერი, არც გამიგია. დილით რკინის საწოლზე გამეღვიძა. ნიკლასის სახლს ნამდვილად არ ჰგავდა. გამახსენდა, რომ წინა ღამით მე ზობელთან დავლიეთ. წამოდგომა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი, თავი მისკდებოდა და გული მერეოდა. იატაკზე დაგდებულ მისურს გადავხედე და სირცხვილისგან სად გავქცეულიყავი, არ ვიცოდი. მისური ნარწყევში იყო ამოთხვრილი და დიასახლისის მიერ წინა ღამით საგულდაგულოდ გაშლილი საწოლიც სულ დასვრილიყო.

ვაი-ვაგლახით წამოვდექი და ვარაუდით ტუალეტის ძებნა დავიწყე. აქაური ტუალეტების შესახებ უკვე ვიცოდი — ყველაზე კარგ შემთხვევაში, ფარალალა ჩეჩმა იქნებოდა, ცუდ შემთხვევაში კი ძროხებს შორის მოსაქმება მოგიწევდა კაცს. მაგრამ მე წყალს ვეძებდი. პირი უნდა მომებანა, მისური გამეწმინდა და იქნებ ოთახში ნავაჟუკარის კვალიც მომესპო. წყლის ხმა ეზოში გავიგე და ქანაობით იქით წავიდი. მართალია, მზე ჯერ ისევ კონტინენტს მიღმა ანათებდა, მაგრამ ეზოში ვილაც ფუსფუსებდა. ნიკლასმა წინა საღამოს გამაფრთხილა, რომ ადგილობრივი ქალებისკენ გახედვაც არ გამებედა. „აქაურ ქალს რომ დაელაპარაკო, შეიძლება ორივე მოგკლან! კარგ შემთხვევაში, ქალი სცემონ. აქ სხვანაირი წესებია!“

გამახსენდა, რომ ასეთი სიმკაცრე რადიკალურ ისლამურ სამყაროში აღარ იყო და მივხვდი, რომ ხუმრობდა. ნიკლასს ჩვეოდა ასეთი ხუმრობები. წარბს არ შეიხრდა, ნაპერწკალი არ გაუელვებდა და ტყუილს იტყოდა.

„თალიბანის ნავსაყუდელია აქ?“ — გამეცინა, მაგრამ ახლა ნელსზევით მიშველმა ეზოში გავლა ვერ გავრისკე. რატომ უნდა დამმარხონ უცნობ მინაზე, ისიც საკუთარ ნარწყევში მოსვრილი? მე შენ გეტყვი და ვინმე გამბანს!

სახლში შებრუნება გადავწყვიტე, მაგრამ მივხვდი, რომ იქაური ჰაერის შესუნთქვა ნამდვილად გულს ამირევდა. სახლს შემოვუარე და სათივისკენ წავიდი.

სათივდან ნიკლასის სახლი ხელისგულივით ჩანდა, ხის კიბეზე ავძვერი და თივის ბულბულში წამოვქექი.

მე არასოდეს მქონია სოფელი და ტყუილს ვერ ვიტყვი, რომ ეს თივის სუნი, ზვინის სუნი და მსგავსი რომანტიკული რაღაცები მეცნობა. მართალია, პატარა, მაგრამ მაინც ქალაქში გავიზარდი. სოფელი პირველად გერმანიაში ჩასვლისას ვნახე, მაგრამ გერმანული სოფელი სხვა მოვლენა იყო. იქაურ ძროხებს ფრაკები ეცვათ და ინგლისურად ლაპარაკობდნენ, ფრაკიან ძროხას კი სულაც არ აქვს ის რომანტიკა, რასაც სოფელზე ყვებიან ხოლმე.

სათივ არ მეძინა, ფხუკუნმა გამაღვიძა. ვირთხის კენება მაკლდა კიდევ. მე შენ გეტყვი და ამ მიუვალში შრატე ექნებოდათ ან რამე ეგეთი. სასწრაფოდ წამოვხტი და თავბრუს დაემხევა, ლამის მეორე სართულზე

ლიდან მინაზე გადავვარდი. სანთებელა ავანთე და ჩაბნელებულ სათივეს მიმოვატარე. კუთხეში ქალი იყო დაბმული.

დაბმული რომ იყო, ამას მერე მივხვდი — ჯერ ახლოს მისვლა რომ გადავწყვიტე, მერე კი გავბედე. პირი აკრული ჰქონდა და საწყლად ღმუოდა.

მისი ხელების გათავისუფლება ვერ მოვასწარი, მასპინძლის ცოლი დამადგა თავს. ვცადე, ამეხსნა, რომ მე არაფერ შუაში ვიყავი. ეს ქალი აქ დამხვდა და მე სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად შემოვიარე. ცდა რომ უსარგებლო იყო, გასაგებია, გერმანული (თურქულიც, სხვათაშორის) საერთაშორისო ენები არაა. ქალმა ინგლისურიც კი არ იცოდა. ხელით მანიშნა, აქედან წადიო და კიბეზე ჩამოვხობდი.

სახლში მიბრუნების სურვილი დავკარგე და ნიკლასის სახლისკენ წავიდი. უკვე ის დრო იყო, ძროხებს რომ გომურიდან მთებისკენ ერეკებიან. ნიკლასი ფეხზე დამხვდა და შიშველი რომ დამინახა, ხმამაღლა შევიგინა.

„გაგიჟდი?“ — დამიძახა და ჩემკენ გამოიქცა.

„რა მექნა, მაისური დამეგვარა და წყალი ვერსად ვნახე!“ — მხრები ავიჩიჩე და ჩემი მოთხვრილი მაისური დროშასავით ამყვად გავშალე.

ნიკლასი სახლში შებრუნდა, გლადბახის ფორმა გამომიტანა, ლოტოს სარეკლამო ლოგოთი. ფეხბურთის მაისურმა ის წლები გამახსენა, ჩვენი პირველი დანა-



ზოგით ვოლვო რომ ვიყიდეთ და შევიცარიისკენ გავქუსლეთ. ნიკლასმა თავისთვის გლადბახის ფორმა იყიდა, მე კი მიუნხენის ბაიერნისა მარჯუა. სინამდვილეში ფეხბურთი ორივეს ფეხზე გვეკიოდა, მაგრამ მაინც გამიკვირდა, რატომ იყიდა თავისთვის მაინცდამაინც გლადბახის. თეთრი ფერის ფორმა იყო, მწვანე ზოლებით და ვიცოდი, რომ დასანახავად ვერ იტანდა მწვანეს.

— რაც მომერგო, ის ვიყიდე. — ჩაიბურტყუნა, მაგრამ უკანა გზაზე გამომიტყდა, გლადბახის ფორმა რომ გაცვია კაცს, ლოგიკურად ემიგრანტი ყველაზე ნაკლებად ხარ, რადგან ემიგრანტები და სუსტები ბაიერნით აგრესიულ და ძლიერ გუნდებს გულშემატკივრობენო.

„გამოდის, რომ მე სუსტი ვარ?“ — გავბრაზდი.

„სუსტი არ ხარ, მაგრამ ნამდვილი მუსტაფა ხარ. შენთვის რომ გლადბახის ფორმა მომეცა, მეც ემიგრანტს დავემსგავსებოდი.“

აი, ასეთი მწარე ლაპარაკი იცოდა, ახლა კი თავისი ხელით გამომიტანა და ჩამაცვია.

მაისურს მუცელთან ლაქა ჰქონდა. ესე იგი, არც გაურეცხავს. ნიკლასს უყვარდა ასეთი რამეები. თვითმფრინავის ბილეთი, რომლითაც გერმანიაში ჩამოფრინდა, წლების მერეც შენახული ჰქონდა, დარწმუნებული ვიყავი, ახლაც რომელიღაც უჯრაში ექნებოდა გამოკეტილი.

„იქ გოგო ვნახე. დაბმული იყო.“

„სად?“

ხელი სათივისკენ გავიშვირე. ზურგი შემაქცია და სახლისკენ წავიდა. ესე იგი, საქმე ცუდად იყო, ასეთი რამეები ნიკლასმა მაშინ იცოდა, როცა საქმე ცუდად ან ძალიან ცუდად იყო.

მახსოვს, ერთხელ გერმანიაში ფემინისტების აქციას გადმოსცემდნენ ტელევიზიით. მიშველმკერდიანი ქალები ქუჩაში ტრანსპარანტებით დარბოდნენ და თანასწორობას ითხოვდნენ. ნიკლასი ყურადღებით უყურებდა, იმდენად ყურადღებით, რომ ყურადღებაც არ მოუქცევია, როცა დეტალურად მოვუყვი, როგორი დახელოვნებული მინეტი სცოდნია ჩვენი სართულის მეზობელ გოგოს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ნიკლასს ქალთა უფლებები აინტერესებდა. არა, მე

არაფერი სანინალმდეგო არ მაქვს ასეთი ქალების. უნდათ, ძუძუ მოიშოშვლონ და უნდათ, სულ გაიხადონ, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში ჩემი აზიური სისხლი სხვა რამეს მეუბნებოდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ქალი და კაცი თანასწორია ფურცელზე, საქმეში ეს ინდივიდუალურად წყდება, ინდივიდუალურად კი აზიური კაცები ქალებს ყოველთვის ჯაბნიან. რატომაც არა? დავიჯერო, ევროპელი დამინებული კაცები მონონტ ქალებს?

„იცი, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც ქალებს ჯერაც სახლიდან მოშორებით უშვებენ, როცა კრიტიკული დღეები აქვთ, ესენი კიდევ...“ — ხელი ჩაიქნია და ტელევიზორი გამორთო.

კითხვას აზრი არ ჰქონდა, იტყოდა, რომ ეს სხვა ქვეყანაა, მაგრამ მივხვდი, რომ საკუთარ სამშობლოზე მელაპარაკებოდა.

„მისმინე, ვერ გაიგე, რა გითხარი? იქ ქალი ყავთ დაბმული.“

„აღბათ მოიტაცეს. ეგ აქ ჩვეულებრივი ამბავია.“

ჩემი ბიძაშვილი დონლუზი გამახსენდა, წლების განმავლობაში ალბანელებთან ერთად ტრეფიკინგით შოულობდა ფულს ანკარაში. მერე ბიზნესის ევროპაში გაფართოება სცადა და ჩააგულეს. ახლა შეიძლება გარეთაც ყოფილიყო. დიდი გარენარი ვინმე იყო, ფულის გამო საკუთარ ცოლს გაყიდა.

„როგორ თუ მოიტაცეს. ტრეფიკინგი? პოლიცია არსებობს ამ ქვეყანაში?“



„შენ ვერ გაიგე, აქ არსებობს წესი. ცოლებს იტაცებენ. ეს კავკასია.“

„როგორ თუ იტაცებენ? გაყიდვა გამიგია, ქურთობსაც გეწესი აქვთ და ჩვენთანაც შემორჩა ალაგ-ალაგ...“

„არა, გაყიდვა სხვა თემაა. აი, მისმინე. ვთქვათ, გიყვარს ვინმე, იმას კი არ უყვარხარ. მოიტაცებ და ცოლად მოიყვან. გაიგე ესლა?“

„არა, ვერ გაიგე, მაგრამ რომ იჩივლოს ოჯახმა, გოგომ?“

„როგორც წესი, არ ჩივიან. ჩვენთან პოლიციასთან თანამშრომლობა სირცხვილად ითვლება. გახსოვს მატეო ფალკონე?“

არ მახსოვდა.

„მოკლედ როგორცაა. ამის გარდა, წესი მოტაცება. შეიძლება, გოგოსაც უნდა, ბიჭსაც...“

„და ოჯახი წინააღმდეგია...“

„არა,“ — გამეცინა. — „შეიძლება ოჯახიც მომხრეა, მაგრამ უნდა მოიტაცოს. მოკლედ, მთელი რიტუალია რა.“

„ვინც ჩვენ ისლამური სახელმწიფო დავგარქვა, თქვენ კი ქრისტიანული!“ — ჩავიქნე ხელი და გამახსენდა, რომ ამდენი წლის მერე პირველად ვთქვი „ჩვენ“ თურქეთზე. ეს წამოცდენები მკლავდა. ემიგრანტის ფსიქოლოგია!

**3.**

კასპარმა ადგილობრივებთან საერთო ენა უცხად გამოიხატა. ხომ არიან ასეთი ადამიანები, ყველა სიტუაცია, გარემოს რომ ერგებიან. ასეთ ადამიანებს რაღაც აქვთ ზუნებისგან ნაჩუქარი, რაღაც ნიჭი, იყენენ ყოველთვის მეორე, მეორეებს კი არასოდეს უჭირთ, უჭირთ პირველებს, როგორც ნიკლასი იყო, როგორც იყო მამაჩემი, თურნანი.

ნიკლასს სულ ვეუბნებოდი, მამაჩემ თურანს მაგონებ-მეთქი. ეს სიჯიუტე, სიამაყე და უნებური ლიდერობა ბავშვობას მახსენებდა ხოლმე.

ერთხელ მთელი ოჯახი ავტობუსით იზიარში, ნათესავის ქორწილში წავიდეთ. გზაში რამდენიმე ბიჭი ხმაურობდა, სიგარეტს ეწეოდა და ერთ ქალს გადაეკიდნენ. ისეთი არაფერი, მაგრამ შეანუხეს. ქალი ქმართან ერთად იყო, მაგრამ მაინც მამაჩემმა იჩხუბა. მახსოვს, როგორ მოსდიოდა ცხვირიდან სისხლი მამაჩემ

თურანს. უღვაში მთლიანად ასკილისფრად შეეღება, მაგრამ არ მოეშვა, სანამ ბიჭებმა ავტობუსი არ დატოვეს. საშინელი შეგრძნებაა, როცა მამაშენს ცემენ და შენ ხმის ამოდებას ვერ ბედავ და თავს იმართლებ, რომ გეპატიება, პატარა ხარ.

ნიკლასიც მამაჩემივით იყო. ყოველთვის წინ დგებოდა და პირველი ეჯახებოდა კედელს.

„იმიტომ, რომ სინამდვილეში ძალიან მშობარა ვარ!“ — მითხრა ერთხელ. — „შენ არ იცი, რომ მშობრები უფრო გამბედავები ჩანან?“

კასპარმა თავის დურბინი ადგილობრივ მონადირეს აჩუქა და გვიან ღამით მის სახლში დავგვატიყეს. როგორც ჩანს ამ ქვეყანაში ჩვეულებრივი ამბავი იყო უცხო სტუმრის სახლში მიყვანა. ხორცს ველურებივით შუა სუფრაზე დაყრიდნენ და ისე ჭამდნენ. კასპარი როლში შევიდა და ძალიან მოსწონდა ასეთი შუასაუკუნეების ჭამის მანერა — ხელით, საერთო თეფშიდან. მე სასმელზე უარი ვთქვი და ვუყურებდი, როგორ ერთობოდნენ სხვები.

თვალი ქალისკენ მეჭირა და იმ გოგოს დანახვას ვცდილობდი, დილით სათივეში რომ დავინახე. მასპინძელმა ჩემზე ანიშნა ნიკლასს და რაღაც გადაულაპარაკა. ნიკლასმა უხეშად უპასუხა და წაკამათდნენ. მე ფეხზე წამოვდექი და გარეთ გასვლა დავაპირე. კასპარიც, როგორც იცოდა — სადაც ყველა იქაც მე — წამოხტა, მაგრამ ნიკლასმა ხელით დავგვსა. აქედან რომ გავიდეთ, ნაწყენები დარჩებოდნენ. მე ვუთხარი, რომ ფეხებზე მეკიდა, ვის რა ეწყინებოდა, სახლში წასვლას ვაპირებდი.

„დაჯექი! და როცა მე გეტყვი, მაშინ წავიდე!“ გთხოვ!“

დაჯექი და შეგნებულად ზურგით შევტრიალდი მასპინძლისკენ, ქალების მხარეს მივბრუნდი და თვალი გავუშტერე.

მასპინძელმა ცოლს, შეიძლება დას, იქნებ შვილსაც კი, გასძახა. ის გოგო მოვიდა, სათივეში დაბმულთან წყალი რომ მიიტანა, ჩემ გვერდით დადგა და თავი დახარა.

„ეს გოგო იყო. ეს დარაჯობდა იმ დაბმულ გოგოს!“

„მშვიდად იჯექი. მერე ავიხსნი ყველაფერს!“

ფეხზე ავდექი და ხელი სათივისკენ გავიშვირე: „ვინაა ის გოგო, რატომაა დაბმული?“

ნიკლასმა მაჯაში წამავლო და ძალით დამსვა. „მისმინე, ეს გოგო, შენ გვერდით რომ დგას, ორი თვის წინ მეზობელი სოფლიდან მოიტაცეს. ორი კვირა დაკარგული იყო. აუპატიურებდნენ, მაგრამ ამ ოჯახს ურჩევნია, ამაზე არ ილაპარაკოს. ამიტომ ახლა თუ არ დაჯდები, ჯავრს შენზე იყრიან, გაიგე?“

მე, რა თქმა უნდა, დაეჯექი. თითქმის ერთი საათი დაყვავით ამ უცნაურ ოჯახში და გოგო გვერდით მედგა. აღარც გამიხედეს.

კასპარი ძალიან დათვრა. გზაზე გამოსულს ორჯერ აერია გული და სახლამდე ძლივს მივათრით. ნიკლასმა ბევრი დალია, მაგრამ ფხიზლად იყო, როგორც ჩანს, ძალიან ინერვიულა და ამიტომაც არ მოეკიდა სახმელი.

ღამით, როცა სიგარეტს მოვუკიდე, ყველაფერი მითხრა.

ის გოგო, გვერდით რომ მედგა, დღე-დღეზე უნდა გათხოვილიყო, მაგრამ მეზობელი სოფლიდან გაიტაცეს.

ოჯახს ჯერ ეგონა, რომ მომიტაცებელს ცოლად უნდოდა, მაგრამ ორი კვირის თავზე გოგო დახეული კაბით მობრუნებულა სახლში. გამიტაცებლებმა თქვეს, რომ ის ქალწული არ ყოფილა და ამიტომაც არ დაიტოვეს ოჯახში.

„კი, მაგრამ თუ ჯგუფურად ხმარობდნენ ძალას?“

მაგას ვერავინ დაამტკიცებდა. საამისოდ ექსპერტიზის ჩატარება, განაცხადი პოლიციაში და ჩივილი ჭირდება, ამას კი აქ არავინ იზამსო.

„და რა ეშველება ამ გოგოს?“

ეს გოგო ამ მხარეში ველარასოდეს გათხოვდებოდა, სახლიდან წასვლის უფლებას კი არავინ მისცემდა. მისი მოვალეობა ძმისშვილების გაზრდა და საოჯახო საქმე იქნებოდა. თუკი ვინმესთან წაასწრებდნენ, ორივეს მოკლავდნენ.

„ის ოჯახის უფროსი შენ გიცავდა და ამიტომაც გაბრაზდა. ვერ დაინახე, მაგრამ

# გაზაფხულის პირველი დღეები მარტოა

\*\*\*  
მწერალთა სახლი კვლავ მასპინძლობს შეხვედრებს „საბას“ ლაურეატებთან. ცოტა ხნის წინ გაიმართა შეხვედრა ირაკლი სამსონაძესთან, რომელსაც 2013 წლის ლიტერატურული პრემია „საბა“ პროზაული კრებულითვის „შემკრთალი ქუჩა“ გადაეცა. შეხვედრის მოდერატორი გამომცემლობა „ინტელექტის“ წარმომადგენელი, ზვიად კვარაცხელია გახლდათ. გამომცემლობა „ინტელექტი“ წლებია, თანამშრომლობს მწერალ ირაკლი სამსონაძესთან და მის ნაწარმოებებს გამოსცემს. მწერალთა სახლში წარმოდგენილ გამომცემებთან ერთად სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, შეეძინათ მწერლის ბოლო ნიგნცი, დრამატურგიული კრებული სახელწოდებით „კომედიიდან ტრაგედიაში აბსურდის ბილეთით“.



„შეხვედრები „საბას“ ლაურეატებთან“ ლიტერატურული პრემია საბას ორგანიზატორებისა და თი-ბი-სი ბანკის ერთობლივი პროექტია. მისი მიზანი გამარჯვებული მწერლების შემოქმედების ხელშეწყობა და პოპულარიზაციაა.

ზვიად კვარაცხელიამ საინტერესოდ ისაუბრა ირაკლი სამსონაძის ნაწარმოებებზე, მის მწერლურ სტილზე. მან თქვა: „ირაკლი ის მწერალია, რომელიც ბევრი ფიქრის, მსჯელობის, კამათის საშუალებას იძლევა. წერს მოთხრობებს, რომანებს, პიესებს, ქმნის შთაბეჭდვად ლიტერატურულ პორტრეტებს. „შემკრთალი ქუჩა“ კი, რომლისთვისაც მწერალს „საბა“ მიენიჭა, აერთიანებს მის საუკეთესო ნოველებს, მანამდე რომ ქვეყნდებოდა ლიტერატურულ პერიოდიკაში“. შემდეგ ზვიადმა გაიხსენა გამომცემლობა „ინტელექტისა“ და ირაკლი სამსონაძის თანამშრომლობის დასაწყისი და ისაუბრა რომანზე, რომელიც მკითხველს განსაკუთრებით უყვარს და რომელიც ტრილოგიის ერთ-ერთი ნიგნია, ისაუბრა „ლევს საათზე“: „საერთოდ, თუკი რომელიმე ნაწარმოებზე შეიძლება ითქვას, რომ იგი არის XX საუკუნის 90-იანი წლებისა და XXI საუკუნის დასაწყისის საუკეთესო ლიტერატურული ციკლი, ეს, უპირველესად, ირაკლი სამსონაძის, თანამედროვე მწერლობის ამ საუკეთესო წარმომადგენლის, ტრილოგიაა, რომელიც აერთიანებს „ყურთბალიშს“, „ლევს საათს“ და „ღრუბელი, სახელად დარინდას“.

სალამოს განმავლობაში მწერალი პასუხობდა კითხვებს, ყვებოდა იმაზე, თუ როგორ იწერებოდა ტრილოგია, რა ამოცანები ჰქონდა სტილისა თუ ფორმის თვალსაზრისით, რა სირთულეებს შეხვდა მუშაობის პროცესში, როგორია მწერლის „სამზარეულო“, როგორ იქმნება პერსონაჟების სახეები და ასე შემდეგ. „უცნაურია, — თქვა მან, — ამთავრებ ნაწარმოებს, გადას დრო და იწყება საშინელი პროცესი გაუცხოებისა, ტექსტთან გაუცხოების. ეს ნაწარმოებები, მართალია, ჩემი ცხოვრების ნაწილია, მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, ნუთუ მე დავეწერე? მე ვიყავი თუ არა, მე ვწერდი თუ არა, არ ვიცო“.

\*\*\*  
ანა კორძაია-სამადაშვილთან გამართულ სალამოს მოდერატორობას დავით გაბუნია უწევდა. მწერლების შემოქმედებით სალამოებზე გამომცემლები საშუალებას აძლევენ ხოლმე მკითხველს, შეიძინონ საყვარელი ავტორის ნიგნები, ამ სახის გაყიდვები მწერალთა სახლში გამართული ლიტერატურული ღონისძიებების ნაწილია. სამწუხაროდ, ანა კორძაია-სამადაშვილის სალამოზე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, როგორც მოდერატორმა თქვა, „ფამუქის ციებცხელების გამო“, ვერ მოახერხა წარმოდგინა მწერლის ბოლო ნიგნი „ვინ მოკლა ჩაიკა“. როგორც ცნობილია, ამ ნიგნისთვის, როგორც „წლის საუკეთესო რომანისთვის“, ავტორს ილიას უნივერსიტეტის ლიტერატურული პრემია გადაეცა.

დავით გაბუნიამ, რომელიც „ვინ მოკლა ჩაიკას“ რეცენზიის ავტორიც არის, მიმოიხილა ანა კორძაია-სამადაშვილის შემოქმედებითი გზა, დაწყებული იმ დროიდან, როცა მწერალი სოფიო კირვალიძის ფსევდონიმით იბეჭდებოდა. მან გაიხსენა პირველი შთაბეჭდილება, მისთვის უცნობი ახალი ავტორის მოთხრობების წაკითხვისას რომ მიიღო. „ხალასი, ცოცხალი ენა“, „ძალდაუტანებლობა თხრობაში“, „სლენგი, სარკასტული ჩანართები, სითამამე“ — ეს იყო პირველი თვალშისაცემი, თუ შეიძლება ითქვას, „ახალი ნიშნები“ ახალი მწერლისა. ის წლებთან ერთად იხვეწებოდა, სულ უფრო მოქნილ მონასმებს ტოვებდა თავის ტილოებზე, ბოლოს კი სოფიოკირვალიძისეული „პირველი შრე“ ჩამოიფხიკა და გამოაჩინა ანა კორძაია-სამადაშვილის სახე, როგორც ქართულ თანამედროვე მწერლობაში ახლებური ხელწერისა თუ სტილის მქონე ავტორისა.



დავითმა გაიხსენა პირველი კრიტიკული გამოხმაურებები ანას ტექსტებზე. შეეხო — და ალბათ ძალიან დროულადაც — ზოგადად პროზაიკოსი ქალის პრობლემას თუ სახეს ქართულ ლიტერატურაში. შემდეგ, ვიდრე დარბაზი გააქტიურდებოდა,

ანას დაუსვა რამდენიმე შეკითხვა მისი ბოლო რომანისა და, ზოგადად, ნაწარმოებების გმირების გარშემო.

ალბათ იშვიათია მწერალი, პერსონაჟების მიმართ ამგვარი ცოცხალი დამოკიდებულებით, მწერალი — პერსონაჟების მეგობარი, თანამგონობი, გულშემატიკვარი. და ის ადამიანები, ვინც მწერალთან შესახვედრად მივიდნენ, თუმცა მის შემოქმედებას არც თუ ახლოს იცნობდნენ, ალბათ იმ სალამოს მერე აუცილებლად მიაშურებდნენ ნიგნის მალაზიებს და იკითხავდნენ, „შუშანიკის შვილები“, ან „ვინ მოკლა ჩაიკა“ თუ გაქვთო. ხოლო ისინი, ვინც ანას გმირებს მარგინალურად თვლიდა, მისი მოსმენის შემდეგ, ალბათ, სულ სხვა თვალთ შეხედავდა მათ, მწერლის თვალებით.

\*\*\*  
ლელა კოდალაშვილის ახალი ნიგნის პრეზენტაცია მწერალთა სახლში შედგა. ამჯერად მწერალმა და კრიტიკოსმა მკითხველს წარუდგინა პიესების კრებული სახელწოდებით „ცოლები გეგმავენ ლალატს“. კრებული „საუნჯემ“ გამოსცა.

კრებული ერთ-ერთი პიესის სახელს ატარებს, თუმცა, ავტორის თქმით, ვინც ახალ ნიგნს წაიკითხავს, მიხვდება, რომ სათაური პირდაპირ პასუხობს ნაწარმოებების თემატიკას. ვინაიდან ქალის მიერ განხორციელებული ლალატი არ გულისხმობს, მაინცადამაინც ქმართან ერთად საყვარლის ყოლასაც, პიესებში მწერალი სხვადასხვაგვარ ლალატზე ყვება. მისი პერსონაჟებიდან ზოგიერთი მარტოხელაა, კრიზისულ ასაკს მიტანებული, სურს შვილის გაჩენა მოასწროს და ეძებს გზებს სურვილის განსახორციელებლად. მისთვის მამაკაცი ერთგვარი „გამანაყოფიერებელი დანადგარია“, ხოლო როგორც მამა, სრულიად უფუფლებო. სხვა პერსონაჟი ვირტუალურ გულისწორს ატყუებს, თავს ახალგაზრდად აჩვენებს, თუმცა 80 წელსაა გადაცილებული და სიბერის სა-



სონარკვეთა დალად ამჩნევია მის ურთიერთობას მეუღლესთან. მოკლედ, ნიგნში ლალატის მრავალსახეობაა, ალბათ ნებისმიერ ქალს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც რომ გაუვლია გონებაში. ნაწარმოებების გმირებიც ცხოვრებიდან ნიგნებში გადასული ქალებია.

მწერალმა სცადა, პრეზენტაციის ყველა სტრუქტურულ ნიგნზე საკუთარი ნიგნის წარდგენისას დაეწვია, ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა კიდევ პოსტი, მეტრებს ჩემი ნიგნის პრეზენტაციაზე არ ვეპატიყვებიო. სალამოსაც თავად გაუძღვა და გამოაცხადა, განსაკუთრებულად ავტორიტეტული პერსონები არ მომიწევია, რადგან მიინდოდა დამერღვია ტრადიციული ავტორისთვის დიტირამების მღერისა და ქებათაქების აღვლენისო; და ვინაიდან გიორგი ლობჯანიძე ოფიციალური პირი არ გახლავთ, წაკითხული აქვს პიესები და რადიოსიუჟეტიც კი ვიპოვე ჩემი ახალი ნიგნის შესახებ, მთხოვ, ორიოდე სიტყვა თქვას, შთაბეჭდილებები გაგვიზიაროსო.

გიორგი ლელას განწყობას ნაწილობრივ დაჰყვა, აღნიშნა: „შენ იცი, რომ შენიშვნები მქონდა, თუმცა პრეზენტაციის წესს არ დავარღვევე და იღეს მხოლოდ კარგს ვიტყვი. მთავარი ის არის, რომ ჩვენთან

ხშირად გაიგონებთ საუბარს იმის შესახებ, რომ პიესები არ იწერება და რეჟისორებს არ აქვთ მასალა, რაზეც იმუშავებენ. მე თავად ექვსი სპარსული პიესა ვთარგმნე, მაგრამ, სამწუხაროდ, პირადმა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ამ პიესებს არავინაც არ კითხულობს. მითუმეტეს გულდასაწყვეტია, რომ დრამატურგიით სწორედ ის ხალხი არ ინტერესდება, ვისაც პროფესიულად მოუთხოვება წაკითხოს, შეაფასოს და საქმის კურსში იყოს. ლელას ოთხივე პიესა კარგი რეჟისორის ხელში საუკეთესო ფორმით განხორციელდება სცენაზე. ბოლოს და ბოლოს, პიესა, მთელი თავისი დრამატურგიული განვითარებით, რა არის თუ არა კარგი ლიტერატურა! ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ხარისხიან ლიტერატურასთან“. შემდეგ გიორგი ლობჯანიძემ თითოეულ ნაწარმოებზე კონკრეტულად ისაუბრა. პრეზენტაციის კულმინაცია იყო გათამაშება ნაწყვეტისა პიესიდან „ცოლები გეგმავენ ლალატს“, რომელიც ლელა კოდალაშვილმა და მისმა მეგობრებმა მკითხველსა თუ მაყურებელს შესთავაზეს.

\*\*\*  
7 მარტს მწერალთა სახლში ნუგზარ შატაიძე გაიხსენეს.

მწერლის 70 წლის იუბილეზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. სალამო მისი სიმღერის აუდიოჩანაწერით გაიხსნა. შემდეგ ღონისძიებას არმაზ ბურნაძე გაუძღვა და პირველი სიტყვა სთხოვა ნუგზარ შატაიძის ბიძას, გურამ გოგიაშვილს, ვისზეც მწერალი თურმე ხშირად ამბობდა, ქართული ენის მადლს მაზიარაო. „თუკი სიმართლისთვის შეიძლება მწერალი დაფასდეს, ყველაზე მართალ მწერალთა შორის, მგონი, ჩვენი ნუგზარი ერთ-ერთი პირველია“ — ბრძანა ბატონმა გურამმა. შემდეგ მწერლის ბავშვობა გაიხსენა, ქართლის მხარე, იქაური ბუნება, ხალხი, ქართული ენა და სული, რაც შემდგომში საფუძვლად

დაედო ნუგზარ შატაიძის შემოქმედებას. გამომსვლელმა იმ გარემოებებში ისაუბრა, თავის ნაწერებში რომ გაასულიერა მწერალმა. ბოლოს დასძინა: „დრო ზოგს აპატარავებს, ზოგს ზრდის, ნუგზარ შატაიძე იმ მწერლებს შორისაა, ვინც დროსთან ერთად იზრდება“.

მწერალთან პირველი შეხვედრა გაიხსენეს ეთერ თათარაიძემ, ამირან არაბულმა, მის შემოქმედებაზე, მის პიროვნებაზე ისაუბრეს ირაკლი ლომოურმა, თამაზ ხმალაძემ, კოტე ჯანდიერმა, ირაკლი სამსონაძემ და სხვებმა.

სტუმრებმა მოისმინეს აუდიოჩანაწერი, რომელშიც ავტორი თავად კითხულობდა სამ საკუთარ მოთხრობას. ნაჩვენები იყო მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოკოლაჟიც. სალამო გვიანობამდე გაგრძელდა.

გასახსენებელი მართლაც ბევრი ჰქონდათ და, ალბათ, ბუნებრივი იყო ოლეგ გოლიაძის რეპლიკა, მონოდება თუ თხოვნა მისი მეგობრების, მწერლების მიმართ — შევადგინოთ და გამოვცეთ კრებული, რომელიც მიეძღვნება ამ არაჩვეულებრივ ქართველ მწერალს და მომავალ თაობას დავუტოვოთ სამახსოვროდ ნიგნი, რომელსაც „ნუგზარ შატაიძე“ ერქმევა.

ლამის 2 საათია. შერმადინის ხელნაწერები მიჭრავს ხელში. ახალი კრებული მზადდება გამოსაცემად. ვკითხულობ ლექსებს. მათი უმრავლესობა ჩემთვის უცნობია. გარდაცვალებიდან რამდენიმე დღით ადრე დამჯდარა, თავისი ლექსები, მანამდე ქალაქის ნაკუნებზე რომ ჰქონდა აქა-იქ მიწერილი, გადაუთქვამდა, მოუნესრიგებია, დაუთარღებია. მიკვირს, თარიღს იშვიათად აწერდა ლექსს. საერთოდ, დრო თითქოს არც არსებობდა მისთვის.

ამ ლექსებშია თავმოყრილი მისი ბოლო წლები ნაფიქრი, მისი ფაქიზი სულიერი სამყარო. ვკითხულობ და ასე მგონია, მისი მძიმე სუნთქვა ჩამესმის. აი, ნაბიჯების ხმა, კიბეებზე ამოდის, ცოტაც და კარს შემოაღებს. იკითხავს კიდევ: „თუკი მარტოდენ ბინდი ვარ და სიზმარი ღამის, — /მინაზე მინა რად დავდივარ, მაღალო ღმერთო“ („აღმოსავლური მოტივებიდან“).

„მამინ მართალი გამობრწყინდენ ვითარცა მზე, სასუფეველსა ცათას“ (მათ. თ-13-43).

კრებულის სახელწოდება უნდა შევარჩოთ. სავარაუდოდ, ფრაზა რომელიმე ახალი ლექსიდან...

და, აი, მისი „მთავარი“ ლექსი, 2011 წლის შემოდგომაზე რომ დაუნერია:

მიეძინება დროება მქისე,  
შემორჩი მინას — უცხო სტუმარი...  
ეს სინამდვილე ცივია იხე,  
როგორც ქარების თავსასთუმალი.  
შენ გაეკიდე მზეს და დარიალს,  
გეძახდა სივრცე არაქაური.  
დაუვიწყარი, როგორც გადია,  
გიხმობს ენგურის ტალღის ხმაური.  
ქონგურებიდან წარსული ყოვის  
არ დათმო, მიდი, არ არის გვიან!  
რად შეეყარე უცნაურ ტკივილს,  
ტკივილს, რომელსაც  
სამშობლო ჰქვია?!  
თუ წინაპარმა ხმა მოგაშველა,  
სხვა რაღა უნდა ისურვო კიდევ,  
წუხელ სუნთქავდა ვაჟა-ფშაველა  
და ირღვეოდა მთაწმინდის კიდევ.  
სიმშვიდეს მაინც ვერ ეზიარე,  
სად პიტალოზე მარცვალს თესავენ.  
გზა თუ არა ჩანს, მაინც იარე,  
შეგხვდება სული მონათესავე.  
„მზეს აღდგა კარავი თვისი; ცის კიდობან არს  
გამოსლავი მისი და მიწვენი მისი ვიდრე კიდევ  
ცისამდე; და არა არს, ვინ დაეფაროს სიცხესა მის-  
სა.“ (ფ.18).

სვანეთში დაიბადა, მზის გულზე გამოღობილ ულაამაზეს სოფელ ჰადიშში. იქ, სადაც თითქოს მზე გათბობს, მზე გელვრება სულში... ისიც მზეს ეტრფის („რა ძლიერ ეტრფოდი მზეს...“), მზეზე წერს. თუმც მისი მზე სულ იცვლება, ხან — „ოქრო-ცურვილი მზე გორი-გორ რა ნელა ჩადის“, ხან — „მზე ამოცურდა სიცოცხლით სავსე“, შემოდგომაზე კი „...ქარვა მზისა სულ სხვა იყო სიღვარეთი“, ისიც სიხარულით შეჰყურებს მას („მღიმარე უმზერი მზეს“), ელოდება („მზე ჩასულა და მე მზეს ველოდი“), ეს თითქოს სიზმარია („მზეს სამხრეთის სიზმრად ჰპოვებდი“), მზე თუ ჩავა, სიზმარიც გაქრება, სევდა და მწუხარება დაისადგურებს („მზე ჩადის, მწუხარება მოვა“), მაგრამ მზეს ვერ გააჩერებ — „ზოგს სწადადა მზისა არ ჩასვლა, მაგრამ მზე არ დაიხანა...“ და ისღა დაგრჩენია, მზეს გაეკიდო — „შენ გაეკიდე მზეს და დარიალს“...

„დაამტკიცენ ფრხნი ჩემნი ალაგთა შენთა, რათა არა შემობრკუნენ სლვანი ჩემნი“ (ფ.16).

ამ სვლის შეჩერება შეუძლებელია... ის დიდი ხნის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ მამინ, როცა „მზის გულიდან გამომგორებულ“ ლექსებს წერდა, როცა უნივერსიტეტის სტუდენტი ციხე-ტაძართა მოსანახულეზად საქართველოს ყველა კუთხეში დაიარებოდა, წინაპართა საგმირო საქმეებით ანთებული დაიქვამდა ტეხდა და გულით სამშობლოს თავისუფლების სიძნობას ატარებდა, როცა ტიცინი ტაბიძეს უძღვნიდა „ჩალისფერ აგონიას“... თუმც იცოდა, ამას იყო ძახილი, რადგან „უანგი სჭამს“ ლემსა და გორდას სალს“, რადგან „მარჯვენა დაღლია გორგასალს“, „და ვით დაიწრდილა ფერი ჩალისა, მახვილი მესიისა დაღბა“, ახლა კი „ანწილია ყველაფერი, ვით ნინოს თმები“...

და ამ „ჩალისფერ აგონიაში“ ის ბებრის ციხეზე ტიცინის ლანდს ესაუბრება. ორი პოეტი ხვდება ერთმანეთს, უკვე „ბნელ ღამესაც ფერი აქვს ჩალის“ (იქნებ არცა აქვს, ხომ დანერა — მეჩვენება, ხომ მიგ-

ვანიშნა — აგონიააო?) და მაინც, ამ ბნელ ღამეშიც იმედის ნაპერწკალი გაიღვებდა: „ნათება მოჰყვება დაბნდულ ღამართებს, /მთვარე თანდათან ცრემლივით შრება, /— მცხეთასთან ჩალისფერი დროშები აღმართეთ! — /ვიღაც ამას ძახილით შერება...“

საშინი იყო ამგვარი ლექსების წერა, დროება იყო ისეთი, „აღზევდა ძალა და სიცრუე და რა ხანია, /უვაცო ფარას დაემსგავსა ძირძველი ხალხი...“ („ტიციან ტაბიძის მონოლოგი“, 1988წ).

„განმადგეს მე და აწესერა მომიცვეს მე, თვალნი მათნი ყვეს დადრეკილ ქუყანად“ (ფ.16).

„გარე-მომადგეს მე საღმობანი სიკუდილისანი და ღუართა უმჯულოებისათა შემამრწუნეს მე“ (ფ.17).

მაგრამ მაინც „არ მეშინია სისხლიან დროს სიტყვის მართლისა, /მამულის ზეცას მე მივიანდე გული მთლიანად“.

„და მომავოს მე უფალმან სიმართლისა ჩემისა აებრ და სინამდისაებრ ხელთა ჩემთათა მომავოს მე“ (ფ.17).

შემთხვევითი არ არის, რომ ლექსს „ტიციან ტაბიძის მონოლოგი“ ჰქვია. ეს თავად შერმადინ ქალაქის მონოლოგია. მასაც ხომ ტიცინი შეარქვეს სტუდენტობისას, ტიცინი ტაბიძესთან საოცარი გარეგნული მსგავსების გამო...

**თამარ იაშვილი**

**მზის რაინდი**

ჩვენი პირველი შეხვედრა მასხენდება. 80-იანი წლებია. ახლობელთან სტუმრად მისულს ოთახში უცხო მამაკაცი მხვდება. და უცებ... — ტიცინი??? — ვერ ვმალავ გაცოცხლებს. გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ტიცინი ტაბიძეს, ერთი მიხაკილა აკლია გულის ჯიბესთან. პოეტიაო, — მაცნობენ. მიღმის ბავშვური ღიმილით, ისეთით, ყველას უმალ კეთილად რომ განაწყობს. მაშინ რას წარმოვიდგენდი, თუ ასე ახლობლები გავხვდებოდი, სულაც რომ დავნათესავდებოდი და მხარი-მხარ გავივლიდი ცხოვრების „შეუცნობ გზებს“, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს გავიზიარებდით...

„რომელმან არა ზაკუა ენითა თვისითა და არცა უყო მოყუასა თვისსა ბოროტი და ყუედრები მახლობელთა მისთა ზედა არა მოილო“ (ფ.14).

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. არ მახსოვს, ამ ხნის მანძილზე ჩემთვის რამე ეწყენინებინოს. ხშირად გვიკამათია, უმეტესად მითმობდა, თუმც თავის სათქმელს მაინც იტყუდა, მაგრამ იმდენად ტაქტიკურად, სანყენად არ დამრჩებოდა. ბოლოს უკვე აღარც ვკამათობდი, იმდენად კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, სათქმელი შუა სიტყვიდანაც გვესმოდა. ისე მოხდა, რომ უნებურად მისი გულის მესაიდუმლევ გავხვდი. მისი პირველი დიდი სიყვარული — ნათელა სოხაძე — ლამაზი, ნატყვი, ფიქრიანი — ჩემი მეგობარი იყო. ხოლო მისი მეორე სიყვარული და მეუღლე — ნანა მგალობლიშვილი — სულაც ჩემი ოჯახის წევრი. ამ ორ სრულიად განსხვავებულ ადამიანს საერთოდ ჰქონდა — ორივეს ძლიერ უყვარდა პოეზია (რაც მნიშვნელოვანი იყო, ალბათ, შერმადინისთვის) და თავადაც წერდნენ ლექსებს.

მასხოვს შეყვარებული შერმადინი. საოცრად მორიდებული იყო, ნანას თვალს ვერ უსწორებდა. თუ რამდენიმე ჭიქა ღვინოს არ დაღვებდა, სიყვარულსაც ვერ უმხვლდა. ბოლოს კი, როცა რამის თქმას მოახერხებდა, უარს იღებდა. — მთვრალ კაცს რა დაეჯერება, თანაც პოეტსო, — იცინოდა ნანა. იწყებდა შერმადინი, წავიდოდა და რამდენიმე თვე დაიკარგებოდა, შემდეგ ისევ გამოჩნდებოდა და იწყებოდა ყველაფერი თავიდან...

შერმადინი ულაღატო იყო, მიენდობოდი, დაეყრდნობოდი. მისი რელიგია მისი სინდისი იყო, მართლმადიდებლობა — მისი ბუნებრივი მდგომარეობა („კამერის ქედი მარწუხებს არ ჰგუობს“). ის ყოველთვის მათვლებდა თავისი მიმტევებლობით, არავის განიკითხავდა, ახლობლებზე აუფარასოდეს იტყუარა, რაც უნდა ნაწყენი და გაბრაზებული ყოფილიყო, გულის წყრომას დაიოკებდა, „საყვედურს“ ხუმრობით მიგანიშნებდა ან სულაც გაჩუმდებოდა.

არასოდეს დამაყენებდა აღდგომის წვიმიანი დღე. მიუხედავად ამინდისა, მე და შერმადინი მუხათვერდის სასაფლაოზე წავედით. გზაში ძალიან გავვი-

წვიმდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტყვებო. მუხლბამდე ტალახში მაინც მივედი ჩვენი ახლობლების საფლავებთან, კვერცხები გადავუგორეთ... შერმადინმა დაიჩემა, ღვინო მაქვს წამოღებული, შესანდობარი უნდა ვთქვათო. ერთ ჭიქას მეორე მოჰყვია, მეორეს — მესამე...

სულ მთლად დაგვასველა წვიმამ. ჭიქას ღვინოზე ადრე წვიმის წყალი ავსებდა. შერმადინს ვეხუმრებოდი: რა წვიმ-წყალა ღვინოს მასმევ-მეთქი.

შერმადინს შეეძლო, ნაზი, ლირიკული ლექსებიც ეწერა და — ძლიერი, ძარღვიანი სიტყვაც, მამულით სიყვარულით გაჯერებული. შეეძლო მთელი ციკლი შეექმნა მოდერნისტული „სიციხიანი ლექსებისა“, რომელიც მის სტილში არ ჯდებოდა, მაგრამ სათქმელს უხვდებოდა, ზუსტად იყო მორგებული.

ერთი მისი ადრინდელი ლექსი მიყვარს, რომელიც თითქოს ემოციურად ეხმიანება ჰაინეს „გაზაფხულის სიმღერას“ —

„ღრუბლო, საით მიტურავ,  
აღარ მოგწყინდა წანწალი,  
სულ მიხვალ-მოხვალ, არ მეტყვი?  
რასა იქმს ჩემი წანწალი.  
ტანად გასატყორც ისარს ჰგავ,



არცა ღანვი აქვს უფერო.  
თუ ნახო, ყოფნას ჰკითხავდე,  
აბა, შენ იცი, ღრუბლო“ (1970წ).  
ლირიკული პოეზიის საუკეთესო ნიმუშია ეს ლექსიც:  
„მიიწურება მზე შემოდგომის,  
როგორც იტყვიან, უკვე დათოვა  
და სულერთია გამხდარა, თითქოს,  
შენ დატოვე, თუ მან მიგატოვა.  
მაინც რად კრთება ხსოვნის არეში,  
როგორც ნაჭრევთან ელვა ბებუთის,  
ქალი, რომელიც შენ არ გიღიმიის,  
ქალი, რომელიც შენ არ გეკუთვნის...“ (2013წ.)

მის ლექსებს არც თვითორნი აკლდა („ისედაც ვანუხებ ქალაქის მოედნებს, / პროვინციული, მძიმე ნაბიჯებით“) და არც თანამედროვე ცხოვრების ხედვა („ქოლა მექისეთა ჟამი დგას გორსალური, /ზრი-ალებს, წრიალებს ცბიერთა კარუსელი./ საქართველოში მოთოვა ნიჭმა, მოდი და „ვარსკვლავთა“ ცვენას გაუძელი“. 2002წ.) ან კიდევ, „მოსულან. ნასულან. და კვლავაც მოიანდა, ახლაც და უსინაც უბეში სულ ყველა საქართველოს გასაზომ არმინს მალავდა... და ჩვენც არ ვიცით სავსე ტაძარში, შენ ხარ ვენახის“ მაგიერ „ამერიკა“ ვიმღეროთ, „კალინკა“ თუ „არმინ მალაღან“.

აქ უკვე პოეზიის და პოეტთა ადგილი აღარ არის. „რომელიმე დაფხვილ სახელმწიფოს ჩამოფხავებულ გორაკებზე მაინც მიგეჩინათ მათთვის ადგილი, სადაც მათ გვაშობთან ერთად სიტყვა „სამშობლოსაც“ აიტანდნენ.“ რადგან მისი აზრით, „პოლიტიკოსთა ბანაკში არავინ იცის, ვერც ის გაუგიათ — სამშობლოს ნაგლეჯები ვის დაუტაცია...“ (1998წ), „სამშობ-

ლოს სიყვარულმა ხომ არჩვენებამდე სამი-ოთხი თვით ადრე იცის აფეთქება და „შემოდგომის აზნაურები“ თუ „გაზნაურებული მდაბიონი“ ნამათხოვრალი ხმებით პარლამენტში შეცვივდებიან...“ (2012წ.)

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უმჯულოთასა არა დაჯდა“ (ფ.1).

შერმადინს არასოდეს უფიქრია კარიერაზე, არც „ავყიათა საკრებულოში“ მჯდარა, არც ოქრო-ვერცხლი უგროვებია. „საქორწინო ბექდები — ლომბარდში. მოდი და ახლა ეს სეზონი სარკოვაგით ცივი სონეტების ამარა გადაიტანე.“ ასეთ ყოფასაც აშკარად უხვდება მოდერნი.

„მეც ვერ ვავრთებ გარდასული დროის ნამსხვრევებს, /ვერც ლუღბანებში დაჩენილ ლექსებს...“, „გასისხლმდინარდა ლექსი, გამოცალა ძალა“ („გათვლა“), „ანე-მია ნამდვილი, /დღესვე, იმანო, დღესვე — /სისხლის გადასხმა სჭირდება/ გადათქვრებულ ლექსებს.“ — აი, მისი სანუხარი, გული კი... „გული საგულით ამოსვლას ლამობს, /თუ ემეველება, — სრულ გამოთიშვით“... (მსგავსი წინასწარმეტყველური სტრიქონები სხვა ლექსებშიც გაივლებს.) მანამდე კი თხოვნა ყველას მიმართ: „ნუ მეპატიუებით ლირიკის

პანაშვიდზე.  
ქაჯობად ნუ ჩამითვლით  
წარსულზე აგონიებს.  
თქვენსავით მეც ერთი ფიქრი  
დამამშვიდებს;  
ღმერთო, ამ ბნელში სამშობლო  
მაპოვნინე“ (2002წ.)

ისღა დარჩენია იუმორით შეხედოს ყოფას. აი, მისი „იუმორესკაც“, ვახტანგ ჯავახაძის სტიქონი რომ წარუშმდგარებია: „ანი აქ არ მედგომება/(სადმე უნდა ვნახო ჩერო), /წყაროსთან და გაზაფხულთან./უნდა, უნდა მივეფერო/ბუერებს და ძახველებს, /ანდა თავი შევაფარო/ ლექსმახერებს, /ფულმახერებს/ ანდა პარიკმახერებს“ (2012წ.)

ბოლოს 2 იანვარს ვინახულე. რამდენიმე დღეში ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. თითქოს მაგრად იდგა, არაფერს იმწნედა. თემურ ჭუმბაშვილი მოვიდა — შერმადინის მეგობარი და შვილის ნათლია. სუფრას მივუსხვდი. საახალწლო მილოცვა — დალოცვები, სადღეგრძელოები, საუბრები, ბავშვების მხიარულება...

შერმადინი არ სვამდა, ჩვენ გვივსებდა ჭიქებს ღვინოთ. — მერიქიფდ როდის აქეთა დაგაყენს-მეთქი. — გამოუსწორდო, — მიპასუხა. ცუდად მეჩინა. მისი ლექსი გამახსენდა — „პოეტი“:  
„ღვინო ნავთლულის,  
„ასტრა“ და „პრიმა“,  
ლექსები — მზის გულიდან  
გადმოგორებულნი.  
სამშობლო ოცდაათ ვერცხლზე  
გადაცვლილი,  
ანმყო — სიზმარეთი, —  
გამოგონებული.

...და როცა ხელები გულზე დაიკრიფა,  
ყველას ეგონა გამოსწორებული.“  
ჩვენ რომ გამოსწორებული „გვეგონა“, ის თურმე მარადისობაში გადასასვლელად ემზადებოდა. იმ დღესაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩვენთან არ იყო, სადღაც სხვაგან ტრიალებდა მისი ფიქრი, თითქოს გვეუბნებოდა: „აქ ნუ დამეძებთ, /მე აქ არა ვარ, /ადრე გავყევი შორეულ ქარებს“...

ლიტერატურაზე ჩამოვარდა საუბარი, ანდრო ბუაჩიძის მოთხრობა წაეკითხა „ლიტერატურულ გაზეთში“, მოსწონებია, ძველი დრო გამახსენა — უშუქობის და განუკითხაობის — კარგად წერსო. ახალი „ცისკარიც“ მაჩუქა, ნაიკითხე და მერე (მერე როდისღა?) შენი შთაბეჭდილება გამიზიარეო.

საერთოდ ყველაფერი აინტერესებდა, სად, რომელ გაზეთში, რომელ ჟურნალში გამოქვეყნდა კარგი ლექსი თუ მოთხრობა, რა ახალი ნიგუნები გამოდიოდა, სად ვისი შემოქმედებითი საღამო თუ წიგნის პრეზენტაცია იმართებოდა.

თუკი რაიმე ჩემი გამოქვეყნდებოდა, იმ დღესვე ნაკითხული ჰქონდა, დამირეკავდა — მომწონა, რა კარგად წერო. ახლა მასზე ვწერ, იმ იმედით, რომ ესეც მოეწონებოდა. მკითხველი იქნებ მიხვდა კიდევ, რომ ორმოცი დღეა მისი

# ჩაისთან მოყოლილი ამბები

„რუსუდან რუხაძე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან წერს, თუმცა მის ნაწარებს მხატვრულ ლიტერატურასთან საერთო არაფერი ჰქონია. ჟურნალისტიკის საფუძვლებიდან „ჩაისთან მოსაყოლ ამბებამდე“ თითქმის ორი ათეული წელიწადი გაიდა, 2013 წლის დასაწყისში კი, სრულიად მოულოდნელად, სამწერლო ასპარეზზე რუსუდან რუხაძის სახელი და გვარი ამოტივტივდა — მკითხველის წინაშე პირველი მოთხრობა — „შობის წინა დღეა“ — გამოჩნდა. დებიუტი „ლიტერატურულ გაზეთში“ შედგა. ფანტასტიკური ნიაღვრეები, თხრობის ლაკონური სტილი და ფანტაზიასთან შერწყმული, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბები მართლაც განგანყობს, რუსუდან რუხაძის სადებიუტო ნივთი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხოთ და შემდეგ ჩაის თანხლებით შთაბეჭდილებები მეგობრებს გაუზიაროთ.“

ეს ტექსტი ჩემი დიდი ხნის მეგობრის სადებიუტო ნივთისთვის დავეწერე, რომლის რედაქტორობის პატივიც მევე მერგო. პირველად ვამზადებ წერილსაც, რომელიც რუსუდან რუხაძეს და მის შემოქმედებით შტრიხებს წარმოაჩენს. მიხარია, რომ იმ კორექტორების როლში აღმოვჩნდი, დებიუტანტი მწერლის (და არა მეგობრის) სამზარეულოში რომ შეგახედებთ და იმ ჩაისს არომატს შეგაგრძობინებთ, რომლითაც მისი მოთხრობები გაჟღერდებიან.

## განსხვავებული შობის წინა დღეა

რუსუდანი რომ გაცივანი, ასე 23-24 წლისანი ვიყავით და გასული საუკუნის 90-იანი წლების ყოფის შესაბამისად ვცხოვრობდით. დავდიოდით სხვადასხვა რედაქციის კარდაკარ და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც, როგორც დღეს, აქტუალური იყო პოლიტიკური თემები, მაინც ქართული კულტურის პრობლემებზე, სიახლეებსა და მომავალზე ვწერდით. წერდა ლაკონურად და ამიტომაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალპროფილისი ავტორი იყო. არასდროს უყვარდა ტექსტის გამხატვრულება. აღწერდა ფაქტებს, მოიშველიებდა წყაროს, დაიმონებდა საგანგებოდ შერჩეულ რესპონდენტებს და წერილიც მზად ჰქონდა. თითქმის ძალიან შორს იდგა მწერლობისგან, მაგრამ...

„თანამედროვე მწერალთა შორის ბევრია ისეთი, ვისაც ჟურნალისტიკური წარსული აქვს. წერის კულტურა, რომელიც ჟურნალისტიკაში გამოცდილებამ შემძინა, ძალიან გამომაღდა. როდესაც სტატიაზე მუშაობ, უნდა დაიცვა სიზუსტე, გადაამოწმო ფაქტები, დაიცვა ბალანსი... მხატვრულ ლიტერატურაში კი ყველაფერი ეს არ განაღვლებს. არავინ არაფერზე გედავება, თავისუფალი ხარ, თუმცა, სწორედ ეს თავისუფლება უდიდესი პასუხისმგებლობაცა და სირთულეც.“

ყოველთვის ვწერდი. ურთიერთობაც კი წერილით ფორმით მხიბლავს. ახლაც, ლაპარაკს მირჩევია, მოგწერო. წერისას კომფორტულად ვგრძნობ თავს.“

დადგა 2013 წელი და რუსუდანი იმაზე მეტი დრო აღმოაჩნდა, ვიდრე — ოდესმე. არადა, უსაქმოდ ყოფნას მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს და, ალბათ, წერას ამიტომაც მიჰყო ხელი. შესაძლოა, ცხოვრების განვლილმა თითქმის ოთხმა ათეულმა წელმაც დააგროვა ისეთი ამბები, ფურცელზე გადატანას და საჯარო კითხვას რომ ითხოვდა. თუმცა, თავგადასავლები ბევრს აქვს, წერის უნარი კი — ერთეულს. თავადაც ფიქრობს, რამ უბიძგა, მწერლობის რთულ გზას დადგომოდა, მაგრამ პასუხი არა აქვს.

„იქნებ, რეალური მიზეზი მეც არ ვიცი?! ამ თემაზე ყოველდღე სხვადასხვა მოსაზრება მაქვს და, ალბათ, ყველა ძალიან პირადულია. ერთ-ერთი მოტივი ისიცაა, რომ მინდა, რაღაც ფორმით ჩემი შვილების გვერდით დავრჩე და მათ კითხვებს პასუხი გავცე.“

ასაკთან ერთად მხატვრული ლიტერატურის კითხვისთვის განკუთვნილი დრო შემცირდა და ვამჯობინე, შემორჩენილი დროის ეს მცირე მონაკვეთი პროფესიული ლიტერატურისთვის დამეთმო და რადგან ვიფიქრე, რომ ჩემს მოსაყოლ ამბებს სხვა ვერ მოყვებოდა, წერის პროცესი მხატვრულ ლიტერატურასთან მისვლის ერთგვარ გზად დავიხსახე. ასე აღმოვჩნდი ჯადოსნურ სამყაროში, სადაც ყველანი ერთად ვართ — მკითხველებიც და მწერლებიც. უბრალოდ, ამ ძალიან დამაზნავე სამყაროში ჩვენ სხვადასხვა კარით შევდივართ.“

2013 წლის შობის წინა დღეს რუსუდანი პირველი მოთხრობა დაასრულა და სა-

თაურზეც ბევრი არ უფიქრია. ასე გამოჩნდა საზოგადოების წინაშე მისი პირველი პროზაული ნაწარმოები „შობის წინა დღეა“, რომელიც „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე დაიბეჭდა.

„პირველივე მოთხრობა მაინც ძალიან გამომეხატა, უბრალოდ, ძალიან მაინტერესებდა რედაქტორისა და, მთლიანად, „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციის ანუ იმ პროფესიონალების აზრი, ვისაც ბევრი ნაუკითხავს და კარგი ლიტერატურული გემოვნება აქვს. პასუხად რომ მივიღე, დაიბეჭდებაო და როცა გამოქვეყნდა, ზუსტად ისეთივე შეგრძნება მქონდა, როგორც მაშინ, ჩემი პირველი სტატია რომ დაიბეჭდა. ქუჩაში გადაშლილი გაზეთით ვიდექი და გახარებული ვუყურებდი. დღემდე ასე ვარ. ეს გრძნობა მეორდება ყოველთვის, როცა კი გაზეთს ვიღებ და ჩემს სახელსა და გვარს ვკითხულობ. ტექსტს მნიშვნელობა აღარა აქვს, მთავარია, რომ გაზეთის ფურცლებზე აღმოვჩნდი.“

რაც შეეხება პირველ მოთხრობას — თარიღი მარტივად შეარჩია, რეალურ დროში წერდა და პერსონაჟის დაბადების დღედ ნანაწერი გამოაცხადა. თავადაც ამ დღეს „შობა“ მოთხრობდა, რომელსაც პრო-მოთხრობა უწოდა. ჩაისთან მოსაყოლმა პირველივე ამბავმა რუსუდანი კიდევ ერთი ჩვენი მეგობარი გაახსენა, რომლის ორი ათეული წლის წინანდელმა გამოქვეყნებულმა ზღაპარმა კარგა ხანია, მოსვენება დაუკარგა. ამიტომაც „შობის წინა დღეა“ დაასრულა ასე:

„P.S. ანდრო დევნოსადის გამოუქვეყნებელი პუბლიცისტიკური ზღაპარი „თოვლის ბაბუა მღვიძარ ბავშვებთან არ დადის“ მოიკითხეთ მოთხრობის ავტორთან.“

„მოთხრობის სიუჟეტში აღწერილია ის რეალური ეპიზოდი, როგორ გადმოცა ჩემმა მეგობარმა თამარ გუნაშვილმა, რომლის ფსევდონიმაც ანდრო დევნოსადე იყო, ზღაპარი (ოპერაცია გავიკეთე და მითხრა, როგორც კი გამოხვალ, ზღაპარი დაგხვდება). ასე გარდავექმენი ის ჩემი მოთხრობის მამაკაც პერსონაჟად.“

ამას გარდა, პირველ მოთხრობას ვწერდი და ჟურნალისტიკა უნარჩვევებმა მაინც იჩინა თავი — უცრად აღმოვაჩინე, რომ არავის ციტატა მომიშველიებია, წყარო არ გამომიყენებია და ამიტომაც ექსკლუზივი ანდრო დევნოსადისგან ავიღე.

ძალიან მიყვარს ტექსტი — „თოვლის ბაბუა მღვიძარ ბავშვებთან არ დადის“. ხშირად ვამიკითხავს ეს დიდებისთვის განკუთვნილი ზღაპარი, რომელიც მაძლევს საშუალებას, ბავშვობას დაუბრუნდე. ახლა, რაც წერა დავიწყე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ტექსტი ნამდვილად არ არის დასაკარგი, მით უფრო, რომ დიდებისთვის ზღაპრები თითქმის არ იწერება. ამიტომაც „შობის წინა დღეა“ ამ ტექსტის პრომოთხრობად შევრაცხე.“

ასე და ამგვარად, განსხვავებულმა შობის წინა დღემ რუსუდან რუხაძის ახალ ცხოვრებას დაუდო სათავე...



რუსუდანი „სამისნო“

ხელით არასდროს წერს, კომპიუტერში ფაილი გახსნილი აქვს იქამდე, სანამ არ დაასრულებს. არასდროს იცის, მოთხრობის საბოლოო ვარიანტი პირვანდელის მერამდენე ასლია. დღის განმავლობაში კომპიუტერისკენ იშვიათად თუ გაეცქერვთ თვალი, მუშაობისთვის ღამეს ამჯობინებს. ყველაფერი თავში იმ დროს იწერება, როცა შვილს, პატარა მატასის აძინებს. ყოველთვის გამზადებული აქვს ბლოკნოტი და კალმისტარი, საჭირო და აუცილებელი ფრაზები რომ არ დაავიწყდეს. წერის განსაკუთრებული რიტუალი არ ახასიათებს, სრულიად ყოფით სიტუაციებში უზის კომპიუტერის მაგიდას, ირგვლივ კი ხმაურია — ქმარი ტელევიზორს უყურებს, უფროსი ქალიშვილი ტელეფონით მეგობარს ელაპარაკება...

„ხანდახან მიფიქრია, მოდი, გავალ შინიდან, სადმე კაფეში დავჯდები, იქნებ, წერისთვის უკეთესი სიტუაცია შევიქმნათქო, მაგრამ გადამიფიქრებია. არ მიყვარს საგანგებოდ მომზადებული გარემო. როცა კომპიუტერთან ვჯდები, თავში უკვე ყველაფერი დალაგებული მაქვს.“

მიუხედავად იმისა, რომ კრებულს „ჩაისთან მოსაყოლი ამბები“ ჰქვია, სამზარეულოში არც ერთი მოთხრობა არ დაუნერია.

„ჩაის სმა ჩემთვის ადამიანთან ურთიერთობის ერთგვარი რიტუალია, როცა შემიძლია, დავჯდე, მისი ამბები გავიგო და ჩემიც მოვუყვე. ეს გულწრფელობის ერთგვარი ფორმატია.“

„ჩაისთან მოსაყოლი ამბები“ 10 განსხვავებულ მოთხრობას აერთიანებს, ქალაქურ ამბებს სოფლის ორლობები, პრობლემები და სახეები ცვლის. ამასაც თავისი ახსნა აქვს:

„როცა ქალაქური ამბებისგან ვიღლები, განსატივრთად სოფელში „მივიდივარ“. ძალიან მიყვარს მხატვრობა და სოფელზე წერა მაძლევს საშუალებას, მქონდეს ფერწერული პასაჟები, რომელზეც ძალიან დიდხანს ვმუშაობ. შესაძლოა, მკითხველი ასე თვალნათლივ ვერ ამჩნევდეს, როგორ ვდებ შიგადაშიგ ნატურმორტებს, პეიზაჟებს... ქალაქში მიჭირს ფერების დანახვა. სოფელი მამშვიდებს და ვხვდები, რომ მხოლოდ იქ ვემზადები ახალი თემისთვის, რომლის მოქმედების ადგილიც ქალაქია.“

სონია (მოთხრობის — „სონიას სამისნო“ — მთავარი გმირი) ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაჟია რუსუდან რუხაძის შემოქმედებაში — მარტოხელა ქალი, რომელიც მწერლის ბავშვობის მოგონებებიდან შემორჩენილი იმერელი ქალების კრებითი სახე აღმოჩნდა.

„ზაფხულობით ხშირად ჩავდიოდი იმერეთში. ჩვენს მეზობლად უძველეს ხის სახლში ცხოვრობდა ერთი მოხუცი მარტოხელა ქალი, რომელიც ამბობდა, ჩემი მავიდა ლაპარაკობს და წინასწარმეტყველებს. ამ ქალმა და იმ ბებიებმა, რომლის სახელებიც ჩემს მოგონებებს შემორჩნენ, შთამაგონეს, შემექმნა სონიას პერსონაჟი და მიუხედავად იმისა,

რომ თითქმის არასდროს ვახსიათებ გმირებს გარეგნობით, ყოველთვის ვცდილობ, დიდხანს ვეძებო შტრიხები, რომელიც მკითხველს მათ დაანახებს ისეთებს, როგორებიც არიან.“

სევდა — ეს გრძნობა ხშირად გეუფლება რუსუდანი მოთხრობების კითხვისას, „სონიას სამისნოც“ დიდი სევდითაა სავსე, თითქოს თვალნათლივ ხედავ სონიას „თხელ ხელებს“ და „ღიად დარჩენილი კესანეებიც ცისფერ თვალებს“, ფანჯრისკენ რომ მიუჭურია.

„სევდა და მარტოობა ყველგანაა. შესაძლოა, გარკვეული ხნის შემდეგ შემიმსუბუქდეს თემები, მაგრამ ჯერჯერობით, ჩემთვის ეს გრძნობები და განცდები მნიშვნელოვანია“, — აღნიშნავს რუსუდანი.

ნუ შეეცდებით, ავტორის „სამისნოში“ გამინაურდეთ და რეალური ამბების ძებნა დაიწყოთ, მაინც არაფერი გამოგივათ, რადგან ის, რაც თავის დროზე მართლაც მოხდა, სულ სხვანაირად, სხვა გარემოში, სხვა გზით განვითარდა და მხოლოდ მწერლის შთავგონების წყაროდ გამოდგა.

## „თიხის კოვზები“

და სხვა ლიტერატურული ფორმები

ყოველთვის ლაკონურად წერდა და ეს სტილი მხატვრულ პროზაშიც გადაიტანა. შესაძლოა, ვრცლად გამოუვიდეს, მაგრამ აუცილებლად შეამოკლებს იქამდე, სანამ ტექსტს სიმკვრივეს არ შესძენს. მისი მოთხრობების კითხვისას უკმარისობის გრძნობაც გამჩენია, თუმცა ყველაფერ ამაზე ავტორს თავისი აზრი აქვს:

„მერიდება, ადამიანს დიდი დრო წავართვა. ამიტომ ვცდილობ, მოკლედ ვთქვა სათქმელი და ამ მხრივ, მცირე პროზა ყველაზე მისაღები ფორმა აღმოჩნდა ჩემთვის. მაინცდამაინც განაფული არ ვარ ლიტერატურულ ჟანრებში, არც კარგი მექანტიკური ვარ, რომ ამით ვიკეკლუ-ყო, მანერულად და სტილიზებულად ვწერო. პირიქით — მინდა, აკადემიურობა შევინარჩუნო, ზედმეტი შეცდომები არ დავუშვა. ფილოლოგი არ ვარ და ლინგვისტურ ექსპერიმენტებსაც ვერასდროს ჩავატარებ. დიალექტის გამოყენებასაც კი ვუფრთხი, ტექსტი მდარე რომ არ გამომივიდეს. ყველაფერ ამას გამოცდილება და პროფესიონალიზმი სჭირდება.“

პროფესიონალიზმზე აკა მორჩილაძე და მისი „ობოლე“ ახსენდება, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად იმერულ დიალექტზეა აგებული, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აღზრდილი მკითხველისთვისაც კი საინტერესოდ და კარგად იკითხება. ამიტომაც თავად მხოლოდ რამდენიმე მინიმუმებს სჯერდება — თუთის მაგივრად ბულობას დანერს, ჭუჭყის ნაცვლად — ყვერს და ასე მიახვედრებს ყველას, რომ მოქმედება სადღაც საქართველოს დასავლეთით ხდება.

რაც წერა დაიწყო, სულ იმის მოლოდინშია, რომ ერთ დღესაც რაღაც ძალიან მაგარს შექმნის, თუმცა ჯერჯერობით მწერალი მხოლოდ იმედგაცრუებაზე ლაპარაკობს:

„როგორც კი ვასრულებ წერას, „ვჭრიჭიჭილარს“ და ვწყვეტ კავშირს მოთხრობასთან, დიდი იმედგაცრუება მიპყრობს. მთავარია, რომ წერის სურვილი და მომავლის იმედი დამარჩა.“

ალბათ, მომავალი მაგარი მოთხრობის დაწერის მოლოდინი განაპირობებს იმასაც, რომ ყოველთვის გაურბის ერთი და იმავე ფორმის გამოყენებას. ერთ-ერთი განსხვავებული აღმოჩნდა მისი მოთხრობა „თიხის კოვზების დღეობები“. პერსონაჟები უცხოელები არიან, ერთი ინდოელია, მეორე — ამერიკელი. არავინ იცის, მოქმედება სად ხდება (არც ავტორმა). დღეობების ფორმა დასახული მიზნის მისაღწევად ყველაზე კარგი საშუალება აღმოჩნდა.

ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების განხილვისას ხშირად ლაპარაკობენ ხოლმე ლიტერატურულ გავლენებზე, რუსუდანი კი არ მალავს, რომ:

„მართლაც მქონდა გავლენა ოლონდ არა ლიტერატურული, არამედ — ფილოსოფიური ტექსტების. ფარულად ვიშველიებ კიდევ იმ ფილოსოფოსების ციტატებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ კულტურაცა და ცივილიზაციაც, ადამიანის მსგავსად, გადის ცხოვრების საფეხურებს და ბოლოს კვდება.“

ნიგნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. მკაცრად არჩევს, რა წაიკითხოს და შემდეგ ავტორიცა და წიგნიც ვნებიანად უყვარდება. განწყობას უქმნის ყველაფერი — სარჩევიც კი, ამიტომაც არ უკვირს, რომ ცხოვრების ყველაზე რთულ პერიოდში ნიგნები მეგობარი ადამიანებით დადგომიან გვერდში.

ასე რომ, იქნებ, თქვენც დააგემოვნოთ ის ლიტერატურული საკვები, რუსუდან რუხაძე დიდ „თიხის კოვზებით“ რომ განვლით.

„თამაში“ რუსუდანის „ხაზანგში“

მისი ქალაქი ყოველთვის თბილისი როდია. ცდილობს, პერსონაჟებიც მხოლოდ ქართველები არ იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ როგორც თავად აღნიშნავს, მხოლოდ ტურისტული შთაბეჭდილებებით „იცნობს“ ბელგიელებს, ფრანგებს, სერბებს და ასე შემდეგ, სურს, აჩვენოს, რომ ადამიანები თავისი გრძნობებით, განცდებით, ემოციებით ყველგან ერთნაირები არიან. ყველაზე დიდხანს ამერიკაში დაჰყო, საიდანაც „გამოიქცა“, თუმცა იქაური ყოფა ერთ-ერთი მოთხრობის სიუჟეტად მაინც გამოადგა („ღმერთმა დალოცოს ამერიკა!“)

ყველაზე საინტერესო თავგადასავალი მოთხრობას — „ადა და ევა“ — გადახდა. ეს „დაჩაგრული გოგონები“, არავინ იცის, რა ეროვნებისა და რჯულის არიან, თუმცა მათი ამბები უინტერესო აღმოჩნდა ერთ-ერთი ლიტერატურული გამოცემისთვის. ავტორს შეუთვალეს — თავმოუბმელი და დასახვეწიაო. რუსუდანს კი თავისი გმირები ასე იოლად არ აცვლენებენ უკვე ბოძებული სიცოცხლის ხაზს. საბოლოოდ, „ადა და ევა“ ლიტერატურული კონკურსის — „ნერო“ — გამარჯვებული (III ადგილი) და „სანტა-ესპერანსას“ რჩეული აღმოჩნდა.

„ამ მოთხრობის ერთი ნაწილი სამყაროს შექმნის ვარიანტია, ხოლო მეორე — რეალურ დროში განვითარებული ორი გოგოს ამბავი. ზოგადად, არ ვარ სოციალურად აქტიური ადამიანი, მუდმივად პეტიციებს ვანერდე ხელს და აქციებზე დავდიოდე, მაგრამ მინდოდა, შარშან 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს გამოეხმაურებოდი, ძალადობის დღედ რომ გადაიქცა.“

ადა და ევა კომპიუტერული თამაშის გმირები არიან. ეს კიდევ ერთი ხერხია, რომელითაც მწერალი ყურადღებას იპყრობს. თამაში — ახალი ფორმა და გზა მკითხველთან მისასვლელად.


„ჩემი ერთ-ერთი სამაგიდო წიგნია პოლანდიელი ფილოსოფოსის — იოჰან პაიზინგას — ნაშრომი „ადამიანი-მოთამაშე“ და ეს მოთხრობაც ამის ერთგვარი გამოძახილი აღმოჩნდა. ადამიანი არასდროს წყვეტს კავშირს თამაშობრივ სამყაროსთან, კულტურაც ამ ერთგვარი თამაშით წარმოიშობა. პოეზია ხომ უძველესი დროის პაექრობისას წარმოქმნილი დარგია?! თამაშში ჩვენ გულწრფელები ვართ, სხვა რეალობას ვთამაშობთ და საკუთარ თავსაც სხვანაირად ვავლენთ.“

რუსუდანისთვის ნიგნის კითხვაც ლიტერატურული თამაშია:

„თუკი ნიგნს დახურავ და აღმოაჩენ, რომ იგივე სამყაროში ცხოვრობ და არაფერი შეცვლილა, თუ ლიტერატურასა და რეალურ ცხოვრებას შორის ზღვარი წაშლილია, მაშინ არ უნდა დაგწყედეს გული, როცა ნიგნის კითხვას ასრულებ. ასე რომ იყოს, მკითხველისთვის ლიტერატურა ასეთი მომხიბლავი და მიმზიდველი არასდროს იქნებოდა.“

მწერალი ლიტერატურული თამაშის კენ გინვეთ. პერსონაჟების თავგადასავლები

განტვირთვის საუკეთესო გზაა და თუ თქვენ გაებმებით რუსუდანის „ხაზანგში“, დარწმუნდებით, რომ იქ თამაში არასდროს არის მოსაბეზრებელი და დამლელი.



„თამაში“ რუსუდანის „ხაზანგში“ და ოჯახური „სიცოცხლის გემო“

უცნაური მეგობარი მყავს. ბავშვობიდან იზიდავდა სევდიანი ამბები. ძილის წინ მოიგონებდა ხოლმე ისტორიას, რომელზეც აუცილებლად იტირებდა. ახლაც ასეთი მელანქოლიურია და განსაკუთრებულად უყვარს ნიგნები, რომელიც ასევე დიანებს. მგონია, რომ მისი საყვარელი მეზღაპრე ჰანს-ქრისტიან ანდერსენი უნდა ყოფილიყო.

ეს მელანქოლიური განწყობა თითქმის ყველა მოთხრობაში გამოსჭვივს. მისი პირველი მკითხველები მის მიერ საგანგებოდ შექმნილი ხუთკაციანი ფოკუს-ჯგუფის წევრები არიან. ოჯახის შენიშვნები ძალიან ადგება. ექვი ეპარება, მის უფროს თინეიჯერ გოგონას (აბა, უმცროსმა ჯერ კითხვა არ იცის) მთელი კრებული წაკითხული ჰქონდეს, თუმცა ერთ-ერთი მოთხრობის წერისას („სიცოცხლის გემო“) გვერდით დაისვა და ლამის ერთად იმუშავეს ელენეს (რუსუდანის ქალიშვილი) ტოლი პერსონაჟი ბიჭის დამაჯერებელი სახე რომ შექმნილიყო.

„არ ვიცნობ ჩემი შვილის ასაკის ბიჭებს და მინტერესებდა, ვინ იყვნენ მათი კერპები, როგორ იქცეოდნენ, როგორ ივარცხნიდნენ თმას... ამ პროცესმა ორივე ძალიან გაგვახალისა.“

ელენეს შეფასება დინჯია. თავის დაქვეით გამოხატავს მონონებს, თუმცა დედა ვერაძდროს იგებს, რითი მოიხიბლა. ლევანი კი (რუსუდანის მეუღლე) უფრო რთულ მდგომარეობაშია:

„ლევანს ყველა ვერსიას ვაკითხებ და ყველა ჯერზე აზრს ვეკითხები. მეუბნება, რომ აზრს ხვალ-ზეგ მეტყვის. საბოლოოდ, მხოლოდ იმას მეუბნება, რომ მგონი, მოთხრობა დასრულებულია. სულ ეს არის მისი შეფასება.“

აქვე აღვნიშნავ, რომ რუსუდანი ორ გვარს ატარებს, თავისას და ქმრისას, თუმცა ნიგნს მხოლოდ რუხაძე აწერია. მომავალი ნიგნის საჯარო შეფასების შიშმა და დიდმა პასუხისმგებლობამ ამ ფორმით იჩინა თავი. ასე გაუფრთხილდა მწერალი ქალი მეუღლეს.

„PAN-PAN, მკითხველო!“

კრებულში „ჩაისთან მოსაუბრობი ამბები“ არის ერთი მოთხრობა „PAN-PAN, შერიგ“, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარს თავისი განსხვავებული სიუჟეტითა და კინემატოგრაფიული ხედვით. რუსუდანიც კარგა ხანს ცდილობდა, გარკვეულიყო საავიაციო სივრცის ტექნიკურ ტერმინოლოგიაში და ამ საქმეში დედა დაეხმარა, რომელიც 15 წლის მანძილზე აეროპორტში თარჯიმნად მუშაობდა. საავიაციო ლექსიკონით შეიქმნა პერსონაჟთა დიალოგებიც. ხოლო როცა ჯერი

გმირების სახელებსა და გვარებზე მიდგა, ერთ მხარეს სახელები ჩამოწერა, მეორე მხარეს კი — გვარები. დიდხანს უხამებდა ერთმანეთს და ბოლოს შერიგ აბადიც „დაიბადა“. როცა მოთხრობამ საბოლოო სახე მიიღო, რუსუდანმა სოციალურ ქსელში გამოგონილი სახელ-გვარი საძიებო სისტემაში აკრიფა. მისდა გასაოცრად, შერიგ აბადი რეალური პიროვნება აღმოჩნდა, რომელიც ეგვიპტის ავიაში მუშაობს. წარმომადგენელია, რა სახე ჰქონდა ჩემს მეგობარს, როცა cover photo-ს უყურებდა, რომელზეც თვითმფრინავი იყო გამოსახული, ხოლო პროფილის სურათად — კალამი და მელანი. ასეთი დამთხვევებიც არსებობს ცხოვრებაში.

რუსუდან რუხაძემ 12 თვის განმავლობაში 10 მოთხრობას მოუყარა თავი. თავიდან სწრაფად წერდა, შემდეგ, ბუნებრივია, ტემპმა იკლო, ბოლო მოთხრობაზე კი თითქმის 2 თვე მუშაობდა.

„მართალი გითხრა, დავილაღე კიდევ ძალიან მძიმე შრომა. რომ მცოდნოდა, ასეთი რთული იქნებოდა, არც კი ვიცო, მოვიკიდებდი თუ არა ამ საქმიანობას ხელს.“

კრებულის გამოცემის ძალიან ემინოდა. არადა, იმასაც ხვდებოდა, ნიგნის დაბეჭდვა მისი მოთხრობების განვითარების ლოგიკური დასასრული უნდა ყოფილიყო.

„ნიგნის გამოცემა დიდი ამბიციაა. რა თქმა უნდა, დიდ უხერხულობას და დისკომფორტს მიქმნის ის ფაქტი, რომ დღეს მწერალს მეძახიან, მაგრამ ეს ხომ არ არის ნოდება, როგორც ვიღაცებს ჰგონია? რა ვქნა, რომ ასე ჰქვია იმ საქმიანობის წარმომადგენელს, ვინც წერას მიჰყო ხელი? მწერლობა რომ ნოდება იყოს, მაშინ არ იარსებებდნენ ცუდი, საშუალო და კარგი მწერლები.“

დღეს რუსუდან რუხაძე მწერალია. არადა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამას ვერავინ წარმოვიდგენდით, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არასდროს უნდოდა, ისტორიკოსი გამხდარიყო და ისტორიულ ფაქტულტეტზე ჩააბარა; ამბობდა, მედიის გარდა ყველგან ვიმუშაებო და გაზეთში დანიყო წერა; აღნიშნავდა, დილის გადაცემას არ გავეკარებო და დილის გადაცემის პროდიუსერი იყო — გასაკვირიც აღარ არის, ერთი წლის წინ მხატვრულ ლიტერატურას რომ შეეჭვდა, თუმცა მკითხველების წრე მაინც შეზღუდა.

„ძალიან ჩავეკეტე მკითხველთა სამყარო. ისევ ის ადამიანები მიდგანან თვალწინ, ვისთვისაც წერა დავიწყე. არ მინდა ამ წრის გაფართოება. მსურს, ეს სივრცე ინტიმურად დავტოვო. ასე უფრო თავისუფლად დავწერ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავფრთხები.“

ამბობს, რომ წერაზე დამოკიდებული არ არის და ხვალვე შეუძლია, ამ საქმიანობას თავი დაანებოს, თუმცა რამდენიმე იდეა უტრიალებს თავში და თუ ამ ამბებს ფურცელზე გადაიტანს, ახლო მომავალში კიდევ ერთი კრებულიც გამოვა. მკითხველთა ნაწილი ახლა რომანის მოლოდინშია. რუსუდანი ამბობს, რომ რომანს არასდროს შეეჭიდება, მაგრამ მის სიტყვებს უკვე აღარ დაეჯერება, მით უფრო, რომ თავად ამბობს:

„ერთი თემაა, რომელიც თავში მიტრიალებს და რომელიც მოთხრობაზე მეტია, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, მცირე პროზის ფორმაშიც ჩავატიო.“

კრებულის სათაურმა — „ჩაისთან მოსაუბრობი ამბები“ — სინდისის ქენჯნა შეუმსუბუქა. საკუთარ მწერლურ კარიერას ასე მიუდგა — „თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ ნამდვილ ლიტერატურასთან გაქვთ საქმე? უბრალოდ, ჩაისთან მოსაუბრობი ამბებია დაწერილი.“

PAN-PAN შევლას ნიშნავს, მე კი გგონია, რომ რუსუდან რუხაძე ასეთი დამფრთხალი არ უნდა იყოს და არ უნდა ფიქრობდეს — PAN-PAN, მკითხველო! სანამ მის მომავალ კრებულს ან რომანს ვიხილავდეთ, მანამდე გნებავთ, ჩაი დალიეთ — ვისკი, წყალი, ყავა ან სულაც არაფერი, ოღონდ ეს ნიგნი — „ჩაისთან მოსაუბრობი ამბები“ — აუცილებლად წაიკითხეთ.

თაა ყიფშიძე

გურამ მეგრელიშვილი ხევისბერი

დასასრული

მისი შუათანა ბიჭი ისეთი თვლებით გიყურებდა, შარს მოგდებდა და რამეს დამმართებდა.

„სუფრასთან?“

„არა, სახლში ხელს არავინ დაგადებს. აქ სტუმრიანობა იციან. მაგრამ გარეთ... შეიძლება წასვლისას... როცა წახვალთ, გამოგყვებით, გზაში რომ არავინ დაგხვდეთ. აჯობებს, ხვალ წახვიდეთ!“

„ის გოგო? დაბმული გოგო.“

„არ ვიცი, არ მინახავს ის გოგო, მაგრამ... ალბათ იმათი ნათესავია, გამტაცებლების.“

„მერე?“

„მერე... სამაგიეროს გადაუხდიან. სავარაუდოდ, ოჯახის უფროსი გააუპატიურებს. მერე დანარჩენებიც... მერე გაუშვებენ და იტყვიან, რომ ქალწული არ იყო და ამიტომაც არ მოიყვანეს ცოლად. აქაური ოჯახისთვის ეს ორმაგად შეურაცხყოფელია, გაუპატიურებაზე მეტად შეურაცხყოფელი.“

„ხო, მაგრამ ბავშვია. თექვსმეტ წელზე მეტის არ იქნება.“

ნიკლასმა პასუხი არ გამცა და გადაბრუნდა.

4.

გამთენიისას, როცა ძილმა მაინც გამიტყუა, ყვირილის და სროლის ხმამ გამაღვიძა. ნიკლასი უკვე ფანჯარასთან იდგა. ხელში ჩემი ზურგჩანთა ეჭირა და გაფაცვიცებული უყურებდა ანთებულ მამხალეებს და ხალხს, ყვირილით რომ მობობოდა მისი ეზოსკენ.

„გაემზადე, ეხლა წახვალთ.“ — მითხრა და ეზოში შემოსულ კაცებს კართან დახვდა.

ყველაზე წინ ის კაცი იდგა, კასპარმა დურბინი რომ აჩუქა. უკან სხვები. თოფები ეკავათ და ძალიან გაბრაზებულები ჩანდნენ.

ნიკლასი გარეთ გავიდა. ჩემკენ ორჯერ გამოიხედა. რალაც უთხრეს. პასუხი გასცა. მომეჩვენა, რომ ხელი გულზე დაირტყა და კონდახი სახეში ჩაარტყეს. მამაჩემი გამახსენდა ავტობუსში. ნიკლასს წვერი ბრონეულისფრად შეეღება, მაგრამ ხელი არ შეუბრუნებია.

„კასპარი იპოვე და წადით, გაიგე?“ — დამიყვირა და კიდევ ერთხელ ჩაარტყეს კონდახი.

კართან მივედი. ზღურბლზე ფეხის გადაბიჯებას ვერ ვებდავდი.

„მე პოლიციას დავუძახებ!“ — ესლა მოვიფიქრე, მაგრამ გამახსენდა, რომ ჩემი ენა არავის ესმოდა აქ.

„კასპარ, კასპარ!“ — გამახსენდა, რომ კასპარი ოთახში არ იყო.

ნიკლასი ეზოდან გაიყვანეს. ერთ-ერთი დარჩა და თოფი ცხვირთან მომიტანა. ხელი მოტოციკლეტისკენ გაიშვირა და წადითო, მანიშნა.

კასპარიც მაშინ დავინახე. სახლის უკან იდგა. ხელში ნიკლასის ჯოხი ეჭირა და შეშინებული უღერებდა თოფიანს. ამ უკანასკნელს გაცეცხა და ჰაერში გაისროლა, რომ შეემინებინა. კასპარი ხელუბნეული გამოვიდა და მოტოციკლეტები დავექოქეთ.

5.

„ხევისბერი ერთგვარი კულტის მსახური, ვინც მთის ხალხში მოსამართლის და მსაჯულის როლსაც ირგებს. მთის კანონის თანახმად, ხევისბერი პირველი დამცველი უნდა იყოს თემში გამეფებული წესებისა. თუ ხევისბერი ერთპიროვნულად გადაწყვეტს, შეუძლია, ადამიანს სიკვდილიც კი მიუსაჯოს, რასაც, როგორც წესი, მთელი სოფელი ერთად, ჩაქოლვის რიტუალით აღასრულებს. ხევისბერობა შთამომავლობით გადაეცემა და სანამ ოჯახში ერთი კაცი მაინც არის ცოცხალი, ახალი ხევისბერის გამორჩევა თემს ეკრძა. ხევისბერის შთამომავალს კი უფლება არ აქვს, უარი თქვას ხევისბერობაზე. ის ამისთვის სიკვდილით დაისჯება!“

წლების მერე ეს Wikipedia-ზე წავიკითხე.

ჰომეროსი

სცენები ილიადას

ეპიკოსი  
სიმღერა I

რისხვა მიმღერე, ქალღმერთო, პელეგის ძის — აქილეესის, რამაც აქაველთ მრავალი უბედურება არგუნა, ბევრი უდრეკი მეომრის სული ჰადესში გაგზავნა, განგმირულ გმირთა გვამები კი გაიმეტა ძაღლების და ფრინველების საჯიჯგნად — თვით ზევსის ნება აღსრულდა, როცა პირველად მოხდა დიდი განხეთქილება კაცთა მბრძანებელ ატრიდასა და აქილეესს შორის. რომელმა ღმერთმა გადაკიდა ასე ერთმანეთს? ზევსის და ლეტოს ძემ, მეფეზე განრისხებულმა, ჯარს მოუვლინა დამღუპველი ავადმყოფობა, რადგან ატრიდასა ქურუმ ქრისეს არ სცა პატივი. ქრისე ეახლა აქაველებს სწრაფ ხომალდებთან, შვილის სანაცვლოდ შესთავაზა ულევეი განძი, შორსმოისარი აპოლონის გვირგვინიანი კვერთხი ხელთ ეყრა და შესთხოვა ყველა აქაველს, განსაკუთრებით — წინამძღოლებს, ორივე ატრიდას: „ო, ატრიდებო და აბჯრით მოსილო აქაველებო, დე, იყოს ნება უკვდავთა — ოლიმპოს მკვიდრი ღმერთების, რომ პრიამოსის ქალაქი დაამხოთ და შინ გასწიოთ. მე დამიბრუნეთ ასული, მიიღეთ გამოსასყიდი და შორსმოისარ აპოლონს — ზევსის ძეს ეცით თაყვანი.“ აქაველები აყიფინდნენ თანხმობის ნიშნად, სურდათ, მიეღოთ ქურუმისგან ბრწყინვალე ძღვენი, მაგრამ მოხუცმა ვერ მოიგო ატრიდასის გული — მრისხანე სიტყვით გააძევა, ასე მიმართა: „მოხუცო, ამ ღრმა ნავებთან არ დაგინახო არასდროს, არც ახლა, დაყოვნებული, არც მომავალში მოსული. თუკი შეჩერდი ახლა და სხვა დროსაც კიდევ გამოჩნდი, ვეღარ გიშველის ვერც კვერთხი, ვერც ღვთაებრივი გვირგვინი. მე არ ვაღიარებ შენს ასულს თავისუფლებას, სიბერე მას ესტუმრება ჩემს სახლში, არგოსში — შორს სამშობლოდან, დაზგასთან ივლის, მოქსოვს და ჩემთან გაიყოფს სარეცელს, შენ კი სასწრაფოდ გამცილდი, რომ გადამირჩე უვნებლად!“ ეს თქვა და მოხუცს შეეშინდა, დაემორჩილა, ზღვის მრავალხმიან სანაპიროს უხმოდ გაუყვა, შორს რომ წავიდა, შეჰღალადა მერე მოხუცმა ლამაზთმიანი ლეტოს შობილს, უფალ აპოლონს: „მისმინე, მშვილდისმპყრობელო — შენ, ვინც მფარველობ ქრისეს და ღვთაებრივ კილას. ტენედოსს რომ მართავ, ძღვენამოსილი. სმინთევსო! თუ ამიგია ოდესმე შენთვის ტაძარი, შემომინიარავს ოდესმე ზვარაკის მსუყე ბარკალი თხისა თუ ხარის, ახლა გთხოვ, ისმინო ჩემი ვედრება — ამ ცრემლებისთვის ისრებით დასაჯე დანაელები!“ ასე ამბობდა. აპოლონსაც ესმა ვედრება, გამოექანა ოლიმპოდან განრისხებული, თან ჰქონდა მშვილდი და კაპარჭი, თავდახურული ღვთიური რისხვით უღარუნობდნენ ზურგზე ისრებიც. ასე დაეშვა ღამის დარი ღმერთი მინაზე, დაჯდა ნავებთან, დაუშინა ლაშქარს ისრები, საზარელ ხმაურს გამოსცემდა ვერცხლის მშვილდისრით.

ჯერ სახედრები და ძაღლები გაანადგურა, მერე სასტიკი იარაღით მებრძოლებს მისწვდა. დაუსრულებლად გიზგიზებდა გვამთა კოცონი.

ელენე  
სიმღერა III

ლამაზხელება ელენეს მაცნედ ირისი ეახლა. ქალღმერთს იერი მიელო ელენეს მულის, ვინც იყო ჰელიკონის მმართველის, ანტენორიდის მეუღლე, ლაოდიკოსი — რჩეული ასული პრიამოსისა. ოთახში იყო ელენე, დაზგაზე ქსოვდა მენამულ, ორფენა ნაჭერს, რომელზეც ბრძოლები გამოესახა მხედარი ტროელების და აბჯროსან აქაველების — ვინც დაიღუპა არესის ხელით ელენეს გულისთვის. მასთან მისულმა სწრაფფეხა ირისმა ასე მიმართა: „გამოდი, ნიმფავ, საოცარი ამბები ნახე ტროელების და აბჯროსანი აქაველების, ადრე ერთმანეთს ბევრი ცრემლი რომ მოუტანეს არესის გამო, ბრძოლის უნით შეპყრობილებმა. ახლა დამშვიდდნენ და დადუმდნენ, ბრძოლა შეწყვიტეს, შუბი მინაში ჩაუსვიათ, ფარს დაყრდნობიან; ალექსანდროსს და მენელაოსს — არესის რჩეულს კი განუზრახავთ შერკინება შენთვის, რომ მერე გამარჯვებულმა საყვარელი ცოლი გინოდოს.“ ასე ამბობდა ქალღმერთი და უღვივებდა ტკბილ ფიქრებს პირველ ქმარზე და მშობლებზე, თავის საყვარელ ქალაქზე. უცებ ადგა და ქათქათა, თხელი სამოსი ჩაიცვა, სწრაფად გავიდა სახლიდან, ნაზი და თვალცრემლიანი. მარტო არ იყო, თან გაჰყვა ორი ერთგული მოახლე — პიტევის შვილი, აითრე და დიდთვალე კლიმენე. მალე მივიდა ელენე იქ, სადაც სკეის ბჭე იყო და თვალი ჰკიდა პრიამოსს, თიმოიტესს და პანთოოსს, ლამპოსს, კლიტიოსს, არესის მოდგმიდან — ჰიკეტაონს და თვით ბრძენთა შორის რჩეულებს — უკალეგონს და ანტენორს. სკეას ჭიშკართან დამსხდარი ქალაქის უხუცესები ასაკის გამო ბრძოლაში ვერ ერეოდნენ და ისე მჭევრმეტყველებდნენ, ვით ტყეში ჭრიჭინობელას გუნდები, რომლებიც შროშანებივით საამო ხმას გამოსცემენ. ასევე ისხდნენ დიდ კოშკზე ტროელი უხუცესები. როცა შეხედეს ელენეს, კოშკისკენ რომ მიდიოდა, მაშინ ერთმანეთს ამგვარი ფრთოსანი სიტყვით მიმართეს: „ვერ გაამტყუნებ, რომ ტროელებს და აქაველებს მრავალი ჭირი შეხვედრიათ ამ ქალისათვის, რომელიც სახით საოცრად ჰგავს უკვდავ ქალღმერთებს. მაგრამ ნეტავი ხომალდებით დაბრუნდეს სახლში, ჩვენ და ჩვენს შვილებს მეტი ტანჯვა აღარ გვარგუნოს.“



თარგმანი ქართლ ნიჰარაქამ

დასასრული

სულისთვის ფსალმუნებს ვკითხულობ. ფსალმუნსა და ფსალმუნს შორის კი უნებურად მისი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი გამიელვებს თვალწინ. ახლა ამას მისი ახალი ლექსებიც დაემატა და თითქოს მეც მიყვები მის გზას მზისკენ, ხოლო მისი გზა და „ყველა ოცნება ღმერთამდე აღის, / როგორც „ლილეო“ და როგორც „რიჰო“.

„რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფ.83). ძნელია, სამომავლო გეგმებზე მოსაუბრე კაცის შესახებ თქვა, სიკვდილთან შესახვედრად ემზადებოდაო, მაგრამ იმას რაღა დავარქვით, თავისი ლექსები რომ მოაწესრიგა საავადმყოფოში წასვლის წინა დღეს?! რაღა თქმა უნდა, ემზადებოდა, მაგრამ ვაჟკაცურად, ღირსებით, არაფერს გვაგრძნობინებდა, ჩვენ გვიფრთხილდებოდა. არ დაუნუნუნია, არც ბედის სამღურავი უთქვამს. „ფიქრი სულეთის ნიავივით ამდევნებია, / შორეულ გზებზე მზე არის და მსუბუქი სევდა. / რისი ღრიალი, ერთი სიტყვაც არ დამცდენია, / ვიხეტიალე და შემთხვევით მოვედი შენთან.“ შორეულ გზებზე წასასვლელად ემზადებოდა... იცოდა, რომ „მოვა, ის მოვა, როცა კრეტაბამელს შეარხევს ქარი და განთიადი ამოიგმინებს... მოვა, ის მოვა,

თამარ იაშვილი

მზის რაინდი

ათასგვარი საჩხაკუნოთი, ვით ბოშა მთვრალი. მოვა, ის მოვა, მკაცრ ოცნებებს ახვეტავს ნამში. მოვა, ის მოვა, უმალ მიგვერის მალალ სასიძოს და ამქვეყნიურ ნაკვალევს წაშლის. მოვა, ის მოვა, ნუ შეხვდები სანუთროს გმობით. მოვა, ის მოვა, აზონჩხილი, ტრიუმფატორი — სისხლიან ტოვით. მოვა... ის მოვა...“ (2010 წ.)

მას უკვე ეძახდა „სივრცე არაქაური“, თუმც იქაც მზე იყო და სევდა ვერაფრით გააქარებდა ამ შეხვედრის სურვილს. „ანდერძი“ კარგა ხნით ადრე ჰქონდა დაწერილი (იმ ლექსს ვგულისხმობ, „მარიამს“ რომ ჰქვია.)

„აი, აქ არის ჩემი სამშობლო, სად სიდიადე სუფევს გეგუთის. დასაბამიდან სამარადყოფთოდ იგი ჩემშია, მე მას ვეკუთვნი, მისი ვალი მაქვს მე უსაშველო,

როგორც ხორბლის მარცვალს მეგუთნის“.

„ეპიტაფია“ კი თავად გაუმზადებია: „მავანს ვგავდი თუ არავის ვგავდი, არ მითხოვია სხვის კარზე ყანდი, მამულის სახელს ზეცაში ვრგავდი, სამშობლო მქონდა, სამშობლოს ვყავდი“.

სამშობლოს თემას შეგნებულად ავარდევ თავი. უფლება არ მქონდა, გამეუბრალოებინა (ბევრი მწერალი ხომ დიტირამბებს უძღვნის მას და თითქოს არც არავფერია განსაკუთრებული). თანაც არც ვიცი, სიტყვებით როგორ გადმომეცა ის ტკივილიანი განცდა, რასაც შერმადინის მთელი სული და გონება მოეცვა. მისი ლექსები ამას ჩემზე უკეთესად ამბობენ. შერმადინმა თავისი ამქვეყნიად ყოფნის ბოლო წუთებიც „განჭვრიტა“: „გინდოდა გემღერა და რაა; / ერთ უმშვენიერეს დღეს, — / აღმართზე მოგძახეს „დალაი“. სვანეთიდან ჩამოსულთა „ზარმა“ და „დალაიმ“ შექრა სიონის ტაძარი... შემდეგ კი პროცესია აღმართს აუყვა, მცხეთის სამთავროს მონასტრისკენ მი-

მავალ გზას... ათი დღის წინაც იქ იყო, ტაძარში ილოცა. მამა გაბრიელს შემწეობა სთხოვა.

„...დავგმე მინიერი ზეცა, თალხი მივაფინე თალებს... რომელი ხარ ცათა შინა, რომელი ხარ ცათა შინა, რომელი ხარ ცათა შინა, შენკენ მოვალ, კარი აღე.“

თავად შერმადინს აზრადაც არ მოუვიდოდა, ფიქრშიც კი არ გაივლებდა, რომ სამთავროს მონასტრის ეზოში დაიდებდა სამუდამო განსასვენებელს. ვინმეს რომ ეთქვა, იტყოდა, მე ვინ ვარ — რითი დავიმსახურე... მასხოვს, ხილვა ჰქონდა — ღვთისმშობელი ნახა ყრმით, გაკვირვებული იყო, თან ერიდებოდა ამაზე ლაპარაკი, იფიცებოდა, ნამდვილად არ მეძინა, ცხადში ვნახეო. შემდგომ ამ ხილვით შთაგონებულმა ლექსიც დაწერა. „კიც ვნახე და ვერცა ვნახე, / მიებრუნა ყრმისკენ სახე, / ზედ ვარსკვლავი დაჰნათოდათ, / გაუცუდდა ეშმას მახე“... (ხილვა: ბეთლემი. 2012წ.)

„გამოავლინე ნათელი შენი და ჭეშმარიტებაი შენი, ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმინდასა შენსა და საყოფელთა შენთა“ (ფ.42).

ასე მგონია, მამა გაბრიელმა მიირქვა და ზეცისკენ წაიყვანა. მას კი, მზის რაინდს, „არც ზეცის მინდვრები აოცებს“...

**ლიტერატურული გაზეთი**  
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
 საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**  
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**  
 ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com